პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: } რედაქტორის 14—76
} მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—43.

დ ღ ი უ რ ი

— იაპონიაში დიდი წყალდიდობაა. წყალმა დაჰფარა რამდენიმე სოფელი და ქალაქი.
— 11 ოქტომბერს შესდგება ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია.
— შემოდგომაზე დაიწყება ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება ვალების შესახებ.
— გერმანიაში ჩავიდა საბჭოთა სპორტსმენების დელეგაცია.
— საბჭოთა პროფკავშირების დელეგატებს არ მისცეს ავსტრიაში შესვლის ნებართვა.
— საფრანგეთის პალატამ მიიღო ფრანკის „გაჯანსაღების" პროექტი.
— გერმანია-საფრანგეთს შორის დაიდვა დროებითი ეკონომიური შეთანხმება.

შაბათი, 7 აგვისტო 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 178 (1723)

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

დამპალი სოციალ-დემოკრატია

(რაკოში-ვაინბერგერის პროცესის გათავების გამო)

რაკოში-ვაინბერგერის პროცესი გათავდა. მკითხველები გაეცნობოდენ გუშინ განაჩენს. დამცველებმა განაცხადეს მისი გასაჩივრების განძრახვა. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს კასაციის შედეგი, ის ვერ შესცვლის არსებითად პროცესის პოლიტიკურ მხარეს, რომელიც ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამ მხარეზე გვსურს მივაქციოთ დღეს ხაზგასმით ჩვენი მკითხველების ყურადღება.

სამ კვირაზე მეტია, რაც ბრალდებულის სკამზე ისხდნენ რაკოში-ვაინბერგერ-ვაგის მეთაურობით ჰუნგრეთის რეაქციონური მთავრობის 58 ტყვე, რომელთაგან 41 მუშაა. დიდი უმრავლესობა მათ შორის კომუნისტებია ან თანამგძნობნი, ზოგიც წევრები იმ პარტიისა, რომელიც „სოციალისტური მუშათა პარტიის" სახელწოდებით გამოეყო ჰუნგრეთის მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიას. მათ ბრალსა სდებდენ იმაში, რომ ისინი თითქოს ამზადებდენ აჯანყებას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ მიზნით ფულად დახმარებასაც იღებდენ კომინტერნისაგან; „სოციალისტური მუშათა პარტიის" წარმომადგენლებს კი უმტკიცებდენ, თქვენსა და კომუნისტებს შორის არავითარი განსხვავება არ არისო და სხვა. ვერც ერთი ეს ბრალდება ვერ დაამტკიცა ბრალმდებელმა პროცესზე. ვერავითარი ფაქტი, ვერავითარი დოკუმენტი ვერ წარადგინა მან საქმის გარჩევის დროს, რადგან ეს მას არ გააჩნდა საქმის გარჩევამდეც და ამნაირად მთელი საბრალმდებლო აქტი ჩაიფუშა, ის გაბათილებული იქნა პირწმინდათ და ერთი ხელის მოსმით ბრალდებულებისა და მათი დამცველების მიერ. მაგრამ, ან კი რა საჭირო იყო ფაქტი, დოკუმენტი? რა საჭირო იყო დანაშაულობის დამტკიცება. ბრალმდებელმა განაცხადა: **საკმაოა, რომ დამნაშავეები წევრები არიან კომუნისტური პარტიის,** ამიტომ მტრები და დამამხობელნი არსებული რეჟიმის, ხოლო ვაგი და მისი ამხანაგები „სოციალისტური მუშათა პარტიიდან" არიან მოკავშირეები კომუნისტების, რადგან ისინი გამოვიდენ ჰუნგრელ მენშევიკების პარტიიდან და აგინებენ ამ პარტიას. და ამნაირად განაჩენი გამოტანილია ასეთი დებულების ნიადაგზე და **იმ შინაგანი რწმენის** მიხედვით, რომ პროკურორის აზრით ბრალდებულები მაინც დამნაშავენი არიან.

ასეთია პროცესუალური მხარე ამ „საქმის". მაგრა აქ საინტერესოა სხვა რამ. ეს არის: ერთი—გამოსვლები ჩვენი ამხანაგების ამ პროცესზე, ხოლო მეორე და უმთავრესი—ჰუნგრეთის მენშევიკური პარტიის როლი ამ პროცესის დაწყებამდე და მის დროს. ჩვენ შევჩერდებით ორივეზე და განსაკუთრებით უკანასკნელზე.

ევროპის გაზეთებმა და განსაკუთრებით ცენტრალური ევროპის პრესამ არაჩვეულებრივად დიდი ადგილი დაუთმო პროცესს. ჩვენ არას ვლაპარაკობთ კომუნისტურ გაზეთებზე, სადაც, რასაკვირველია, დაწვრილებითი ანგარიშები იბეჭდებოდა მის შესახებ ასეთი და მსგავსი სათაურებით: „ასე ლაპარაკობენ მხოლოდ კომუნისტები", „ასე იქცევიან მხოლოდ რევოლიუციონერები"—და სხ. მაგრამ თვით ბურჟუაზიული პრესაც ვერ მალავდა იმ (მისთვის არასასიამოვნო) ფაქტს, რომ ამ პროცესმა ამხ. რაკოშის ვაინბერგერის და სხვ. გამოსვლებით ხელი შეუწყო კომუნისტებისა და საზოგადოთ რევოლიუციონერების მორალურ-პოლიტიკური გავლენის გაფართოებას, როგორც მუშათა უპარტიო მასებში, ისე ეგრედწოდებული საზოგადოების სხვა ფენებში. ეს გაზეთები ამბობენ, რომ ბეტლენის მთავრობამ თავის საუბედუროთ მოჰმახა ეს საქმე, რომელიც მისი დაწყების პირველი დღიდან გადაიქცა კომპარტიის პოლიტიკის აგიტაციათ და საბჭოთა კავშირის სასარგებლო დემონსტრაციადო.

ბურჟუაზიული პრესის შეფასება სრულ სიმართლეს შეიცავს და ეს მოხდა ჩვენი ამხანაგების გმირული ყოფაქცევით ამ სამი კვირის განმავლობაში, პროცესის დროს. მათი მხნე და ვაჟკაცურ-რევოლიუციონური გამოსვლების გამო ბეტლენის რეაქციონური სასამართლო გადაიქცა ბოლშევიკურ ტრიბუნად, რომელმაც საბოლოო ანგარიშით ბრალდებულის სკამზე დასვა ჰუნგრეთის რეაქცია, ქება-დიდებით შემკო საბჭოთა სოციალისტური კავშირი და მისი დამაარსებელი ამხ. ლენინი. სასამართლოშივე იქნა წაკითხული ამხ. ლენინის თეზისები დემოკრატიის შესახებ და გაიმართა კომინტერნის თეზისების ირგვლივ კამათი „ბრალდებულებისა" და პროკურორის შორის. ერთი სიტყვით უცნაური ამბები დატრიალდა სასამართლოს ოთხკედელ შუა და შემდეგ მოედო პრესას; განსაცვიფრებელი „ამბები" მოისმინეს ბეტლენის იუსტიციის ქურუმებმაც თავიანთი დიდი ყურებით.

მაგრამ როგორიც რევოლიუციონურიც უნდა იყოს ჩვენი ამხანაგების გამოსვლები პროცესზე და ვაჟკაცური მათი ყოფაქცევა, რომელმაც განაცვიფრა (და დააფრთხო) ბურჟუაზია—ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, ეს გასაკვირი არ უნდა დარჩეს. რომ **კომუნისტებმა** წარმოსთქვეს, თუმცა საშინელ პირობებში, სიკვდილის განაჩენის მოლოდინში, **კომუნისტური**, რევოლიუციონური სიტყვა—რა უნდა იყოს ამაზე უფრო ბუნებრივი: სწორეთ ამიტომაც არიან ისინი კომუნისტები, სწორეთ ამიტომ არის მათი „ბუნება" შეზავებული განსაკუთრებული „მასალით". კომუნისტების ეს „ბუნება", მათი გმირული ყოფაქცევა ერთხელ კიდევ დაინახეს მუშათა მილიონებმა, გაიგეს მტრებმა და მეგობრებმა. მაგრამ ამავე მილიონებმა ამ პროცესზევე სხვა რამეც დაინახეს.

დაინახეს სიდამპლე სოციალ-დემოკრატიის, მოღალატური ბუნება მენშევიზმის.

როგორც მკითხველებს ემახსოვრებათ ამ საქმის წინასწარი გამოძიების დროს, ხოლო შემდეგ კი თვით პროცესზე, ჩვენ „გავეცანით" ორ პიროვნებას. ესენი გახლავთ ორივე სოციალ-დემოკრატები და არა უბრალო პარტიის წევრები, არამედ ბელადები. ერთია გაბრიელ გოროვეცი, ხეზე მომუშავეთა კავშირის მდივანი, წევრი ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. ამნაირად ამ პარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი, ერთი ბელადთაგანი. მეორეა სოციალ-დემოკრატი—დეპუტატი, წევრი პარლამენტის რეიგანგერი. ამნაირათ ისიც ერთი ხელმძღვანელ მუშაკთაგანია იმავე მენშევიკური სოციალ-დემოკრატიისა.

პირველის, ე. ი. პროფკავშირის მდივნის დაბეზღებით დაიჭირა ბეტლენის პოლიციამ მუშები, რომლებიც ამ პროცესში იღებდენ მონაწილეობას.

საჭიროა ჩვენმა საბჭოთა პროფკავშირების წევრებმა და მდივნებმა იცოდნენ ეს, საჭიროა იცოდნენ მათ, როგორი „ჩვეულება" ჰქონიათ ბეტლენის პოლიციურ სახელმწიფოში იქაურ სოციალ-დემოკრატ მდივნებს, რომლებიც პროფკავშირებში მუშაობენ.

მეორის, ე. ი. სოც.-დემოკრატ. დეპუტატის რეიგანგერის ჩვენებაზე კი პროკურატურამ აღძრა თავისი ბრალდება დატუსაღებულების წინააღმდეგ.

ესე იგი ისინი აღმოჩნდენ ჯაშუშები და მოღალატეები. კვლავ გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ ორივე ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატები გახლავსთ. სწორედ ამიტომ განაცხადა ერთმა მუშა-ბრალდებულთაგანმა პროცესზე, ამხ. ერომ: **„მე გავხდი კომუნისტი და გავშორდი სოციალ-დემოკრატებს, რადგან დავრწმუნდი, რომ სოციალ-დემოკრატი ბელადები ანგრევდენ პროფსაბჭოებს და მოქმედებდენ მწარმოებლებთან და პოლიციასთან შეთანხმებით"-ო.**

უნდა ითქვას, რომ ეს შეთანხმება მწარმოებლებთან, პოლიციასთან და რეაქციონურ მთავრობასთან „ახალი ამბავი" არ არის ჰუნგრეთის მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში. ყველასათვის ცნობილია ხორტის მთავრობასთან ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატების შეთანხმება, რამაც ყოვლის შემძლე და ყოვლის ჩამდენი მეორე ინტერნაციონალის ბელადებიც შეაწუხა (სირცხვილით, რასაკვირველია). ფრიად საინტერესო ადგილს ამოიკითხავთ ამ შეულლების შესახებ ის საბრალმდებლო ოქმში, რომელიც გამოქვეყნებული იქნა ამხ. რაკოშის პროცესზე. იქ სწერია სიტყვა-სიტყვით შემდეგი:

„როგორც შემდეგ გამოირკვა სოციალ-დემოკრატიის ბელადები დათანხმდენ ჰუნგრეთის მთავრობის წინადადებაზე და მიიღეს ამ უკანასკნელისაგან სადირექტივო პრინციპები გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობისათვის... ამ შეთანხმების შედეგი იყო ის, რომ განაწამები ბურჟუაზიული კლასის აღშფოთება დროებით დასცხრა და დამშვიდდა".

„განაწამებმა" ბურჟუაზიამ კმაყოფილებით ამოისუნთქა, რადგან სოციალ-დემოკრატია შეუთანხმდა ხორტის რეაქციონურ მთავრობას, შენი დირექტივების თანახმად ვუხელმძღვანელებ აწი პარტიულ და პარტიის გავლენის ქვეშ მყოფ მასებსო. მკითხველები ხედავენ, რომ ეს „ქირეული" კომუნისტების მიერ გამომჟღავნებული ფაქტი კი არ არის, არამედ თვით ჰუნგრეთის მთავრობის მიერ ოფიციალურ დოკუმენტში ჩაწერილი „ამბავი", რომელიც ვეღარც თვით სოციალ-დემოკრატებმა დამალეს თავის დროზე და აღიარეს.

გასაკვირალი არ არის ამის შემდეგ, თუ სასამართლოს თავმჯდომარე თითქმის ყოველ ნაბიჯზე აწყვეტინებდა სიტყვას ჩვენს ამხანაგებს, როდესაც ისინი შესაფერისი სახელით იხსენიებდენ მენშევიკებს. აღსანიშნავია, ამასთან დაკავშირებით ისიც, რომ საბრალმდებლო ოქმი რამოდენიმე ადგილას გულისწყრომით აღნიშნავს იმას, თუ როგორ „მოურიდებლად" ეპყრობიან დამნაშავენი სოციალ-დემოკრატიას. ჩვენ აღარას ვლაპარაკობთ თვით ხსენებული გოროვეცის გამოსვლაზე პროცესში თავისი ჯაშუშური, რენეგატული, მოღალატური სიტყვით არა მარტო კომუნისტების, არამედ „სოციალისტური მუშათა პარტიის" წევრების წინააღმდეგ.

ამნაირათ ახლახან გათავებულმა პროცესმა არა მარტო დაამტკიცა ერთხელ კიდევ, ვინ და რისთვის იბრძვის კომუნისტები, ვინ არის ჭეშმარიტი რევოლიუციონერი და მებრძოლი მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ამ პროცესზე ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ გამოაშკარავდა გამყიდველობა, ღალატი, სიდამპლე მენშევიკური სოციალ-დემოკრატიისა და ამ მხრივაც რაკოშის პროცესი თითონ საჩვენებელი იქნება ევროპის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში. ის იქნება მაჩვენებელი ერთი მხრით—კომუნიზმის სიდიადის და მეორე მხრით—მენშევიზმის საბოლოო დაცემის, სიდამპლისა და გათახსირების...

ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მტკივნეული მხარეები

მშრომელი მოსახლეობის პოლიტიკურ აქტივობის ზრდის ერთ საუკეთესო დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მასიურ ნებაყოფლობით საზოგადოებების არაჩვეულებრივი ზრდა. მათ ფეხი გაიდგეს არა მარტო ქალაქებში და სამრეწველო რაიონებში, არამედ შეიჭრენ სოფლის მიყრუებულ კუთხეებშიაც კი.

ეს ცოტაა, ამ საზოგადოებებს შორის არის ისეთებიც, რომელნიც სოფლის სინამდვილეში წარმოიშვენ და სოფლისვე ჭირ-ვარამს ემსახურებიან. ასეთებია: გლეხკომი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო არტელები, ამხანაგობები. ამასთან ერთად სოფლად მოიპოვებიან რემედასიც, ბავშვთა დამხმარე საზოგადოების, საჰაერო ფლოტის და სხვა ნებაყოფლობითი ხასიათის საზოგადოებანი.

ერთი სიტყვით, გლეხთა ნებაყოფლობით ორგანიზაციათა სიმცირეზე და არც ამ ორგანიზაციების რიცხვობრივ შემადგენლობაზე, ჩვენ საყვედური არ გვეთქმის. მთავარი მხოლოდ ის არის, როგორ მუშაობენ ეს კოლექტივები და რამდენად ამართლებენ ისინი თავიანთ დანიშნულებას.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენადაც ნებაყოფლობითი ორგანიზაციები ჩვენ გვესმის, როგორც მასის ახალ საზოგადოებრივ საფუძვლებზე აღზრდის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი, როგორც პირდაპირი იარაღი უპარტიო შრომელების საბჭოთა აღმშენებლობაში ჩასაბმელათ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? საკავშირო კომპარტიის ცეკას საიგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებამ ამ დღეებში იქონია მსჯელობა იმ მოხსენებების შესახებ, რომელიც შეეხებოდა სოფლად მომუშავე ნებაყოფლობითი ორგანიზაციებს. ამ მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებას უახლოესი კავშირი აქვს ჩვენს სინამდვილესთანაც, რამდენადაც მოხსენებებში აღნიშნული უარყოფითი მხარეები ერთნაირად დამახასიათებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკების თვითმოქმედ ორგანიზაციებისათვის.

თავდაპირველად ერთი მთავარი ნაკლი, რომელიც არა-ერთხელ ყოფილა შემჩნეული და გაკრიტიკებული. ესაა ნებაყოფლობით ორგანიზაციათა მუშაობაში თვითმოქმედებითი ალღოს მოდუნება, რაც უარყოფს ყოველგვარ მნიშვნელობას ამ ორგანიზაციების არსებობას. ეს მთავარი ნაკლი გამომდინარეობს მრავალ სხვადასხვა მიზეზებისაგან.

პირველი ამ მიზეზთა შორის ნებაყოფლობითი კოლექტივების ორგანიზაციულ მუშაობის სისუსტეში მდგომარეობს. ძალიან ხშირი მოვლენაა, როცა ამა თუ იმ ნებაყოფლობითი გაერთიანებაში ირიცხება კაცი, რომელსაც წარმოდგენაც კი არა აქვს თავის ორგანიზაციაზე. არც ისეთი შემთხვევები შეადგენენ გამონაკლისს, როცა ესა თუ ის პირი ირიცხება ორგანიზაციაში და ის ამის შესახებ აინუნშიაც კი არ აქვს. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ნებაყოფლობითი კოლექტივები ბევრ შემთხვევაში მექანიკურად სდგება. სასოფლო კრების, ან ზოგჯერ ცალკე ორგანიზაციების დადგენილებით, თავისებური „დემოკრატიზმით", როცა უმრავლესობის დადგენილებით სავალდებულოთ ხდიან უმცირესობის დათანხმებასაც ამა თუ იმ ორგანიზაციაში შესვლის შესახებ, ზოგჯერ აშკარა ზეგავლენით, ხათრით, მორიდებით და სხვა.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში შედგენილი ორგანიზაცია თავიდანვე განწირულია, როგორც უნიათო და უსიცოცხლო კოლექტივი. აქ თვითმოქმედებაზე ლაპარაკი იმ სახით, როგორც ეს ჩვენ წარმოგვიდგენია, შეუძლებელია. ამიტომ ნებაყოფლობითი საზოგადოებების საორგანიზაციო მუშაობიდან ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიდევნოს წევრთა მექანიკურად შეგროვების პრაქტიკა.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა. თვითმოქმედების ენერგიას ადუნებს აგრეთვე ბიუროკრატიზმი, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენი დაწესებულება-ორგანიზაციების თითქმის საყოველთაო სენს წარმოადგენს. ამ ბიუროკრატიზმის განვითარებას ხელს უწყობს სხვათა შორის ნებაყოფლობითი საზოგადოებების გადაჭარბებული ცენტრალიზმი, რაც ჰკლავს ადგილებზე ინიციატივას და თვითმოქმედების უნარს.

გარდა ამისა ნებაყოფლობითი საზოგადოებების ერთ ნაკლს შეადგენს ის გარემოება, რომ აქ ხშირად თავს იყრის სოფლის შეძლებული ელემენტები. მათ საწევრო ფულიც უფრო ადვილათ იშოვებათ და საზოგადოების საქმეშიაც სხვაზე მეტად ერკვევიან. ამგვარი შემადგენლობის ნებაყოფლობითი კოლექტივი, სადაც ორგანიზაციის აქტივს ზოგჯერ ჩაინთიან არასასურველი ელემენტი წარმოადგენს, რასაკვირველია, ვერ გაამართლებს იმ იმედებს, რომლებსაც ჩვენ ნებაყოფლობითი საზოგადოებებზე ვამყარებთ.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ სოფლის ინტელიგენცია არ იღებს საკმარის მონაწილეობას თვითმოქმედ საზოგადოებებში. ამის მიზეზებიც უმთავრესად იმ ტკივილებში უნდა ვეძებოთ, რომლებზედაც წერილის დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი.

ამრიგად, ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაობის ამ შემაფერხებელ ნაკლოვანებათაგან განთავისუფლება, უნდა ხდებოდეს უმთავრესად საორგანიზაციო მუშაობის გადასინჯვა-გაცხოველების და რაც შეიძლება ფართო თვითმოქმედობის აპარატის შექმნის გზით. ასეთია საკავშირო კომპარტიის ცეკას საიგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დირექტივა ნებაყოფლობით ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. და ეს მორიგი ამოცანა უნდა გახდეს მთავარ ყურადღების ღირსად ამ ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებისათვის.

მ. ლ—ძე.

გზა და გზა გაფიცულ მემაღაროეთა რაიონებში

(წერილი ინგლისიდან)

„მფრინავი შოტლანდიელი"

ეს ჩქარი მატარებელი ინგლისის საამაყო საგანს წარმოადგენდა, თითქმის ისეთივეს, როგორც პარლამენტი. ინგლისელს უყვარს რეკორდები. დაახლოვებით სამი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში „მფრინავი შოტლანდიელი" შეუჩერებლივ მუშაობდა ლონდონსა და შოტლანდიას შორის. ჯერ საყოველთაო გაფიცვამ და შემდეგ მემაღაროების ლოკაუტმა დაჩრდილეს მისი დიდება. ერთმა ხიფათმა საყოველთაო გაფიცვის დროს ბოლო მოუღო რეკორდს. ქვანახშირის კრიზისმა „ჩქარი მატარებელი" თითქმის „დილიჟანსის" ხარისხზე ჩამოიყვანა. დღეს მისი ნაქები კომფორტი მხოლოდ მოგონებას ღა წარმოადგენს.

ჩრდილოეთისკენ მიმავალი მოგზაურები, რომელნიც ქვანახშირის კრიზისის დაწყების დღიდან იძულებულნი არიან ერთად ერთ ჩქარ მატარებელს დასჯერდნენ, ისე ვიწროდ და მჭიდროდ არიან, როგორც ჯარისკაცები სამხედრო მატარებელში. დერეფნები სავსეა კაცებით, ქალებით, ბავშვებით, ყუთებით, პარკებით. „მფრინავი შოტლანდიელი" მოძრავ აბანოთ გადაიქცა. რა დაქვეითებაა!

ძლიერი ორთქლმავალი, რომელიც ამა თუ იმ ლორდის სახელს ატარებს, ოხრავს, შავ ბოლს ისვრის, „ყვითელი" ქვანახშირის მყრალ სუნს აყენებს და ვაგონებს მტვერითა და აუტანელი „სურნელებით" ავსებს და ადამიანს ჩეხოსლოვაკური მატარებლების სიბინძურეს ახსენებს.

რკინისგზის საზოგადოებებმა კი გამოაცხადეს, რომ ნორმალური მიმოსვლა აღდგენილია 12 ივლისის შემდეგ! ნუ თუ ამ ადამიანებმა სრულიად დაჰკარგეს სირცხვილის გრძნობა? დიახ, უელსმა, რომელმაც რუსეთის მატარებლები შეაჩვენა, მიტომ რომ იქ დასაძინებელი კუპეები ვერ ნახა, დღეს იმოგზაურობს ლონდონსა და ნიუკასტლს შუა და მატარებელში სათანადო კომფორტს მოითხოვს!... აქ ხომ არც რევოლიუციას გაუვლია და არც კონტრ-რევოლიუციას! ჩვენ აქ ვიმყოფებით უადრესი ინდუსტრიალიზაციის ქვეყანაში, რომელიც ურთულესი სარკინიგზო ქსელითაა დასერილი.

ქვანახშირის კრიზისმა შესაფერი ნაყოფი გამოიღო.

საკმაოა თვალი გადაავლოთ მახლობელ მოედნებს, რომ დარწმუნდეთ ამაში. ყოველგან სათადარიგო ლიანდაგებზე ათასობით ჩამწკრივებულნი არიან ცარიელი ვაგონები, რომელნიც იძულებულ შეგუბებაში იმყოფებიან. ქარხნებს ხედავთ, მათ აღარ აცხოველებს ადამიანთა ფუსფუსი. იშვიათად გხვდებათ საბარგო მატარებლები.

ინგლისის არტერიების სისტემა გადაჭრილია. ის სისხლისაგან იცლება, რათა მაღაროთა პატრონების მოგება უზრუნველყოფილ იქმნას...

ამ უსიცოცხლო და ერთფეროვანი მინდვრების ცქერამ დამღალა და გაზეთები გავშალე: აი აღმოვაჩინე ინგლისის მრეწველობისა და აღებ-მიცემობის შესახებ მიუდგომელ ციფრებში, ულმობელ დიაგრამებში. ექსპორტი 70 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრიდა 1925 წლის ივნისში, ამა წლის მაისში კი ის 58 მილიონზე ჩამოვიდა. საყოველთაო გაფიცვის დასასრულმა, რასაკვირველია, ერთგვარი გაუმჯობესება მოიყვანა: ექსპორტმა 60 მილიონს მიაღწია, მაგრამ ეს გაუმჯობესება გამოწვეულია იმ საქონლის გაზიდვით, რომელიც საყოველთაო გაფიცვამდე იყო დამზადებული. იმპორტმაც მსგავსი გზა განვლო: ის 111 მილიონ გირვანქას უდრიდა 1925 წლის ივნისში, 81 მილიონს 1926 წლის მაისში და 97 მილიონს ამავე წლის ივნისში.

ამ გაზეთებში ზოგიერთი ულმობელი ცნობაც აღმოვაჩინე. ინგლისელი მემაღაროების ბრძოლის ღალატი ამსტერდამის მიერ მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველ ციფრებშია გამოხატული. უკანასკნელ ივნისში უცხოეთიდან შემოტანილ იქნა დაახლოვებით ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგის ქვანახშირი, მაშინ როცა 1925 წლის ივნისში ქვანახშირის იმპორტი 1,361 გირვანქა სტერლინგს უდრიდა!..

ქვევით მე ვაძლევ უზარმაზარ ციფრებს, რომელიც ხორბლის, ფქვილის და ხორცის შემოზიდვას შეეხება: ეს საქონელი 28 მილიონ სტერლინგისა შემოდის თვეში!

და ძალაუნებურად იმ მინდვრებს ვაცქერდები, რომელიც ჩემ თვალწინ იშლება ვაგონის ფანჯარაში.

ესაა დაუსრულებელი საბალახოები, რომელსაც ალაგ-ალაგ ტყის მწვანე კიდეები საზღვრავს. მაგრამ შინაური საქონელი იშვიათად მოსჩანს... მხოლოდ აქა-იქ რამდენიმე ცხვარი მზის სიცხეს შეჰფარებია ღობის ჩრდილოში. მხოლოდ დიურჰეიმის მიდამოებში დავინახე ნამდვილი ცხვრის ფარა. აქ მიწას მხოლოდ იმისთვის ამუშავებენ, რომ კომბოსტო და კართოფილი მოიყვანონ. პურის ყანები წინწკლებივით სჩანან კომბოსტოს ველებში. ეს მხარე კი ინგლისის ერთ საუკეთესო ბაღად ითვლება. და აქ არაფერი სჩანს გარდა თივისა, კომბოსტოსი და კართოფილისა!

ესმოდა თუ არა ლლოიდ ჯორჯს, როცა მან მიწათმფლობელობის რეორგანიზაციის პროექტი შეიმუშავა, ამ კუნძულის სახიფათო მდგომარეობა, რომელიც ნელ-ნელა ჰკარგავს შორეული ახალშენების პურის ბეღლებს და რომლის ეკონომიური და ინდუსტრიული მდგომარეობა თანდათან რთულდება? ყოველ შემთხვევაში ფაქტები შეურყეველია: ინგლისში 18 მილიონ გირვანქა სტერლინგის ხორბალი და ხორცი შემოდის, საკუთარი მიწათმოქმედება კი მხოლოდ კომბოსტოსა და კართოფილს იძლევა და სრულიად არ იძლევა არც ხორბალსა და არც ქერს.

კარგა ხანია რაც პიტსბურგს გავსცილდით და უკვე ლინკოლნშირის მინდვრებს ვსერავთ. ბუნება წინანდებურად უსიცოცხლო და ერთფეროვანია. მხოლოდ დროგამოშვებით სარეკლამო ფიცრები სჩანან, რომლებზედაც „საფაღარათო ფხვნილს" და „ყოკებს" უძღვნიან შესხმას, თითქო ამ ქვეყნად სხვა არა იყოს რა, გარდა დოდოსა და მუცელში შეკრულ ადამიანებისა.

მატარებელი სავსეა საფრანგეთიდან დაბრუნებული ადამიანებით, ისინი ამ ქვეყანას ზიზღით იხსენიებენ, თუმცა იქ თითქმის მუქთად უცხოვრიათ. მათი გამძღარი მუცელიც კი არ არის მადლიერი „საბრალო საფრანგეთის" მიმართ!

მატარებელი ჩერდება. ეს არის იორკი თავისი ჩუქურთმიანი ტაძრით. ამ ძველს ქალაქს გადარჩენილი მოწიწება აქვს თავის წარსულისადმი, თავის ავსტრიულ ნაშთებისადმი, თავის რომაულ დროის გალავნისადმი.

იორკი ინგლისის რკინიგზების ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია. მაგრამ აქ ყველაზე დაბლა სდგას რკინისგზელების შეგნება. სადგურზე მე ველაპარაკე ერთ მუშას. შემთხვევით ის შედარებით „შეგნებული" აღმოჩნდა. მას არ უყვარს ტომასი. მაგრამ იორკში ბევრი როდი მოიპოვება მისი მსგავსი. რით აიხსნება ეს გარემოება? „შეხედეთ ამ ხალხს,—მეუბნება ის,—ეს რკინისგზელები, უმრავლეს შემთხვევაში, ფერმის მუშების შვილები არიან. ისინი სოფლად სცხოვრობენ, პატარა ბაღებს ამუშავებენ. ისინი ბედნიერები არიან. და როცა ისინი თავიანთ ხელფასს სოფლის მუშების ქირას ადარებენ, თავიანთ თავს არჩეულებად სთვლიან. მათ არ უყვართ არც გაფიცვა, არც რაიმე გართულება. ისინი პირველნი მიდიან ყოველგვარ დათმობაზე. ტომასი მათ კარგად იცნობს. სანამ მან იცის, რომ უკან გლეხი-რკინისგზელები უდგანან, თავს არხეინად გრძნობს".

აი, ნამდვილი მიზეზი მოღალატე ტომასის გამარჯვებისა რკინისგზელების უკანასკნელ ყრილობაზე.

მატარებელი იძვრის კიდევ უფრო დატვირთული, ვიდრე აქამდე იყო. ჩნდებიან ქვანახშირის მაღაროები, რომელნიც რაღაც ზღაპრულ თხუნელის ხვრელებს ჰგვანან. სამი თვეა, რაც მათ სძინავთ.

აი, დიურჰემი, მისი საშუალო საუკუნეების დროის ტაძარი და ამაყი კოშკი ზევიდან დაჰყურებენ ჩრდილოეთის ველებს, რომელსაც „მფრინავი შოტლანდიელი" სჭრის.

ბოლოს ნიუკესტლის კონტურები იმართება მდინარის ნისლიან ნაპირებზე. მეფე ედუარდის ხიდიდან ნავთსადგური სჩანს. საბარგო გემები მიბმულნი არიან. მხოლოდ დანიაში მიმავალი ხომალდი ემზადება წასასვლელად.

ქ. დავიდ.

ნიუკასტლ, 21 ივლისი.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

გერმანიის ელჩი გროკდორფ-რანცაუ საბჭოთა მრეწველობისათვის კრედიტების მიცემის შესახებ

საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემას მოითხოვდა გერმანიის მრეწველობის ინტერესები.—გერმანიის მრეწველობამ ყოველივე ღონისძიება უნდა მიიღოს, რომ მუშაობის კარგი ხარისხით და შეკვეთების დროზე შესრულებით დააკმაყოფილოს საბჭოთა მეურნეობის მოთხოვნილებები.—კრედიტების მიცემა ამტკიცებს იმას, რომ მთელი გერმანიის ხალხი ნდობით უცქერის საბჭოთა კავშირს.—გერმანია-საბჭოთა ეკონომიური თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია ეკონომიური კრიზისის დაძლევა ევროპაში

გერმანიის ელჩის განცხადება

მოსკოვი, 6 აგვისტო. ბერლინის გაზეთმა „ლოკალ ანცეიგერ" გამოაქვეყნა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის საუბარი გერმანიის ელჩთან საბჭოთა კავშირში გრაფ ბროკდორფ-რანცაუსთან.

გერმანიის ელჩმა სთქვა:

„მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოებისათვის გერმანიის ინდუსტრიის მიერ 300 მილიონი კრედიტის მიცემის შესახებ კომპრომისით დათავდა.

ამ შეთანხმების მიღწევამ გაადვილა ურთიერთის დაახლოება და ნიადაგი შეუმზადა მჭიდრო და ფართო საერთო მუშაობას სამეურნეო აღმშენებლობის დარგში.

ეხლა, შეთანხმების დადების შემდეგ, შეიძლება გადავავლოთ თვალი წარსულ დროს და განვსაჯოთ, თუ რამდენათ გონიერი იყო ორივეს მხრით ის, რომ ამდენი დრო დაიკარგა პროცენტების რაოდენობის შესახებ. დაკარგული დრო უნდა იქმნას ანაზღაურებული, ვინაიდან ორივე მხარის მეურნეობა საჭიროებს ძლიერ იმპულსს. საბჭოთა მთავრობის ამოცანაა—რაც შეიძლება მალე დაიწყოს შეკვეთების განაწილება. გერმანიის ინდუსტრია ყოველი ძალღონით უნდა ეცადოს, რომ მუშაობის საუკეთესო ხარისხით და ჩაბარების ვადების სისწორით დაცვით დააკმაყოფილოს საბჭოთა მეურნეობის მეტად რთული მოთხოვნილებები. ამის გამო, რომ ორთავე ქვეყნის მეურნეობა ურთიერთისაგან არის დამოკიდებული, ორივე მხარე უნდა შეეცადოს, ისე იზრუნოს საკუთარ ინტერესებზე, რომ ერთიც და მეორე მხარეც კმაყოფილი დარჩეს ყოველი შეკვეთის შესრულების დროს.

ამ საკრედიტო ოპერაციის გატარება, რომელიც დაამტკიცა, როგორც მთელმა სახელმწიფომ, ისე გერმანიის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ცალკე სახელმწიფოების საკანონმდებლო ინსტანციებმა, სრულიად ახალ საქმეს წარმოადგენს ორთავე სახელმწიფოს ეკონომიურ ურთიერთობაში. ეს კრედიტი დაამტკიცა გერმანიის მთავრობამ დიდი ხალხის—მეზობლის სასარგებლოდ, რომელთანაც მას სურს მეგობრულად იცხოვროს და მასთან ერთად მშვიდობიანი საერთო მუშაობა აწარმოოს.

ეს კრედიტი საბჭოთა კავშირისადმი დიდი ნდობის დამამტკიცებელია და ასეც აფასებენ მას. მან დაიმსახურა მთელი ქვეყნის პატივისცემა და ყურადღება. ომამდე და ეხლაც თავისთავად გასაგებია, როდესაც ერთი ქვეყანა აძლევს მასთან პოლიტიკურ მეგობრობაში მყოფ მეორე ქვეყანას მისი შეიარაღებული ძალების გაძლიერებისათვის საჭირო საშუალებებს. მე მოხარული ვარ, რადგან შემიძლია აღვნიშნო, რომ **ეს კრედიტი მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.**

ეს კრედიტი არ არის დანიშნული იმისთვის, რომ მისი საშუალებით დაკვეთილ იქნეს სამხედრო ტექნიკის ახალი მიღწევები და სამხედრო მოწყობილობა. მისი დანიშნულებაა მშვიდობიან აღმშენებლობისათვის საჭირო დაკვეთის მიღება: მანქანებზე, დაზგებზე და სხ. ეს კრედიტი ემსახურება არა განადგურების, არამედ აღმშენებლობის მიზნებს. პოლიტიკური საბუთები ეკონომიურ ბაზასაც საჭიროებენ. **ეს კრედიტი—წარსული წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებათა ლოღიკური შედეგია და სავსებით შეეფერება გერმანიის ინდუსტრიის აუცილებელ მოთხოვნილებებს პროდუქციის გასაღების დარგში.** გასაღების კრიზისი გერმანიაში—ევროპის კრიზისია. ვინც ხელს უწყობს გერმანიის პროდუქციის გასაღების ზრდას, ის ხელს უწყობს ევროპის ინტერესებს. ამიტომ ამ ხელშეკრულებათა დადება საბჭოთა კავშირთან ერთ-ერთი შედეგია ისეთი პოლიტიკის გამარჯვებისაკენ მიმართულ ჩემი ცდის, რომელიც საშუალებას აძლევს გერმანიის ხალხს დაიჭიროს მისი შესაფერი ადგილი მსოფლიოში და ამავე დროს ემსახურება მშვიდობიანობის განმტკიცებას და ევროპის ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებას.

საუბარი გერმანიის ვიცე-კონსულთან თბილისში

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს გერმანიის ვიცე-კონსულმა თბილისში დოქტორმა ჰეჰკემ, რომელიც დროებით ასრულებს გერმანიის გენერალური კონსულის მოვალეობას, საბჭოთა კავშირის და გერმანიის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— გერმანიის და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის კანონიერი საფუძველია ეკონომიური შეთანხმება, რომელიც დადებული იქნა ხსენებულ სახელმწიფოებს შორის 1925 წლის 12 ოქტომბერს.

მე სულ რამოდენიმე დღეა, რაც ვიმყოფები საბჭოთა კავშირის ფარგლებში და ამიტომ ჯერ მე თვითონ უნდა შევისწავლო ეს სავაჭრო ურთიერთობა. მაგრამ, ჩემის აზრით, ეხლავე შეიძლება თქმა იმის, რომ ამ შეთანხმების პირველი პუნქტი განსაკუთრებით ხელს შეუწყობს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ამიტომ მე გთხოვთ სიტყვა-სიტყვით მოათავსოთ ეს მუხლი, რომელსაც მეტად დიდ მნიშვნელობას ვაძლევ.

ეს მუხლი ამბობს: **„ორივე სახელმწიფოს მთავრობები მიიღებენ ზომებს, რომ ყოველის მხრივ ხელი შეუწყონ სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას, განამტკიცონ საქონლის ბრუნვა და სამეურნეო აღმშენებლობის წარმატებასთან ერთად აიყვანონ ორივე ქვეყნის მონაწილეობა საქონლის ურთიერთ შემოტანა-გატანაში ომის წინა დროის ნორმამდე".**

რაც შეეხება ამიერ-კავკასიას, მე დარწმუნებული ვარ, რომ სავაჭრო ურთიერთობა გერმანიასა და ამიერ-კავკასიის შორის სწრაფად განვითარდება, თუ სავაჭრო ორგანოები იხელმძღვანელებენ ეკონომიური შეთანხმების ზემოაღნიშნული მუხლით.

გერმანიას და საბჭოთა კავშირს, საერთოდ, კერძოდ კი ამიერ-კავკასიას აქვთ მრავალი ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც მეტად გაადვილებს საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობას მეგობრულ სახელმწიფოებს შორის, თუ სათანადო ანგარიში გაეწევა ურთიერთის ეკონომიურ ინტერესებს.

— თქვენ გერმანიის ვიცე-კონსული იყავით სმირნაში. ხომ არ შეგიძლიათ გაგვიზიაროთ თქვენი შთაბეჭდილებები თანამედროვე ოსმალეთის შესახებ,—შეეკითხა ჩვენი თანამშრომელი.

— თანამედროვე ოსმალეთი, როგორც საბჭოთა კავშირიც, უდიდეს ყურადღებას აქცევს ეკონომიურ აღმშენებლობას. ამ მხრივ იგი საბჭოთა კავშირთან შედარებით ნაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაშია, რადგან მას არ აქვს იმდენი ბუნებრივი სიმდიდრე და არ ჰყავს იმდენი მომზადებული ხალხი, როგორც საბჭოთა კავშირს. ამიტომ სამეურნეო პროგრესი ოსმალეთში უფრო ნელის ტემპით მიდის, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

ყოველ შემთხვევაში, **საბჭოთა კავშირის მაგალითს დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის, რასაც ამტკიცებს, თუ გინდ, ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეების მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, კერძოთ კი ოსმალეთის მიწათმოქმედების კომისარის სტუმრობა მოსკოვში.**

— როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე თბილისმა?

— ჩემი პირველი შთაბეჭდილება მეტად დადებითია. ეს აზრი, რასაკვირველია, შეიძლება იყოს მხოლოდ წინასწარი და გამოწვეულია იმით, რომ მე ჩამოვედი ისეთი ქალაქიდან (სმირნა), რომელიც ნახევრად დანგრეულია.

ყოველ შემთხვევაში, თბილისმა ჩემზე მოახდინა „გროსშტატ"-ის (დიდი ქალაქის) შთაბეჭდილება; თბილისი მრავალფეროვანია და ცოცხალი ქალაქია.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ინგლისელი მკერავების რეზოლიუცია

ლონდონი, 5 აგვ. მკერავთა კავშირის კონფერენციაზე ლიდსში საბ. კავშირის მკერავთა პროფკავშირის დელეგატებს სოკოლნიკოვსა და ხლენის გაუმართეს საზეიმო შეხვედრა. საბჭოთა კავშირის დელეგატთა სიტყვები, რომლებშიც ისინი მოითხოვდენ პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობის აღდგენას, კონფერენციის ყველა მონაწილეების მიერ აღფრთოვანებით იქნა მოსმენილი.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი, რეზოლიუცია. რომელშიც წინადადებას აძლევს მკერავთა საერთაშორისო ფედერაციას დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის მკერავთა პროფკავშირთან უკანასკნელის ფედერაციაში შესვლის შესახებ.

რეზოლიუციაში ნათქვამია: **თუ მკერავთა საერთაშორისო ფედერაცია საბჭოთა კავშირის მკერავების პროფკავშირს უარს ეტყვის, მაშინ ინგლისის მკერავთა პროფკავშირი იძულებული იქნება გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება საერთაშორისო ფედერაციისადმი.**

სამხრეთ-სლავია და ბულგარეთი

ლონდონი, 6 აგვისტო. როგორც სარწმუნო წყაროები იუწყება, ინგლისის მთავრობა გულმოდგინეთ ადევნებს თვალ-ყურს სამხ.-სლავ. და ბულგარეთის შორის კონფლიქტის გაღრმავებას. ლოკერ ლემპსონმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ მას არ აქვს დასამტკიცებელი საბუთები იმის შესახებ, რომ მართალია სამხ.-სლავიის მთავრობამ უბრძანა თავის ჯარებს ბულგარელების წინააღმდეგ გალაშქრება თუ არა. მაკედონიის ბანდების სამხ. სლავიის ტერიტორიაზე შემოჭრის გულისათვის.

ლოკერ ლემპსონმა განაცხადა, რომ მას აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ სამხ. სლავიის განზრახვა აქვს მომხდარი კონფლიქტი განსახილველად გადასცეს ერთა ლიგის საბჭოს.

ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება ვალების შესახებ

ლონდონი, 6 აგვ. შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის შემოდგომაზე მოხდება ოფიციალური თათბირი, რომელიც ომიანობის ხანაში მიყენებულ ზარალის ანაზღაურების საკითხს განიხილავს. ამერიკის პრეტენზიები ჯერ ლონდონში არ იციან. ორთავე მხრივ ბევრია მთავრობის დაწესებულებათა პრეტენზიები, თუმცა პრეტენზიების უმრავლესობა კერძო პირების მხრივ არის წამოყენებული.

გ ა ფ ი ც ვ ა ინ გ ლ ი ს შ ი

გაფიცვის საკითხი თემთა პალატაში

ლონდონი, 4 აგვ. 4 აგვისტოს მოხდა ინგლისის პარლამენტის დათხოვნა. თუ სანახშირო მრეწველობაში კონფლიქტი გაგრძელდა, პარლამენტი შეიკრიბება თვის უკანასკნელ რიცხვებში „საგანგებო მდგომარეობის" გასაგრძელებლად.

პალატის უკანასკნელ სხდომაზე წამოიჭრა საკითხი ქვა-ნახშირის მრეწველობაში კონფლიქტის შესახებ. შრომის მინისტრმა სტილ მეიტლენდმა განაცხადა, რომ დათხოვის წინ პარლამენტი ყოველ გვარ ზომას მიმართავს სამთა-მადნო მუშებსა და მაღაროს მეპატრონეთა შორის არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად. მეიტლენდმა უარყო ცნობები თითქოს მემაღაროეები შიმშილს განიცდიან; ეს ცნობები უფრო პარტიული მოსაზრებით ვრცელდება.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ სამთამადნო მუშების უმრავლესობა მხარს უჭერს ხუცების წინადადებას. თუ ამ წინადადების გარშემო კენჭის ყრამ დადებითი შედეგები მოგვცა—ფიქრობს თუ არა მთავრობა ეს წინადადება დაუდვას საფუძვლად მემაღაროთა და მაღაროს პატრონთა შორის მოლაპარაკებას?

სამთა-მადნო დეპარტამენტის მართველმა განაცხადა, რომ მთავრობას აქვს ხუცების წინადადების საწინააღმდეგო პრეტენზიები, რომელიც ჯერ მოგვარებული არ არის. თუ კენჭის ყრის შემდეგ შეიქნა რაიმე შესაძლებლობა კონფლიქტის მოგვარებისა მთავრობა არ გაუშვებს ამ მომენტს მხედველობიდან და ეცდება მიაღწიოს მოწინააღმდეგე მხარეთა შორის შეთანხმებას. მოლაპარაკება უნდა აწარმოოს მხოლოდ სამთამადნო მუშებისა და მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენლებმა და არა გარეშე ვინმემ.

მემაღაროეთა ალმასკომში

ლონდონი, 6 აგვ. სამშაბათს შეიკრიბა მემაღაროეთა ფედერაციის ალმასკომი, რომელიც განიხილავს მოხსენებას შეთანხმების პირობების მემორანდუმის შესახებ. ეს მემორანდუმი წამოყენებულ იქმნა წარსულ კვირას სამთამადნო მუშების სადელეგატო კონფერენციაზე. თუმცა მემორანდუმში შედის წინადადება მთავრობის სუბსიდიის კვლავ გაგრძელების შესახებ, რომელსაც მთავრობა მიუღებლად სთვლის, მაგრამ ამ მემორანდუმს უცქერიან, როგორც მემაღაროეთა მიერ გადადგმულ ნაბიჯს წინანდელი პოზიციიდან.

სამი რაიონის გადაწყვეტილება უკვე გამოქვეყნებულია **ნორტუმბერლენდმა დაადასტურა მემორანდუმი 50 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 6 ხმისა. კუმბერლენდმა, (პატარა რაიონია, სადაც 11.000-მდე მემაღარო მუშაობს) უარყო მემორანდუმი. უარყოფილ იქმნა მემორანდუმი, როგორც მოსალოდნელი იყო, ლანკაშირის მიერაც.**

საფაბრიკო კანონ-პროექტი

ლონდონი, 6 აგვ. შინაგან საქმეთა მინისტრმა თემთა პალატის წევრებს დაურიგა ახალი კანონ-პროექტის ტექსტი, რომელიც საფაბრიკო კანონის დამატებას წარმოადგენს. კანონ-პროექტის ტექსტი უახლოვდება მუშათა მთავრობის მიერ მომზადებულ ტექსტს, მაგრამ მასში არის ისეთი ადგილებიც, რომლებიც დიდ დავას გამოიწვევს. განმარტებით მემორანდუმში მთავრობა გამოსთქვამს, რწმენას, რომ კანონპროექტი გააუმჯობესებს ფაბრიკის პირობებს და ხელს შეუწყობს, როგორც მრეწველობის ნაყოფიერებას, ისე მუშათა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. კანონ-პროექტის ერთი ნაწილი შეიცავს მუშა-ქალებისა და მოზარდების მუშაობის პირობების საკითხს. მუშა-ქალებსა და მოზარდთა სამუშაო საათების საერთო რიცხვი ფაბრიკაში არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს კვირაში.

გაზეთების მიმოხილვა

უცხოეთის პრესა

„ფრაქციონიზმის წინააღმდეგ! გაუმარჯოს მსოფლიო კომპარტიის მთლიანობას!"

ასეთი სათაურით ავსტრიის ჩვენი ძმური პარტიის ცენტრალურ ორგანოში („დი როტეფანე", 27 ივლისის №) მოთავსებულია მოწინავე წერილი, რომელშიც რედაქცია კომენტარიებს უკეთებს იმავე ნომერში გამოქვეყნებულ საკავშირო კომპარტიის ცეკას და ც. ს. კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლიუციას ამხ. ზინოვიევისა და სხვ. შესახებ.

იხილავს რა პარტიულ უთანხმოებათა ისტორიას და უკანასკნელი პარტყრილობის გადაწყვეტილებას „ახალი ოპოზიციის" შესახებ, გაზეთი სწერს:

„პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ სთქვა თავისი გადამწყვეტი სიტყვა. დიდი უმრავლესობით გამოიტანა მან გადაწყვეტილება ოპოზიციის შეხედულებათა წინააღმდეგ. პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებში, როგორც სარკეში, აღინიშნა რწმენა მთელი პარტიის. წევრთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დადგა ზინოვიევის პლატფორმის ნიადაგზე.

როგორც ეს მოსალოდნელი იყო მსოფლიო მნიშვნელობის კომპარტიაში, რევოლიუციის ამ შეკავშირებულ და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულ არმიაში, პარტიული ყრილობა მოელოდა ოპოზიციისაგან გადაჭრითა და ყოველ პირობის გარეშე დამორჩილებას უმრავლესობის გადაწყვეტილებებისადმი. ასეთი დამორჩილება არის წინასწარი პირობა პარტიის მთლიანობისათვის. ხოლო ეს მთლიანობა კი თავის მხრივ არის წინასწარი პირობა რევოლიუციის წარმატებისათვის.

მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ ამის მაგიერ.? ოპოზიციის ერთმა ნაწილმა ყრილობის შემდეგაც არ შეუშვა ხელი ფრაქციულ ბრძოლას. ფრაქციული ბრძოლა კი შხამია პარტიის ორგანიზმისთვის. და აი საკავშირო ჩვენმა ძმურმა პარტიამაც უყოყმანოთ მიიღო ზომა კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელი ავანგარდის დასაცავად ამ შხამის დამარღვეველი გავლენისგან. თავის ნაბიჯი მან არ შეაჩერა ამხ. ზინოვიევის წინაშე, რომელსაც დიდი რევოლიუციონური დამსახურება მიუძღვის წარსულში.

კომუნისტური ინტერნაციონალი და მისი სექციები გახურებული შანთით ამოსწვავენ ფრაქციონიზმს, თუ გინდ მისი მონაწილენი იყვნენ თვით დამსახურებული ბელადებიც. (ხაზი გაზეთისაა. რედ.)

რადგან კომუნისტებისათვის უმთავრესია პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი საქმე, ამ ბრძოლის იარაღი, რევოლიუციონური პარტია—ეს უმთავრესია. ხოლო ერთი პიროვნება თუ გინდ ბელადიც იყოს ის—არაფერია მასთან შედარებით. სწორეთ იმითაც განსხვავდება მსოფლიო კომუნისტური პარტია ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატიისაგან, რომ ბელადი მისთვის ფეტიში, კერპი, არ არის და რომ პარტია წესრიგისაკენ მოუწოდებს მასაც იმ შემთხვევაში, თუ ის წავიდა პარტიის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

საკავშირო კომპარტიამ კვლავ დაამტკიცა სიძლიერე და სიმტკიცე თავისი რიგების, რაც საშუალებას აძლევს მას გამოიტანოს და ცხოვრებაში გაატაროს ფრიად მძიმე და მნიშვნელოვანი (schwerwiegendsten) გადაწყვეტილებანი.

და ტყვილა ზეიმობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი ბურჟუაზიული ბანაკიდან და მათი ლაქიები მეორე ინტერნაციონალიდან ჩვენი უთანხმოებათა გამო. საბჭოთა კავშირი დღეს ძლიერია როგორც არასოდეს; საკავშირო კომპარტიამ კვლავ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები; კომპარტია კი არ იშლება, არამედ ფოლადდება, აძლიერებს თავის რაზმებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლაში ის იცავს თავს ფრაქციონიზმის შავი ქირისაგან და არც არავის ერიდება ის ასეთი ხაზის გატარების დროს".

„როტე ფანე" ასე ათავებს თავის წერილს:

„ყველა ქვეყნის კომპარტიები წინ მიდიან. ეს წინსვლა ისტორიულად არის დასაბუთებული და ვერავითარი ჩხავილი შავი ყორნებისა ვერ შეაჩერებს მას. მსოფლიო კომუნისტურ პარტიაში ყველა ძალები დარაზმული უნდა იყვნენ ერთი მიმართულებით, ლენინური ბრძოლის მიმართულებით. ამიტომ **ძირს ფრაქციონიზმი! გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტური პარტიის მთლიანობას!"**

ასე გამოეხმაურა ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო პლენუმის გადაწყვეტილებას ოპოზიციის შესახებ.

ს ა ბ ჭ ო თ ა პ რ ე ს ა

საბინაო კრიზისი

როგორც ვიცით, საბინაო აღმშენებლობის საკითხმა საკავშირო კომპარტიის ცეკას უკანასკნელ პლენუმის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ზიანი, რომელსაც აყენებს საბჭოთა მეურნეობას ბინის კრიზისი, მეტად მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია. თუ რა სურათია ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ბინით უზრუნველყოფის დარგში, ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევა მოსკოვის „ნაშა გაზეტა".

„ბინის კრიზისმა ღრმად გაიდგა ფესვები, სწერს გაზეთი. უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში ეს საკითხი არა თუ არ დაძრულა ერთი ადგილიდან, არამედ, პირიქით, ის ყოველწლიურად უფრო და უფრო მწვავდება. ქალაქებში ჩვენ მოწმე ვხდებით საცხოვრებელი მოედნის თითოეულ სულზე თანდათანობით შემცირების. 1923 წ. მთელი საბჭოთა კავშირის ფარგლებში აღებული საცხოვრებელი მოედანი ქალაქის თითო მცხოვრებზე საშუალოდ უდრიდა 12,7 კვ. არშინს, ეხლა კი უდრის 11,6 კვ. არშინს. ამავე დროს საშუალო მოედანი მუშათა სახლებში კიდევ უფრო მცირეა, ის თვითეულ კაცზე დაახლოვებით 10 კვ. არშინს უდრის. ჩვენ კი ვიცით, რომ სანიტარული ნორმა 16 კვ. არშინს უდრის.

მიმდინარე სამეურნეო წელში დასახული საბინაო მშენებლობა შეავსებს 1,1 ან 1,2 მილიონ კუბ. საჟენს, ანუ დაახლოვებით 250 ათასი კაცის საბინაო ნორმას. ეს მაშინ, როცა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად 600 ათასი კაცით იზრდება".

აქედან ცხადია, რომ ამნაირ საამშენებლო ტემპით ჩვენ არა თუ ვერ გავანელებთ საბინაო კრიზისს, არამედ ვერ შევსძლებთ მის ყოველწლიურად გართულების სრულიად შეჩერებასაც.

„ეს ციფრები, განაგრძობს გაზეთი, აშკარად ნათელჰყოფენ შექმნილ მდგომარეობის მთელ სიმწვავეს. საბინაო კრიზისი სერიოზულ დაბრკოლებებს ჰქმნის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. საბინაო კრიზისი აფერხებს მრეწველ. შემდეგ განვითარებას, რადგან ვერსად დავაბინავებთ მუშებს. საბინაო კრიზისისგან წარმოიშვება ჩვენი ყოფა-ცხოვრების მრავალი მახინჯი მხარეები. საბინაო კრიზისი ღებულობს საზოგადოებრივ ბოროტების ხასიათს და მასთან საბრძოლველად უნდა მოვახდინოთ მთელი ჩვენი საშუალებების და ძალღონის, მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაცია".

ჩვენს სინამდვილეშიაც მეტად მწვავეთ სდგას ეს საკითხი. არა თუ მთავარ ქალაქებში, არამედ დაბებში და სამაზრო ცენტრებშიაც კი მეტად საგრძნობ უბინაობას აქვს დღეს ადგილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის პუნქტები, რომელნიც რკინის-გზის წარმოებასთან არიან დაკავშირებული (ხაშური, ზესტაფონი, სამტრედია, ბათომი და სხვა) და, აგრეთვე ცალკე მუშათა უბნები როგორც მაგალითად, ჭიათურა, ტყიბული, ზაჰესი და სხვები.

ამიტომ საბინაო აღმშენებლობის საკითხი განსაკუთრებულ ყურადღების საგნათ უნდა გადაიქცეს. ჩვენ კიდევ არა გვაქვს სავსებით გათვალისწინებული რამდენ ტკივილებს დაედება მალამოთ საბინაო კრიზისის მოწესრიგება და რამდენად დააჩქარებს ის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ და კულტურულ წინსვლელობას.

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ჰუნგრეთის კონტრრევოლიუციის განაჩენი

(„იზვესტია"-ს მოწინავე)

მოსკოვი, 6 აგვისტო. „იზვესტია" თავის მოწინავე წერილში ასეთი სათაურით სწერს:

ბურჟუაზიულ ჰუნგრეთის სასამართლოს წინაშე ყოველგვარი ბრალდებები რაკოშის და მის ამხანაგების და ჰუნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიის წევრთა წინააღმდეგ უსაფუძვლო აღმოჩნდა.

რაკოშის და მისი ამხანაგების წინააღმდეგ წაყენებული იყო ბრალდება, რომ ისინი ამზადებდენ შეიარაღებულ აჯანყებას. ეს ბრალდება პროვოკაციული იყო, იმიტომ რომ ჰუნგრეთის კომუნისტები უშუალოთ კი არ ამზადებდენ შეიარაღებულ აჯანყებას, არამედ მუშაობდენ მხოლოდ კომპარტიის განსამტკიცებლად და დასარაზმავად, მასში ფართო პროლეტარულ მასების ჩასაბმელად და პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის დასამყარებლად.

ინგლისის კონსერვატორების და ჰუნგრეთის მემამულეების, ბანკირების, სპეკულიანტების და ყალბი ფულის მკეთებელთა გულის მოსაგებად ბეტლენის მთავრობამ იკისრა სამშობლოს და საზოგადოების მხსნელის როლი და „წითელი საფრთხის" წინააღმდეგ მიმართა პროვოკაციულ მოქმედებას. ბრალდებულთა საშინელი წამებით, საბჭოთა კავშირში და ჰუნგრეთის პარტიაში პროვოკატორების გაგზავნით მას უნდოდა დაემტკიცებია, რომ კომუნისტები ამზადებდენ შეიარაღებულ აჯანყებას. ჰუნგრეთის მთავრობის პროვოკაცია გაკოტრდა კონტრრევოლიუციონურ ტრიბუნალის წინაშეც კი, რომელიც იძულებული იყო ეღიარებია, რომ ჰუნგრეთის კომუნისტების ერთად-ერთი დანაშაული მდგომარეობდა „წითელი სიძულვილის წაქეზებაში". მთავრობის მეორე პროვოკაცია მდგომარეობდა იმაში, რომ მან გააერთიანა კომუნისტების პროცესი ჰუნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიის მოღვაწეთა პროცესთან. ეს პარტია არ არის კომინტერნის სექცია. მან თავისი წარმომადგენლები გაგზავნა მე-2 ინტერნაციონალის მარსელის კონგრესზე. კონტრრევოლიუციონურ ჰუნგრეთის ტრიბუნალიც კი იძულებული იყო ეღიარებია, რომ სოციალისტური მუშათა პარტია ლეგალური პარტიაა და არ წარმოადგენს კომუნისტურ ორგანიზაციას, რის გამოც მასზე არ უნდა გავრცელდეს კანონი სახელმწიფოს დაცვის შესახებ. ამიტომ სასამართლოს განაჩენი არის მიმართული თვით ჰუნგრეთის მთავრობის წინააღმდეგ.

სასამართლოს განაჩენმა გამოააშკარავა ჰუნგრეთის უდიდესი სირცხვილი, აღნიშნა რა, რომ სახელმწიფოს დაცვის კანონით კომპარტიის უბრალო წევრობა წარმოადგენს მძიმე დანაშაულს. ამ მხრივ ჰუნგრეთის კომუნისტების პროცესს ეძლევა საერთაშორისო მნიშვნელობა.

ჰუნგრეთის რევოლიუციონერებმა ტრიბუნალის წინაშე თავი ეჭირათ ისე, როგორც შეფერის კომუნისტებს. მათ მაღლა ეკავათ ხელში კომუნიზმის დროშა და ოდნავადაც არ დაუხევიათ უკან თავიანთი კომუნისტური რწმენისაგან. მათ გადააქციეს ტრიბუნალი კომპარტიის ლეგალურ არსებობისათვის საბრძოლველ ტრიბუნად და ამით დაგვანახვეს, თუ როგორ უნდა ბრძოლა რევოლიუციონურ რეალურ პოლიტიკის მიხედვით კომპარტიის ლეგალობისათვის იმ ქვეყნებში, სადაც თეთრი ტერორია გამეფებული.

ბუდაპეშტის პროცესის ბრალდებულები გახდენ ბრალმდებლებათ, ხოლო ბრალდებულთა სკამზე აღმოჩნდენ ჰუნგრეთის კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზია, მეორე ინტერნაციონალი და ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატია.

ბუდაპეშტის სასამართლომ შეგნებულად აირჩია კონტრრევოლიუციის ხელისუფლების არსებობის მეშვიდე წლისთავი პროლეტარულ ძალა-უფლების დამხობის შემდეგ კომუნისტების წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენის გამოსაქვეყნებლად. ბურჟუაზიას უნდოდა აღენიშნა თავისი გამარჯვება პროლეტარიატზე ახალი ბოროტმოქმედებით. მაგრამ ის ფაქტი, რომ პროლეტარული ხელისუფლების დამხობასთან 7 წლის შემდეგ ჰუნგრეთის მუშათა კლასმა წამოაყენა ისეთი ბელადები, ისეთი კომუნისტები, როგორიც არიან ისინი, ვინც სასამართლოს წინაშე წარსდგენ,—ამტკიცებს, რომ კომუნიზმის დახრჩობა სისხლის ზღვაშიაც კი არ შეიძლება, და რომ ის აღწევს გამარჯვებას ბრალდებულის სკამზე ჯდომის დროსაც.

კონტრრევოლიუციის გამარჯვების მეშვიდე წლის თავზე ტრიბუნალმა გამოაქვეყნა განაჩენი არა ჰუნგრეთის კომუნისტების, არამედ ჰუნგრეთის კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ.

უნგრეთელ რევოლიუციონერების პროცესი

განაჩენის გამოტანის დღე

„ოხრანკა" და პოლიცია მზად იყო

ვენა, 5 აგვისტო. იტყობინებიან ახალ დაწვრილებით ცნობებს იმ ამბების შესახებ, რომლებიც თან სდევდა განაჩენის გამოტანას რაკოშის საქმეზე. პოლიციამ, იმ საბაბით, რომ ვითომც სოციალისტური მუშათა პარტიას განზრახვა ქონდა მოეწყო დემონსტრაცია, განაჩენის გამოტანის დღეს ალყა შემოარტყა არა მარტო სასამართლოს დარბაზს, არამედ ბუდაპეშტის მთელ პროლეტარულ უბანს. მთელ ქალაქში ცხენოსანი პოლიციის გაძლიერებულ რაზმები დადიოდა. ვაგის ცოლი და ზოგიერთი სხვა ბრალდებულების ნათესავები პოლიციაში დაიბარეს. განაჩენის გამოტანის წინ პოლიცია შეიჭრა მუშათა სოციალისტური პარტიის კრებაზე და პარტიის 6 წევრი დაატუსაღა, მათ რიცხვში პროცესზე გამართლებული პარტიის მდივანი გუბერი.

უნგრეთის რევოლიუციონერთა განაჩენის წინააღმდეგ

პრაღა, 5 აგვისტო. ჩეხო-სლოვაკიის გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ უნგრეთის რევოლიუციონერების საქმეზე გამოტანილ განაჩენის შეფასებას. პროგრესიულ ლეგიონერების ორგანო „ნოროდნი ოსვობოჟდენი" განაჩენს იურიდიულ ბოროტ-მოქმედებას" უწოდებს. სოციალ - დემოკრატების ცენტრალური ორგანო „სოციალ-დემოკრატი" კიცხავს „კანონის ცინიკურ უსამართლობას" და აღნიშნავს, რომ ამ განაჩენით უნგრეთელმა რეაქციონერებმა სილა გააწნეს ცივილიზაციასო.

ამნისტია ბანდიტებისათვის

ვენა, 5 აგვისტო. ბუდაპეშტის გაზეთების ცნობით, ჰუნგრეთში ამნისტიით გაანთავისუფლეს იოჰან ზბონა, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 8 წლის ციხე. ზბონა მეთაურობდა კონტრ-რევოლიუციონურ ტერორისტულ რაზმს, რომელმაც ჰუნგრეთში დიქტატურის დაცემის შემდეგ წაიყვანა კეჩკემეტის ციხიდან ტყეში 80 პოლიტიკური პატიმარი და საშინელი წამების შემდეგ დახვრიტა.

საფრანგეთი და გერმანია

პარიზი, 5 აგვისტო. გერმანიის წარმომადგენელს ფონ-გეშს თათბირი ჰქონდა ბრიანთან ოკუპაციაქმნილ ოლქების და განიარაღების შესახებ, აგრეთვე გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

საფრანგეთ - გერმანიის შეთანხმება

პარიზი, 5 აგვისტო. ბრიანმა და ბოკანოვსკიმ ერთის მხრით და გერმანიის ელჩმა პარიზში ფონ გეშმა და პოსსემ მეორეს მხრით, ხელი მოაწერეს დროებით ნაწილობრივ შეთანხმებას, რომელიც აწესრიგებს საფრანგეთ - გერმანიის ეკონომიურ ურთიერთობას.

ინგლისის მეზღვაურთა ყრილობა

ლონდონი, 5 აგვ. სრულიად ინგლისის მეზღვაურთა მორიგ ყოველწლიურ ყრილობაზე, კავშირის თავმჯდომარე ხაველოკ-ვილსონი, რომელიც პროფმოძრაობის ცნობილი რეაქციონური მოღვაწე და რომელმაც მეზღვაურებს მონაწილეობა არ მიაღებია ინგლისის საყოველთაო გაფიცვაში, გამოვიდა ინგლისის მუშათა მოძრობის პოლიტიკის სასტიკი კრიტიკით.

ვილსონი უსაყვედურებს ინგლისის პროფმოძრაობას და მუშათა პარტიას მასში, რომ მათ მიატოვეს „დემოკრატიის გზა", რაც გამოიხატა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებაში. შემდეგ ვილსონმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ტრანსპორტზე მომუშავეთა საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც მისი თქმით შეუერთდა, „ექვს სხვადასხვა ხარისხის სოციალიზმს და თითქმის რუსულ საბჭოთა მთავრობასაც".

მეფის ლაქიების წინააღმდეგ

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენციის წინ

ლონდონი, 5 აგვ. მუშათა პარტიის კონფერენცია დანიშნულია 11 ოქტომბრისათვის. ორგანიზაციების 28 სხვადასხვა ადგილიდან უკვე რეზოლიუციები შემოვიდა. ითხოვენ წასულ წელში ლივერპულის კონგრესზე კომუნისტების გარიცხვის შესახებ მიღებული დადგენილების გადასინჯვას.

ლონდონის პროფკავშირთა საბჭომ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც მოითხოვს, რომ პროფკავშირებს მიეცეს მუშათა პარტიის კონფერენციაზე, დელეგატების არჩევის უფლება. დელეგატებათ შესაძლებელია არჩეულ იქნან კომუნისტებიც და მათ უნდა ჰქონდეთ უფლება არჩეულ იქნენ აღმასკომში და პარტიის სხვა ორგანოებში. არის მთელი რიგი სხვა რეზოლიუციები, რომლებშიც პროტესტს აცხადებენ ლიბერალებთან ყოველგვარ კოალიციის წინააღმდეგ და ითხოვენ წევრების მხრივ კანტროლის გაძლიერებას პარტიის ლიდერების მოღვაწეობაზე. ერთ-ერთი რეზოლიუცია წინადადებას იძლევა, რომ პარტიის აღმასკომში არ იქნება არჩეული ყოფილი მინისტრები.

რეაქციონერების გასამართლება

ოსმალეთში

ბრალდებულთა დაკითხვა

ანგორა, 6 აგვ. დამოუკიდებლობის ტრიბუნალის დღევანდელ სხდომაზე დაკითხეს „ერთობისა და პროგრესის" პარტიის გენერალური მდივანი მიტხად-შუქრი-ბეი და ყოფილი გუბერნატორი რამზი-ბეი.

იმპერიალისტურ ომში ოსმალეთის ჩარევის შესახებ გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებაზე მიტხად შუქრიმ განაცხადა, რომ მოლაპარაკება ხელშეკრულების დადებისათვის დაიწყო ბალკანეთის ომის შემდეგ მახმუდ-შეფკეთ-ფაშამ და შემდეგ განაგრძო საიდ-ხილიმ-ფაშამ, რომელიც პირადათ აწარმოებდა ამ საქმეს და მას არ აცნობდა თავის უახლოესელეს თანამშრომლებსაც კი.

ხელშეკრულების ტექსტი შეადგინა სულეიმან ასკერიმ, ნაზიმმა და იზმაილ ჯანბოლატომ (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი სულთანის მთავრობის დროს). საზღვაო მინისტრი ჯემალ ფაშა წინააღმდეგი იყო ამ ხელშეკრულების და ითხოვდა კავშირს საფრანგეთთან.

რამზი-ბეი ამტკიცებდა, რომ ნაციონალური რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, მას არ მიუღია მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ზალესკის განცხადება

ვარშავა, 5 აგვისტო. უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტების მიღების დროს, პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი მუდმივ ადგილს მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოში.

შემდეგ ზალესკიმ აღნიშნა, რომ გერმანიასთან მოლაპარაკება სწარმოებს ნერვიულ ატმოსფერაში. „ხმები პოლონეთის სამხედრო განზრახვების შესახებ —ჩვენთან მტრულათ განწყობილ წრეების პროპაგანდას წარმოადგენსო".

მასლოვის საქმე

ბერლინი, 5 აგვ. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ უზენაეს სასამართლოს პროკურორმა საოლქო ექიმის მოწმობის თანახმად, ნება დართო კომუნისტ მასლოვს დარჩეს გერმანიაში 15 სექტემბრამდე.

მექსიკაში

ბანკირები პრეზიდენტთან

მექსიკა, 5 აგვ. ბანკირების ჯგუფმა ინახულა მექსიკის პრეზიდენტი. ბანკირებმა აღნიშნეს, რომ კათოლიკურ ეკლესიასთან კონფლიქტის გამო კლიენტებმა ბანკებიდან გამოიტანეს მსხვილი თანხები. ბანკირებმა თავის შუამავლობა შესთავაზეს კონფლიქტის მოგვარებაში.

წყალდიდობა იაპონიაში

ტოკიო, 5 აგვ. ჩრდილოეთ იაპონიაში იამაგატის ოლქში მოხდა საშინელი წყალდიდობა. რამოდენიმე ქალაქი და სოფელი წყლით არის დაფარული. წყალდიდობამ დაანგრია და წაიღო ბევრი ხიდი და რკინის-გზის ლიანდაგი. ადამიანთა მსხვერპლის შესახებ ჯერ ცნობა არ არის.

ინგლისელები ინდოეთში

ულტიმატუმი გაიდარ - აბადის მთავრობას

ლონდონი, 6 აგვ. რეიტერის სააგენტოს აცნობებენ ბომბეიდან: ინდოეთის „დეილი მეილი" ბეჭდავს გაიდარაბადიდან მიღებულ დეპეშას სათაურით: „ულტიმატუმი სიმილი ნაზიმს". დეპეშაში ნათქვამია, რომ „ადგილობრივმა მთავრობამ მიიღო სიმილიდან (ინგლის-ინდოეთის მთავრობის რეზიდენცია) მემორანდუმი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ბრალდებებს გაიდარაბადის მთავრობის წინააღმდეგ. მიღებული ცნობების თანახმად ინგლის-ინდოეთის მთავრობა მოითხოვს რამოდენიმე მოხელის დასჯას და ფინანსიურ საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ინგლისელი ოფიცრების დანიშვნას.

პასუხი ამ ულტიმატუმზე გაცემული უნდა იქნეს 20 აგვისტომდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლის-ინდოეთის მთავრობა დანიშნავს სპეციალურ კომისიას სახელმწიფოს შინაური მდგომარეობის გამოსარკვევად.

მელითონეთა ყრილობა

გერმანიაში

ბერლინი, 5 აგვ. გერმანიის მელითონეთა ყრილობაზე ოპოზიციამ მოითხოვა კომისიის გაგზავნა საბჭოთა კავშირში.

კავშირის თავმჯდომარემ დისმანმა მოითხოვა ჯერ სადაო საკითხების მოგვარება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის მელითონეთა კავშირს შორის.

„სანამ სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან, მანამ არ შევიძლია გარკვეულ გზას დავადგეთ ამ საკითხში". დისმანს მხედველობაში აქვს ალბათ ის მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებს გერმანიის მელითონეთა კავშირებსა და საბჭოთა კავშირის მელითონეთა კავშირის შორის უკანასკნელის საერთაშორისო ფედერაციაში შესვლის გარშემო.

ოპოზიციის მიერ შემოტანილი წინადადება ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ— ყრილობამ უარჰყო და დაკმაყოფილდა მხოლოდ თანაგრძნობის დეპეშის გაგზავნით სამთა-მადნო მუშების საერთაშორისო ფედერაციის სახელზე. ოპოზიციამ სასტიკი პროტესტი განაცხადა. ამის გამო დისმანმა განაცხადა: ფინანსიური დახმარების საკითხი გადაჭრილი იქნება მემადაროელთა საერთაშორისო ფედერაციის საფუძველზე.

ა. ბარბიუსის მიმართვა

ვენა, 5 აგვ. საფრანგეთის გამოჩენილმა მწერალმა ბარბიუსმა თეთრი ტერორის მსხვერპლთა დაცვის კომიტეტისა და საფრანგეთის გონებრივ და ფიზიკურ მუშაკთა სახელით ოტო ბაურს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოუწოდებს მას სოციალიზმის ტრადიციის სახელით გაილაშქროს რევოლიუციონურ ბაკუშინ-ბარკოვიჩის სამხ. - სლავიის მთავრობისათვის გადაცემის წინააღმდეგ.

248 გაფიცვა

ერთი წლის განმავლობაში

ბრიუსელი, 6 აგვ. შესდგა ბელგიის რეფორმისტულ პროფკავშირების მე-25 მორიგი წლიური ყრილობა. კომისიის მდივნის მერტენსის მოხსენების თანახმად, პროფკავშირებს 1925 წლის განმავლობაში ჩაუტარებიათ 284 გაფიცვა ამათგან 175 მოიგეს მუშებმა, 6 გაფიცვა მოიგო მწარმოებლებმა და 39 დათავდა კომპრომისული შეთანხმებით. 15 კი დაუსრულებელი დარჩა მიმდინარე წელში. რაც შეეხება უმუშევრობას მიმდინარე საანგარიშო წელში ის გაიზარდა 50 %-ით.

სასპორტო დელეგაცია

ბერლინი, 5 აგვ. საბჭოთა კავშირის სასპორტო დელეგაციამ, რომელიც გერმანიაში იმყოფება, გერმანიის მუშათა სასპორტო ორგანიზაციებთან ხელშეკრულება დასდო ორივე ქვეყნის მუშათა სასპორტო მოძრაობის გაერთიანებისათვის. შეთანხმებაში აღნიშნულია ურთი-ერთ დახმარების გარდა, მთელი რიგი ტეხნიკურ დადგენილებათა, რომელიც სპორტის სხვადასხვა სახეებს ეხება.

დამატებითი არჩევნები

ინგლისში

მუშათა პარტიის კანდიდატის გამარჯვება

ლონდონი, 5 აგვისტო. ლიდსში მოხდა დამატებითი არჩევნები ღარიბთა სარაიონო მზრუნველობის მუნიციპალურ საბჭოს წარმომადგენლის ასარჩევათ, რომელიც გარდაცვალებულ კონსერვატორის ჰარრისონის მაგივრათ იქნება.

არჩევნები დამთავრდა მუშათა პარტიის კანდიდატის მიხნერის გამარჯვებით, რომელმაც მეტი ხმა მიიღო, ვიდრე კონსერვატორების და ლიბერალების კანდიდატებმა ერთათ.

სხვადასხვა

უცხოეთის სავაჭრო პალატების დახურვა. სტამბოლიდან მიღებული ცნობით, ანგორის მთავრობას განზრახვა აქვს დახუროს უცხოეთის სავაჭრო პალატები სტამბოლში.

დე-ჟუვენელის დაბრუნება. საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიაში დე-ჟუვენელი აგვისტოს დამლევს შეუდგება თავის თანამდებობის შესრულებას.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელები გერმანიაში. შტუტგარდში შედგა საბჭოთა ფეხბურთელთა კომანდის შეჯიბრება ადგილობრივ უძლიერეს კომანდასთან. შეჯიბრებას დაესწრო 12,000 კაცი და დასრულდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით.

გერმანია და იბნ საუდი. ვოლფის სააგენტო ოფიციალურად უარყოფს უცხოეთის პრესაში გავრცელებულ ხმებს, თითქოს გერმანიამ და იბნ საუდმა წარმომადგენლები გაუგზავნეს ერთი მეორეს.

იმპერიალისტურ ომის წლის თავზე. ომის საწინააღმდეგო კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებით, ინგლისის, კომპარტიის ყოველკვირეული ორგანო „ურკერ უიკლი" გამოვიდა წერილებით, რომელნიც ომის წინააღმდეგ არიან მიმართული.

ინგლისის შეიარაღებული ძალებისადმი მიმართული მოწოდებისა და ჯარის კაცებისათვის კომუნისტური პროგრამის ნომერში მოთავსება არ მოხერხდა, რადგანაც სტამბის პატრონმა უარი სთქვა მის აწყობაზე.

ოსმალეთის გემის დაღუპვა. ოსმალეთის ქვანახშირის გემი „ბაკური" დაიძირა კუნძულ ხილენის დასავლეთით, საფრანგეთის გემ „ლოტოსთან" დაჯახების გამო. დაიღუპა 8 კაცი კომანდიდან.

პროლეტარული სკოლა იაპონიაში. იაპონიის განათლების სამინისტროს განკარგულებით დაიხურა პროლეტარული სკოლა კისაკში. სკოლის საზეიმო გახსნის დროს დაპატიმრებული 18 კაცი სასამართლოს გადაეცა.

პირატები შორეულ აღმოსავლეთში. კოკუსაის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის კონსულის თხოვნით სვატოუში ყორმოზიდან გაიგზავნა ნაღმოსანი „იაპონიის გემების დაცვა მეკობრეების თავდასხმისაგან".

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა დელეგატებს არ უშვებენ

ვენა, 5 აგვისტო. ავსტრიის მთავრობამ ნება არ დართო ავსტრიაში შესვლისა საბჭოთა 3 დელეგატს, მათ რიცხვში კოროსტელოვს და პინკევიჩს, რომლებიც მასწავლებლების სოციალისტური ინტერნაციონალის კონფერენციაზე იყვნენ მიწვეული. ავსტრიის მთავრობის უარი ალბად გამოწვეულია სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „არბეიტერ ცეიტუნგის" დაბეზღებით, რომელიც სწერდა, რომ კონფერენციას კავშირი აქვს კომუნისტურ პროპაგანდასთან.

საფრანგეთის სტაბილიზაციის პროექტი

პარიზი, 5 აგვისტო. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 365 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 171 ხმისა მიიღო პროექტი ფრანკის სტაბილიზაციის ზომების შესახებ.

რკინისგზის ტარიფის გადიდება

პარიზი, 5 აგვ. 16 აგვისტოდან საფრანგეთში ძალაში შევა რკინისგზების გადიდებული ტარიფი.

სამხრეთ-სლავიისა და საბერძნეთის ხელშეკრულება

პარიზი, 6 აგვისტო. „ვესტმინსტერ გაზეტ" იუწყება, რომ ჩქარა ხელს მოაწერენ სამხრეთ-სლავია—საბერძნეთის ხელშეკრულებას სალონიკის რკინის-გზის შესახებ.

ასე სურს პუანკარეს

ბერლინი, 5 აგვისტო. პუანკარემ მოულოდნელად გადასწყვიტა, რომ ლონდონისა და ვაშინგტონის ხელშეკრულებების რატიფიკაცია სესიის შეწყვეტამდე უნდა მოხდეს. ეს ხელშეკრულებები პარლამენტში იქნება შეტანილი მომავალ კვირას.

შეტაკება მექსიკაში

ბერლინი, 5 აგვისტო. სარწმუნოებრივ ნიადაგზე შეტაკების დროს მექსიკაში მოკვდა 9 კაცი, დაიჭრა 22 კაცი.

ურჩი ინდოელი

ბერლინი, 5 აგვისტო. გაიდარაბადის ნიზამმა ინდოეთის ერთმა უძლიერესმა მთავარმა უარი განაცხადა ბრიტანეთის ულტიმატუმის შესრულებაზე და იმაზე, რომ ბრიტანეთის მოხელეს მიეღო მონაწილეობა მისი ტერიტორიის მმართველობის საქმეში.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 6 აგვისტო. პარლამენტში არსებული ტენდენციის მიხედვით, შესაძლოა ვაშინგტონისა და ლონდონის ხელშეკრულების რატიფიკაციის გადადება.

საფინანსო პროექტი

პარიზი, 5 აგვისტო. დეპუტატთა პალატამ 350 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 172 ხმისა უარყო სოციალისტების კონტრპროექტი თამბაქოს (მმართველობის მოწყობის შესახებ და 420 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 140 ხმისა მიიღო საამორტიზაციო კასის პროექტი. პალატის ღამის სხდომაზე 1065 ხმის უმრავლესობით; წინაღმდეგ 181 ხმისა მიღებულ იქნა კონვენცია საფრანგეთის ბანკთან უცხოეთის დევიზების შესყიდვის შესახებ.

მელონის საუბარი მუსოლინთან

პარიზი, 6 აგვისტო. მელონმა მუსოლინთან საუბარში განაცხადა, რომ მას აქვს ოფიციალური მისია, მაგრამ საჭიროდ სცნობს პირადად განიხილოს საფინანსო, ფულის ტრიალის და სესხის საკითხები იმ მიზნით, რომ დაწვრილებითი მოხსენება გააკეთოს ამერიკის ინტერესების შესახებ ევროპაში.იგი ამ საკითხებს გაეცნობა აგრეთვე ბრიუსელში და ლონდონში. დასტურდება ცნობა, რომ მელონმა და მუსოლინიმ აღძრეს საკითხი საერთაშორისო ფინანსიური კონფერენციის შესახებ. მელონმა ეჭვი გამოსთქვა ამ კონფერენციის შედეგების შესახებ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

მოსკოვი, 6 აგვისტო. 5 აგვისტოს დამთავრდა მისაღები გამოცდების ჩაბარება მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში. გამოცდებზე ჩაწერილთა რიცხვი ამ წელიწადში ძალიან დიდია, ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდებზე ჩაწერილთა რიცხვი აღწევს გამოცდებზე მოსულთა ნახევარს. ბევრი მისაღებ გამოცდებზე მოსულა სრულიად მოუმზადებლათ. შენიშნულია შემსვლელთა სუსტი ცოდნა.

დათხოვნილ მუშკორის სოლოვიევის საქმე

ლუგა, 3 აგვისტო. დამთავრდა საქმე მინის ქარხნის მუშკორის სოლოვიევის გაგდების შესახებ.

გამოძიებამ დაადასტურა, რომ სოლოვიევი დათხოვნილი იყო განსაკუთრებით საკორესპონდენციო მოღვაწეობისათვის. ქარხნის დირექტორი ვასილიევი და მისი თანაშემწე ვოლკოვი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული.



ამხ. ვ. რ. მენჟინსკი

საკავშირო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ახალი თავმჯდომარე.

ამერიკელების დელეგაცია

მოსკოვი, 6 აგვისტო. ამერიკის დელეგაციის მოსკოვში მყოფ ჯგუფმა, უმთავრესად განათლების დარგში მომუშავეების შემადგენლობით, დელეგაციის თავმჯდომარის მწერლის შერვუდ ედდის მეთაურობით, ინახულა განათლების სახალხო კომისარიატი, ჯანსახკომის სატყეო სკოლა, ახალგაზრდა ნატურალისტების სადგური სოკოლნიკში და დაესწრო საბჭოთა წარმოების კინო-ფილმის გაშინჯვას. რომელიც მოწყობილი იყო სპეციალურათ დელეგაციისათვის.

ეკლესია ელექტრონის სადგურათ

ბოლოგოე, 4 აგვ. მუშა მშრომელთა დადგენილების თანახმად ქალაქის ეკლესია უნდა გადაკეთდეს ელექტრო სადგურად.



ამხ. კუიბიშევი

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ახალი თავმჯდომარე.

ესპერანტების ყრილობა

ლენინგრადი, 3 აგვისტო. 2 აგვისტოს ლენინგრადში შრომის სასახლეში გაიხსნა ესპერანტოს მიმდევრების მე-3 საკავშირო ყრილობა, რომელზედაც კავშირის ყველა მხარიდან ჩამოვიდენ დელეგატები.

ესპერანტოს მიმდევრების კავშირის ცეკას მდივნის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ს. ს. რ. კ-ში არსებობს ესპერანტოს მიმდევრების 350 უჯრედი, რომელშიაც 10.000 წევრი ითვლება. უკანასკნელ წელს საბჭოთა კავშირში 35.0000 სახელმძღვანელოა გავრცელებული ესპერანტოს ენაზე.

სახელმწიფო მიწების გადაცემა სოფლებზე

ხარკოვი, 4 აგვ. **უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება, რომ ადგილობრივ მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო მიწები სოფელს გადასცეს.**

ბრძოლა კალიასთან

მოსკოვი, 6 აგვისტო. დაბრუნდენ „—დობროლეტის" უკანასკნელი ჰაეროპლანები რომელნიც მონაწილეობდენ კალიასთან ბრძოლაში დაღესტანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ჰაეროპლანებმა ას%ით უწამლეს და კალიის საფრთხე ჩამოაცილეს 10.000 დესეტინას. ეხლა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი ამუშავებს, მომავალ წლისათვის კალიასთან საბრძოლველათ მუშაობის გაფართოებულ გეგმას, უმთავრესათ ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ მუშაობაში მთავარ მონაწილეობას მიიღებს „დობროლეტი".

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

საფაბრიკო საქარხნო სასწავლებელი

ბაქო, 6 აგვისტო. აზერბეიჯანის საქარხნო - საფაბრიკო სკოლებში მოსწავლე 1600 მოზარდთაგან მიმდინარე წელს სკოლები დაამთავრა 500 კაცმა.

აგურის და კირის წარმოება

ბაქო, 6 აგვისტო. ბაქოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს 1926—27 წლისთვის განზრახვა აქვს აგურის წარმოება წელიწადში აიყვანოს 7,200,000 ცალამდე. განზრახულია გერმანული ღუმელის აგება და წარმოების ყველა პროცესების სრული მექანიზაცია.

კირის წარმოება აყვანილ იქნება 480.000 ფუთამდე წლიურად.

საპნის ქარხანა

ბაქო, 6 აგვისტო. განზრახულია საპნის ქარხნის ხელახლა მოწყობა, პროდუქციის გადიდების 128.000 ფუთამდე და ქარხნის სრული ელექტროფიკაციის მოხდენით.

სომხეთი

ზანგეზური აღორძინების გზაზეა დამდგარი

ერევანი, 6 აგვისტო. ზანგეზურიდან ახლად დაბრუნებულ აღმასკომის თავმჯდომარეს კარინიანთან საუბარი ჰქონდა ამიერ - კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელს. ამხ. კარინიანმა განაცხადა შემდეგი:

„მე მომიხდა ერთი თვის განმავლობაში 20 სოფელში ყოფნა. შემოვიარე სისიანის, გორის და კაფანის რაიონები. რაც შეეხება ზანგეზურს ის ჯერ კიდევ ომამდე განიცდიდა მიწის მწვავე კრიზისს; დაშნაკების ბატონობის დროს კი საბოლოოდ გაჩანაგებულ იქნა. ამიტომ ამ ოლქის შემოვლა და გლეხების მდგომარეობის გაგება უდიდეს მნიშვნელობას წარმოადგენს საბჭოთა აღმშენებლობის შეფასების მხრით.

საერთოდ მიღებული შთაბეჭდილება საფუძველს გვაძლევს გადაჭრით ვთქვათ, რომ ზანგეზურის გლეხობის ცხოვრებაში ხდება სრულიად ახალი გარდატეხა. აღდგენილია სპილენძის წარმოება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღორძინების გზაზე დამდგარ მაზრისათვის. ეს გარემოება მნიშვნელოვანია იმ მხრითაც რომ ცხოვრების განახლება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების მოხვებით.

ჩემ მიერ ნახული მარწმუნებს რომ ხალხი ერთგულად ეკიდება საბჭოთა ხელისუფლებას.

გლეხთა კეთილდღეობა თანდათან უმჯობესდება, თუმცა ზოგიერთ რაიონებში დიდი მუშაობაა საჭირო გლეხთა სიღარიბის დასაძლევათ. სხვადასხვა ერებს შორის განწყობილება ძლიერ კარგია.

მიმდინარე წელში ხალხს მოევლინა საერთო უბედურება: საქონლის ჭირი, სეტყვა და მინდვრის მავნეების გამრავლება. ამათ წინააღმდეგ ბრძოლა სწარმოებდა და კვლავაც იწარმოებს. მიუხედავათ ამისა ზანგეზურის გლეხების ზარალი მაინც დიდია.

საიმედო შთაბეჭდილებას ახდენს მოსახლეობის ინტერესი მეაბრეშუმეობისადმი, რომელსაც ზანგეზურში დიდი მომავალი აქვს. დასასრულ აღვნიშნავ ბაქოს პროლეტარიატის კავშირს ზანგეზურის გლეხებთან. ზანგეზურიდან წასული ბაქოს მუშების დახმარებით მაზრაში აღდგენილია მნიშვნელოვანი რიცხვი სასკოლო შენობების.

ზეთის სახდელი ქარხნის ამუშავება

ერევანი, 6 აგვისტო. დაიწყო მუშაობა სომხეთის მებამბეობის კომიტეტის ზეთის სახდელმა ქარხანამ, რომელიც ყოველდღიურად გადაამუშავებს 3.000 ფუთამდე ზეთს. კვალიფიციურ მუშათა უყოლობის გამო ქარხანა პირველ ხანებში სრულის დატვირთვით ვერ იმუშავებს. ამჟამად ქარხანაში მუშაობს 150 მუშა. საპნის სახდელი ქარხნის მოწყობა 1 იანვრისათვის დამთავრდება.

მებამბეობის კომიტეტის გეგმა

ერევანი, 6 აგვისტო. შედგენილია სომხეთის მებამბეობის კომიტეტის ხუთწლიური აღმშენებლობის ხარჯთ-აღრიცხვა — 1.100.000 მანეთის რაოდენობით.

სტიქიურ უბედურებით გამოწვეული ზარალი

ერევანი, 6 აგვისტო. უკანასკნელ დღეებში მოხდენილ გამოკვლევით, მიმდინარე წელში ნიაღვრებისა და სეტყვისაგან 1000 დეს. ზომის ნათესი დაზარალდა; მათ შორის 50 დეს. — 100%-ით, 150 დეს. — 30—50 %-ით, დანარჩენი — 5—10 %-ით.

ტროპიკული სადგური

ეჩმიაძინი, 6 აგვისტო. ამ დღეებში გახსნილი ტროპიკული სადგური ყოველდღიურად უშვებს 150 ავადმყოფს. სადგურის პრაქტიკანტები — ერევნის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტები—გლეხებისათვის აწყობენ პოპულიარულ ლექციებს ჰიგიენის შესახებ. ამ რაიონში უკანასკნელ ხანებში ძალიან გავრცელდა თვალის ავადმყოფობა.

ბელგიის მუშათა დელეგაცია საქართველოში

დელეგაცია პროფსაბჭოში

გუშინ დილით დელეგაცია მთელი შემადგენლობით ესტუმრა საქართველოს პროფსაბჭოს, სადაც მიღებული იქნა პრეზიდიუმის მიერ.

დელეგაციას მიესალმა პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ყურულაშვილი, რომელმაც ყოველგვარი დახმარება აღუთქვა დელეგაციას საქართველოს მდგომარეობის გაცნობის საქმეში.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ვერკრეზი.

„დელეგაციის მიზანია,—სთქვა მან,—ხიდის გადება ბელგიის და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის შორის.

დაახლოვებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ევროპის ქვეყნების მშრომელები სრულებით არ იცნობენ საბჭოთა კავშირის მუშების მდგომარეობას. დელეგაცია ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ შეისწავლოს ეს მდგომარეობა ადგილობრივ, რომ შემდეგ აცნობოს ბელგიის მუშებს საქმეთა ნამდვილი ვითარება".

ამხ. ვერკრეზის სიტყვის შემდეგ დაიწყო საუბარი დელეგატებსა და პროფსაბჭოს წარმომადგენლებს შორის. შეკითხვები ეხებოდა, უმთავრესად, პროფესიონალური მოძრაობის საკითხებს. ტარდება თუ არა მთლიანად ამიერ-კავკასიაში შრომის კანონთა კოდექსი, რამდენ პროცენტს შეადგენენ შეუკავშირებელი მუშები და სხვა. ახსნა-განმარტებას აძლევდა ამხ. ყურულაშვილი.

შემდეგ შემუშავებული იქნა დელეგაციის მუშაობის გეგმა.

სადილობამდე დელეგატებმა დაათვალიერეს თამბაქოს ფაბრიკა და ტრამვაის პარკი, სადაც ეცნობოდენ მუშების მდგომარეობას.

სადილის შემდეგ განზრახული იყო გამასწორებელი სახლის დათვალიერება, საღამოს კი კოჯორში გამგზავრება.

თამბაქოს ფაბრიკაში

თამბაქოს ფაბრიკაში დელეგატები დაწვრილებით გაეცვნენ წარმოებას; მათ მეტად აინტერესებდათ მუშების შრომის ხელფასი. გამოირკვა, რომ ჩვენი მუშები უფრო მეტს იღებენ, ვიდრე ბელგიის თამბაქოს ფაბრიკების მუშები.

დელეგატები გაკვირვებული დარჩენ, როდესაც დაინახეს მთელი რიგი გაუმჯობესებული მანქანები, რომლებიც შემოღებული იქნა უკანასკნელ ხანებში.

მუშებს ამხ. ვერკრეზმა სახსოვრად დაუტოვა შემდეგი წერილი:

„გაუმარჯოს საბჭოებს"

„ბელგიის მუშათა დელეგაცია სალამს უძღვნის თამბაქოს ფაბრიკის მუშებს. დელეგაცია აღნიშნავს, რომ მუშებს კარგად ესმით თავისი კლასიური როლი. დელეგაცია აგრეთვე აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა შექმნა საუკეთესო სახელმწიფო როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად მთელს მსოფლიოში.

გაუმარჯოს საბჭოებს!"

ტრამვაის პარკში

თბილათ გამოეთხოვენ დელეგატები მუშებს და გაემართენ ტრამვაის პარკისაკენ. მუშაობა პარკში უკვე შეწყვეტილი იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა მუშების ნაწილი, რომლებმაც გაიგო დელეგაციის მოსვლის ამბავი, გარს შემოერტყა დელეგატებს და დაიწყო შეკითხვები ბელგიის მუშების მდგომარეობის შესახებ.

დელეგაციის წევრი—ტრამვაელი გიუნე მუშების ყურადღების ცენტრად იქცა. მისი პასუხიდან გამოირკვა, რომ ბელგიელი ტრამვაელები ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან, ვიდრე ჩვენი მუშები.

— ნუ დაგავიწყდებათ,—ამბობს პარკიდან გამოსვლისას ერთი დელეგატი,—რომ თქვენ ერთად-ერთი თავისუფალი პროლეტარიატი ხართ მთელს მსოფლიოში. ყველა ჩვენი ღონისძიებები მიმართულია იქითკენ, რომ ჩვენც ისეთი გავხდეთ, როგორიც თქვენ ხართ.

კოჯორში

საღამოს 6 საათზე დელეგატები ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მდივანის—ამხ. შეფტელის, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანის—ამხ. ფანცხავას და სხვების თანხლებით გაემგზავრენ კოჯორში ბავშვთა კოლონიის დასათვალიერებლად.

ბავშვთა კოლონიის და მოედნების დათვალიერება გაგრძელდა სამ საათზე მეტი.

დელეგატები დაწვრილებით გაეცვნენ ბავშვთა აღზრდის და კვების საქმეს და სასპორტო გასართობებს. ხელმძღვანელები დაწვრილებით ახსნა-განმარტებას აძლევდენ დელეგატებს საბავშვო კოლონიების ფორმების, სწავლების მეთოდიური პროგრამის და მოწაფეთა რაოდენობის შესახებ.

დელეგატები გააკვირვა მოწაფეთა სიმრავლემ. მათი რიცხვი ამ ჟამად უდრის 1.300.

მოედანზე ბავშვებმა გამართეს ცეკვა-თამაში, რამაც განსაკუთრებით დააინტერესა მსახიობთა და მუსიკოსთა კავშირის დელეგატი ოსტონი და პედაგოგი ტრანლბოტი.

აღფრთოვანებულმა ოსტონმა ველარ მოითმინა და როგორც კი შეწყდა ორკესტრის ხმა, სთქვა:

— მე ვიყავი მეფის რუსეთში 1912 წელში ჩინეთში გავლით. ეხლა მე ვარ ახალ რუსეთში. ეხლანდელსა და მაშინდელ რუსეთს შორის უდიდესი განსხვავებაა. ის პირდაპირ აკვირვებს ადამიანს. ის, რაც ჩვენ ვნახეთ დღეს, ჩვენ არა გვაქვს, ჩვენ ამაზე შეგვიძლია მხოლოდ ვიოცნებოთ.

— საქართველოში ყოფნის შემდეგ,—ამბობს მეორე დელეგატი,—მე ბევრი რამ უნდა უამბო ჩემს ამხანაგებს ბელგიაში. მაგრამ შევძლებ თუ არა ყველაფრის აღნიშვნას, მე არ ვიცი, რადგან საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულებს უფლებას არ აძლევენ ბევრი ილაპარაკონ.

საღამოს 10 საათზე დელეგატები დაბრუნდენ ქალაქში და დაათვალიერეს მუშათა ცენტრალური კლუბი, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბი და მუშათა ახალი კლუბი.

მუშათა კლუბებში

მუშათა ცენტრ. კლუბში

მუშათა ცენტრალურ კლუბში, სადაც დელეგატებს შეხვდენ მქუხარე ტაშით, მიდიოდა პიონერების წარმოდგენა. დაინტერესებული დელეგატები მთელი საათის განმავლობაში ყურადღებით ადევნებდენ თვალყურს პიონერების თამაშს.

ვერკრეზის სიტყვა

წარმოდგენის ბოლოს კლუბის გამგეს მისალმების საპასუხოთ დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. ვერკრეზმა სთქვა:

— ჩვენ აგვაღელვა თქვენმა ძმურმა შეხვედრამ. თქვენ იცით, რომ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიას ეზიზღებით თქვენ და იგი ემზადება თქვენზე თავდასასხმელად. ამაში მას მხარს უჭერს მეორე ინტერნაციონალი. მაგრამ ბელგიაში დაბრუნებისას ჩვენ დავარწმუნებთ ყველას, რომ საბჭოთა კავშირში ნამდვილი მუშური ხელისუფლებაა, რომ აქ მუშები განაგებენ თავის ბედიღბალს

წინააღმდეგ ბურჟუაზიულ და „სოციალისტურ" პრესის სიყალბისა, ჩვენ საბჭოთა კავშირში ვნახეთ არა სიღატაკე და უწესრიგობა, არამედ სრული კეთილდღეობა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს!

მუშათა ახალ კლუბში

მუშათა ახალ კლუბში კომპოზიტორ ოსტონს საუბარი ჰქონდა ადგილობრივ მუსიკოსებთან, მათ შორის დამსახურებულ არტისტ სტოლერმანთან.

— თქვენს ქვეყანაში ნამდვილი სამოთხეა,— სთქვა ოსტონმა. აქეთკენ მივილტვით ჩვენც. ამ მიმართულებით მე უკვე 40 წელიწადია პროპაგანდას ვეწევი.

საუბარი დელეგაციის თავჯდომარე ვერკრეზთან

მუშათა კლუბების დათვალიერების შემდეგ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა დელეგაციის თავმჯდომარე—ვერკრეზთან თბილისში მიღებული შთაბეჭდილების შესახებ.

— უპირველეს ყოვლისა მე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ჩვენ ჩამოვედით აქაური მუშების მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გასაცნობად. მართალია ჩვენ თბილისში მხოლოდ ერთი დღეა რაც ჩამოვედით და ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გვინახავს, მაგრამ რაც ვნახეთ უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობაზე და აქაური პროლეტარიატის მდგომარეობაზე.

ჩვენ დავათვალიერეთ თამბაქოს ქარხანა, ტრამვაის პარკი და ბავშვთა კოლონია და უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ პირდაპირ გაკვირვებული ვართ, ჩვენ არაფერს ამდაგვარს არ მოველოდით.

და ასეთი სურათი ვნახეთ ჩვენ არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებშიც, სადაც ჩვენ ვიყავით.

ჩვენ დავათვალიერეთ მოსკოვი, ხარკოვი, არტემოვსკი და სხვა ქალაქები და ყველგან ერთნაირი სურათი ვნახეთ: საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი არ ზოგავს ძალღონეს, რომ აღადგინოს და განავითაროს თავისი მრეწველობა და მტკიცე ნიადაგი შეუქმნას ახალ სოციალისტურ საზოგადოებას.

ჩვენ მოვალეთ ვსთვლით ჩვენ თავს თქვენი ბრძოლისა და მიღწევების შესახებ უამბოთ ბელგიის მუშათა კლასს. ბელგიაში დაბრუნების შემდეგ ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ გავფანტოთ ის ჭორები, რომელსაც ავრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ ბელგიის პროფესიონალური მოძრაობის ყვითელი ბელადები.

ჩვენ სიტყვას გაძლევთ, რომ ვიბრძოლებთ მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის და მივიღებთ ყველა ზომებს, რომ გავანთავისუფლოდ პროფმოძრაობა მეორე ინტერნაციონალის გავლენისაგან.

—:—

დღეს დელეგაცია დაათვალიერებს ზაჰეს და გამასწორებელ სახლს; შემდეგ დელეგაცია ესტუმრება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს—ამხ. მამია ორახელაშვილს.

საღამოს დელეგაცია მთელი შემადგენლობით მიემგზავრება ბაქოში.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

პლენუმის დადგენილება—კომპარტიის სიმტკიცის მაჩვენებელია

ოსლო, 5 აგვისტო. ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „ნორვეგს კომუნისტბლად" თავის მოწინავე წერილში ეხება საკავშირო კომპარტ. ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმის დადგენილებებს და აღნიშნავს შემდეგს:

ბურჟუაზიული პრესა კმაყოფილია იმით, რომ თითქოს უთანხმოება კომუნისტურ პარტიაში საერთაშორისო რევოლიუციის ლიკვიდაციის დასამტკიცებელი საბუთი იყოს. გაზეთი აღნიშნავს, რომ საკავშირო კომუნისტური პარტია მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე; კომუნისტური ინტერნაციონალი კი მიექანება სოფლისა და ქალაქის მშრომელთა გამარჯვებისაკენ და კაპიტალიზმის საბოლოო დამარცხებისაკენ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ზინოვიევის გამორიცხვა ერთხელ კიდევ ამტკიცებს საკავშირო კომუნისტური პარტიის სიმტკიცეს.

როგორც საკ. კომ. პარ., ისე კომუნისტურ ინტერნაციონალში თვითეული პიროვნება უნდა დაემორჩილოს კოლექტივის ნება-სურვილს. ეს არის საწინდარი კომინტერნის გამარჯვებისა.

მთლიანობა და დისციპლინა

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენრაიონის მთავარ სახელოსნოსი და დეპოს უჯრედების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ქართველიშვილისა საქ. კომპარტიის ც. კ. და ც. საკ. კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილების შესახებ, სრულიად იწონებს და უერთდება მას მთლიანად.

კრება ერთხმათ აღნიშნავს, რომ პარტიამ სახელოვანი ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობით გადალახა ბევრი სიძნელენი და საბჭოთა აღმშენებლობის ყოველგვარ სფეროში დღეს ადგილი აქვს შესამჩნევ მიღწევებს.

მიუხედავათ დროებითი სამეურნეო სიძნელისა, სოციალიზმის მშენებლობა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც ქვაკუთხედია სოციალიზმისათვის, ჩქარი ნაბიჯით მიექანება წინ. მომავალში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოციალისტური მშენებლობის წარმატებით წარმოება დღევანდელ საშინაო და საგარეო წინააღმდეგობებით მოცულ პირობებში დამოკიდებულია კომ. პარტიის ფოლადისებურ მთლიანობაზე, რომელსაც მსოფლიო პროლეტარული მოძრაობას ბელად ლენინმა ჩაუნერგა ურყევი ნებისყოფა, მებრძოლი სული და ფოლადისებური სიმტკიცე. დღეს, როდესაც სოციალისტური ელემენტები ჩვენი მეურნეობისა, არასოციალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში იკვლევენ გზას გამარჯვებისაკენ, კომუნისტური პარტიის ფოლადისებური სიმტკიცე და მისი რიგების სიმჭიდროვე აუცილებელი პირობაა საბოლოო გამარჯვებისათვის. ლენინი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში გვასწავლიდა და მისი უკანასკნელი ანდერძიც ის იყო, რომ არ შერყეულიყო კომუნისტური პარტიის მთლიანობა და ფოლადისებური სიმტკიცე პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში.

სამწუხაროთ ეგრედწოდებულმა „ახალმა ოპოზიციამ" ზინოვიევისა და კამენევის მეთაურობით თავიანთი გამოსვლებით დაარღვიეს მთლიანობა და ბოლშევიკური დისციპლინა ჩვენი პარტიისა.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს „ახალი ოპოზიციის" დეზორგანიზატორული და რასკოლნიკური ნაბიჯები, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლიტბიუროს წევრი ზინოვიევი, საკ. კომპარტიის ცეკას კანდიდატი ლაშევიჩი და არა ერთხელ პარტიის მიერ გაკიცხული თავის რევიზიონული და ანტიბოლშევიკური გამოსვლების გამო ამხ. ტროცკი.

„ახალი ოპოზიცია", რომელიც გაკიცხულ იქნა მე-14 პარტყრილობის მიერ თავისი მერყეობისა და ეჭვიანობის გამო სოციალიზმის გამარჯვებაში აღარ დაკმაყოფილდა თავიანთი შეხედულებათა დაცვით პარტწესდების ფარგლებში და მიმართა ჩვენს პარტიაში დაუშვებელ ფრაქციულ ბრძოლას, რომელიც გამოიხატა ტყეში (არალეგალურ) კრების მოწყობაში საკ. კომ. პარტიის ცეკას კანდიდატის ლაშევიჩის ხელმძღვანელობით; ოპოზიციის წარმომადგენელთა გაგზავნაში სხვადასხვა ქალაქებში, ფრაქციების მოსაწყობათ და სხვა.

„ახალმა ოპოზიციამ" ფრაქციულ ბრძოლის მიზნით შეკრა ბლოკი ტროცკის პოზიციასთან და აგრეთვე დაუახლოვდა მუშათა ოპოზიციის „ულტრა-მემარცხენე ტენდენციებს" (მედვედევი, შლიაპნიკოვი), რომელთანაც ლენინი აწარმოებდა გააფთრებულ ბრძოლას, როგორც ანტი-ბოლშევიკურ მიდრეკილებასთან. ამხ. ზინოვიევმა და კამენევმა უარყვეს თავიანთი შეხედულება ტროცკიზმზე, რომლის წინააღმდეგ ისინი თავის დროზე პარტიასთან ერთად სამართლიანად იბრძოდენ. და ეხლა თვით დაადგენ ტროცკის პოზიციას.

„ახალი ოპოზიცია" თავისი ანტი-ლენინურ მოთხოვნილებებს ფარავს ულტრა-მემარცხენე ფრაზებით; ამიტომ კრებას აბსოლიუტურათ სწორათ მიაჩნია საკავშირო კომპარტიის ცეკას და საკონტროლო კომისიის დადგენილება ზინოვიევისა და ლაშევიჩის მიმართ.

ლენინის პარტია ყოველთვის სასტიკათ იბრძოდა ორგანიზაციის შიგნით ყოველგვარი ფრაქციებისა და ჯგუფების ჩასახვის წინააღმდეგ და მომავალშიც მზათაა იბრძოლოს ყოველგვარ მერყევ და დაეჭვიანებულთა წინააღმდეგ.

კრება ერთხმათ აღუთქვამს ბოლშევიკური პარტიის ბელადს, ცენტრალურ კომიტეტს, ყოველმხრივ დახმარებას ამ ბრძოლაში.

კრება აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის წინაშე მდგარ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ორგანიზაციის თვითეული, წევრის მიერ სისწორით შეთვისება საკ. კომპარტიის ც. კ. და საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებათა და მომავალში მუშაობა პარტიის მთლიანობის გასაძლიერებლად სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

მთლიანობისა და დისციპლინისაკენ, ყოველგვარი ფრაქციულობისა და ჯგუფობრიობის წინააღმდეგ. წინააღმდეგ არა საჭირო დისკუსიებისა ნამდვილ სოციალისტურ აღმშენებლობისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენ კოლექტიურ ბელადს—ლენინურ ცეკას.

დაუნდობელი ბრძოლა ყველა გადახრების წინააღმდეგ

სომხეთის კომპარტიის (ბ) ლენინაკანის ორგანიზაციის რეზოლიუცია პარტიის მთლიანობისათვის

ლენინაკანი, 6 აგვისტო. ჩამოვიდა ამხ. ნაზარეტიანი, რომელმაც მოხსენება გააკეთა საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

სომხეთის კომპარტიის (ბ) ლენინაკანის ორგანიზაციამ მოისმინა რა ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება საკავშირო კომპარტის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შესახებ, სავსებით იწონებს პლენუმის დადგენილებას.

კრება აღნიშნავს, რომ პარტიას,—ცეკას განუყრელი და მტკიცე ხელმძღვანელობით აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები როგორც საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის და მუშათა და გლეხთა ეკონომიური კეთილდღეობის ამაღლების, ისე მუშათა და გლეხთა ერთობის განმტკიცების საქმეში კრებას ეს წარმატებები მიაჩნია პარტიის სწორი ლენინური პოლიტიკის,—მისი ბოლშევიკური ერთობის და რკინის დისციპლინის ნაყოფად. ამ პოლიტიკის წყალობით პარტია ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა, როგორც საგარეო, ისე შინაპარტიულ გართულების და საფრთხის დროს.

პარტია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა ყველა გადახრების წინააღმდეგ, რომელიც წარმოშობილია მის რიგებში და რომელიც ემუქრებოდა მის ბოლშევიკურ პოზიციებს. პარტიული ერთობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს უკანასკნელი ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობს პოლიტბიუროს წევრები—ამხ. ზინოვიევი და ტროცკი, ცეკას წევრი ამხ. კამენევი, ცეკას კანდიდატი ამხ. ლაშევიჩი. ეს ამხანაგები ილაშქრებენ პარტიისა და მის ცეკას წინააღმდეგ და პარტიის ყრილობების მიერ წინად გაკიცხულ ოპოზიციებთან ერთად, მე-10—მე-13—მე-14 პარტყრილობების დადგენილებების წინააღმდეგ, წინააღმდეგ პარტიის წესდების ძირითად საორგანიზაციო პრინციპებისა, არალეგალურ კრებებით და მთელი რიგი ანტიპარტ. გამოსვლებით ცდილობენ შექმნან პარტიის შიგნით ფრაქცია და ამით დაარღვიონ მათი მთლიანობა. პარტია ვერ შეურიგდება ერთიანობის ასე დამრღვევ მუშაობას განსაკუთრებით დღეს—სამეურნეო და პოლიტიკური გართულების პირობებში, რომელშიაც ამჟამად იმყოფება პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა—საბჭოთა კავშირი.

ლენინაკანის საერთო საქალაქო კრება ერთხმად კიცხავს ზინოვიევს, ტროცკის, კამენევს და სხვათა მავნებელ მოქმედებას, უერთდება ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას და მოუწოდებს ზემოხსენებულ ამხანაგებს დასტოვონ პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის დამღუპველი ფრაქციული ბრძოლის გზა და პატიოსნათ,—ბოლშევიკურათ დაუბრუნდენ ლენინური გვარდიის ხელმძღვანელ რიგებს. ჩვენი პარტია ძლიერია და შეურყეველი თავისი ერთობით და ყოველი გალაშქრება ამ ერთობის წინააღმდეგ სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდება ერთიანი ლენინური პარტიის მხრით.

გაუმარჯოს პარტიის ერთობას!

გაუმარჯოს ხელმძღვანელ შტაბს—ლენინურ ცეკას.

რკინის დისციპლინა ჩვენი გამარჯვების საწინდარია

რეზოლიუცია ამხ. კახიანის მოხსენების გამო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ცენტ. საკონ. კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ,—ერთხმად მიღებული საქ. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრებაზე

საქ. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიონის საზოგადო კრებამ, მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საქ. კ. პ. ც. კ. და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ,მთლიანად და სავსებით იზიარებს პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს. კრება აღნ.-ვს, რომ ლენინის პარტიის ცკ-ს სწორი და მტკიცე ხელმძღვანელობით მიჰყავდა და მიჰყავს ქვეყანა სოციალისტურ მშენებლობის ყველა დარგებში მნიშვნელოვანი წარმატებებისაკენ,—მიუხედავათ მიმდინარე პერიოდის მძიმე პირობებისა.

ჩვენი უდიდესი გამარჯვებების და მიღწევების საწინდარი მუდამ იყო ჩვენი პარტიის ფოლადისებური ერთიანობა და რკ. დისციპლინა. კრება უდიდესი აღშფოთების გრძნობით აღნიშნავს, რომ პარტიის ერთობა დარღვეულია ოპოზიციის ფრაქციული დეზორგანიზატორული მუშაობით, რომელსაც მეთაურობენ ამხ. ზინოვიევი, კამენევი და სხვები.

ამხ. ლაშევიჩის და ბელენკის ხელმძღვანელობით არალეგალურ კრებების მოწვევა ფრაქციის მოსაწყობათ ოპოზიციის აგენტების გაგზავნა პერიფერიებში, საბუთების ბეჭდვა და გავრცელება,—ჩვენი პარტიის ცხოვრებაში წარმოადგენს ყოვლად დაუშვებელ ფაქტს, რომელიც არღვევს და ასუსტებს ბოლშევიკების რიგების ძალასა და ძლიერებას.

კრება კიცხავს ოპოზიციის ცალკე ამხანაგების გამთიშველ მოქმედებას და მთლიანად იწონებს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას მათ შესახებ. კრება აღნიშნავს ზინოვიევის და კამენევის მეთაურობით ოპოზიციის უპრინციპო გაერთიანებას ლენინიზმის რევიზიონისტ ტროცკისთან,ანტიპარტიულ დაჯგუფებებთან, რომელნიც პარტიასთან ბრძოლის დროს დაექანენ აშკარა მენშევიზმისაკენ (მედვედიევი, შლიაპნიკოვი).

ზინოვიევი და კამენევი, რომელნიც ცოტა ხნის წინათ ლენინიზმის მოძღვრების რევიზიისა და შერყვნისათვის პარტიასთან ერთად ამხილებდენ ტროცკის, დღეს ტროცკისთან ერთად იწყებენ ბრძოლას ლენინისა და ლენინის პარტიის წინააღმდეგ და ამით გვერდს უხვევენ ლენინიზმს. კრება აღნიშნავს, რომ ანტილენინური გადახრა და ახალი ოპოზიცია არის შედეგი იმის, რომ ოპოზიციას არ სწამს საერთოდ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის, კერძოთ მისი ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობა, საკმარისად ვერ აფასებს და ანგარიშს არ უწევს საშუალო გლეხობასა და მის კავშირს პროლეტარიატთან და სხვა. ოპოზიციის ანტილენინისტური გადახრის შედეგია ოპოზიციის ტაქტიკა ინგლისის ამბების საკითხში, ტაქტიკა, რომლის მიხედვით ოპოზიცია მოითხოვს საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენ.-ების გამოწვევას ინგლის-რუსეთის კომიტეტიდან და რომელიც აუცილებლათ შეასუსტებდა კომუნისტურ გავლენას ინგლისის მუშათა კლასზე.

ყველა ეს უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა პარტიაში მოსათმენია იმდენათ, რამდენადაც ისინი არ სცილდებიან პარტიის წესდების ფარგლებს. მაგრამ არავითარი ფრაქც. ბრძოლა და მუშაობა არ შეიძლება იქნეს დაშვებული პარტიაში, რომელსაც გამარჯვების მოპოება სურს თავისი ერთობითა და რკინის დისციპლინით.

თბილისის კომიტეტის მეორე რაიონის საერთო კრება, კიცხავს რა ყოველგვარ ფრაქციულ მუშაობას და თავზე მოხვეულ უსარგებლო დისკუსიას, მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს შემოკრბენ ცეკას გარშემო და მის ლენინურ ხელმძღვანელობით შინაური პარტიული მუშაობის გაცხოველებით და გაძლიერებით გასწიონ წინ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

გაუმარჯოს ლენინის პარტიის ერთობას და რკინის დისციპლინას მის რიგებში!

სოხუმის პარტკომის პლენუმი

ამას წინად შესდგა ქ. სოხუმის პარტიული კომიტეტის პლენუმი. პლენუმს დაესწრო პარტკომის ყველა წევრები, ქალაქის უჯრედების მდივნები და ბიუროს წევრები.

პლენუმმა გაარჩია მრავალი პარტორგანიზაციული საკითხები და მათ შორის პარტგანმანათლებელი მუშაობის გეგმა მომავალ 26-27 სამოსწავლო წლისათვის, გუმისტის რაიონის საკრედიტო ამხანაგობის და ბაბუშერის სოფლის საბჭოს საანგარიშო მოხსენება.

პლენუმმა საჭიროდ სცნო მიექცეს მეტი ყურადღება პარტგანმანათლებელ მუშაობას უჯრედებში.

პარტორგანიზაციების გამოკვლევამ შარშან ცხადყო, რომ თითქმის ყველა უჯრედებში პოლიტცოდნის დონე დაბალია.

ზამთრის პერიოდში არ ქონდა სათანადო ყურადღება მიქცეული პარტგანმანათლებელ მუშაობას, უმთავრესად სოფლად. მუშაობა ამ დარგში სწარმოებდა უგეგმოდ, არ იყო შემოღებული მეთოდიური მეცადინეობა, არც მუშაობის აღრიცხვა, არც სათანადო ხელმძღვანელები არ მოიპოვებოდა. არ იყო დაცული დისციპლინა, მსმენელები ნაკლებად ესწრებოდენ პოლიტსკოლებში და პოლიტწრეებში მეცადინეობას; ასე რომ ზამთრის მუშაობამ თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა. ამ გარემოებას პლენუმმა მიაქცია ყურადღება და მომავალ სამოსწავლო წელში წარსული გამოცდების მიხედვით მუშაობა უფრო გამოცოცხლებული იქნება. უჯრედის ყველა წევრები იქნებიან ჩაბმულნი პოლიტსკოლებში და პოლიტწრეებში სამეცადინოთ.

პლენუმმა სხვა საკითხებზედაც შესაფერისი დადგენილებები გამოიტანა.

ალი-უსუფ.

საბჭოთა საქართველო

სამხრეთ-ოსეთის ცაკის სესია

ცხინვალი, 6 აგვისტო. სოფ. ჯავაში გაიხსნა სამხრეთ-ოსეთის ცაკის მეორე სესია. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი კითხვები: ჯავის აღმასკომის საინფორმაციო მოხსენება, მოხსენებანი განათლების სახ. კომისარისა, მიწათმოქმედების კომისარისა და სხვ.

სესიის სხდომას სოფ. ჯავაში გადატანას დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხობისათვის. სესიაზე მოვიდენ მრავალი გლეხები, რომლებიც მიესალმენ მას. თბილისიდან სესიაზე დასასწრებლად ჩამოვიდა ამხ. მარიამ ორახელაშვილი სამხრეთ-ოსეთის ცაკის წევრი.

დეპეშები

თემების რიცხვის შემცირება

ქუთაისი, 5 აგვისტო. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა თემების რიცხვი შეამცირა 45-დან 40-დე, რაც მაზრას გასავალს უმცირებს 7000 მან. წლიურად.

გაერთიანებული არიან თემები: გოდოგანი და ჭაგანი, მუხიანი და ფარცხანაყანები. ოხიმეთი და ეწერი, ღანირ-ჭაგანი და ღანირ-ქვიტირი, გუბი და კუხი.

კურორტი უწერა

ქუთაისი, 5 აგვისტო. უწერაში საკურორტო სეზონი გაიხსნა. ავადმყოფების რიცხვი დიდია. საექიმო დახმარება ცუდად არის დაყენებული. ექიმი არ არის.

მედიკამენტების ნაკლებობა

ქუთაისი, 5 აგვისტო. ქ. ონის აფთიაქში შენიშნულია აუცილებელ მედიკამენტების საგრძნობი ნაკლებობა. ამის გამო ავადმყოფებს წამლის ჩამოტანა ქუთაისიდან უხდებათ.

სასოფლო-მეურნეობის გამოკვლევა

ახალქალაქი, 5 აგვისტო. მთავრდება 10 პროცენტიანი გამოკვლევა სასოფლო-მეურნეობის დარგში.

გამოკვლეულ იქნა 1400-დე მეურნეობა მაზრაში.

წყლის მიღება

ახალქალაქი, 5 აგვისტო. ამ დღეებში დაიწყება მუშაობა წყალსადენის გასაყვანად სოფ. ქოთელიაში, რომლის მცხოვრებნიც იტანჯებიან უწყლობის გამო. სამაზრო აღმასკომი უფასოთ იძლევა მილებს, ხოლო საქართველოს ცაკ-ი 200 მანეთს წირავს. წყალსადენი იქნება დაახლოებით ერთი ვერსის სიგრძე.

სოფ. დოლისყის გლეხები სოფლის ხარჯზე აწარმოებენ წყაროს შეკეთებას.

სოციალური უზრუნველყოფა

ახალქალაქი, 6 აგვისტო. უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში სამაზრო მზრუნველობის კომიტეტის მიერ პენსიის და დახმარების სახით გაიცა 705 მანეთი; იყო აგრეთვე საექიმო დახმარებაც. აღრიცხვაზე აყვანილი არიან 26 წითელარმიელის ოჯახი, 25 კაცი შრომის ინვალიდები და 15 ომის ინვალიდი.

იჯარით გაცემის პირობების გამოკვლევა

ახალქალაქი, 6 აგვისტო. სპეციალურ სამაზრო კომისიამ და თემის აღმასკომებმა მოახდინეს ადგილებზე მიწის იჯარით გაცემის პირობების და ფორმების გამოკვლევა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ობიექტთა აღრიცხვა

ახალქალაქი, 6 აგვისტო. დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილ ობიექტების აღრიცხვა; ჯოგის აღრიცხვამ აჩვენა გადიდება 75%-ით. გლეხები ითხოვენ ნათესების დაბეგვრას და უფრო მიზანშეწონილად სთვლიან ამას. მათ შუამდგომლობას მხარი დაუჭირა სამაზრო ხელისუფლებამ.

კალიასთან ბრძოლა

სიღნაღი, 5 აგვისტო. შირაქის რაიონში დამთავრდა კალიასთან ბრძოლა. სამაზრო აღმასკომმა დახარჯა 2500 მანეთი.

კალია გავრცელებული იყო 4000 დესეტინის სივრცეზე. ბრძოლის მიზანს შეადგენდა კალია არ მიეშვათ ნათესებზე, რომ საფრთხე აეცილებინათ მომავალ საზაფხულო კამპანიისათვის.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები

სიღნაღი, 5 აგვისტო. მიმდინარე წელში გლეხებმა შეიძინეს 14 ტრაქტორი; ერთი ტრაქტორიც შეიძინა სამაზრო აღმასკომმა. ეხლა მაზრას 30 ტრაქტორი აქვს. სასოფლო-სამეურნეო მანქანებს გლეხები იძენენ საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

ღვინის რაიონებში შესამჩნევია სეტყვის მომგერებელ მაშხალების ნაკლებობა.

აფხაზეთი

ხე-ტყის სახერხ ქარხნებში

სოხუმი, 6 აგვისტო. ამუშავდა გაგრის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომლის მწარმოებლობა წლიურად გამოიხატება 550000 კუბ. ფუტში. გასულ წელს დამუშავებულ იქნა 80000 კუბ. ფუტი.

აფხაზეთის ხე-ტყის ტრესტმა (აფხაზეთის ტყე) შეუდგა ხე-ტყის გადმოსაზიდ ლიანდაგის აგებას რაც პროდუქციის ღირებულებას აიაფებს და წარმოებას აძლიერებს.

მოქვყარის ხეობის ხე-ტყის ქარხანა, რომელიც უწინ კერძო პირს ჰქონდა იჯარით აღებული, აფხაზეთის ხე-ტყის ტრესტის გამგებლობაში გადავიდა. ქარხანა ხელახლა იწყობა და მისი მწარმოებლობა წლიურად 8000 კუბ. ფუტი იქნება.

ქარხანა უზრუნველყოფილია ნედლი მასალით. ხე-ტყე დამზადებულია 240000 კუბ. ფუტი.

მოჯამაგირე მელიქიანცის მკვლელობის საქმე

სოხუმი. 6 აგვისტო. მელიქიანის მკვლელობის საქმე საჩვენებელ პროცესად გაირჩევა 8 აგვისტოს, სოფ. მერხეულში, უზენაეს სასამართლოს სესიის მიერ.

მკვლელობა გამოწვეულია იმით, რომ დამქირავებელმა მოჯამაგირეს სამუშაო ხელფასი არ მისცა.

სამხრეთ-ოსეთი

გაფიცულ მემაღაროების დახმარება

ცხინვალი, 6 აგვისტო. გუშინ სახალხო თეატრში შესდგა, ცხინვალის ყველა პროფორგანიზაციების საკავშირო კრება გაფიცულ ინგლისელ მემაღაროების შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა ინგლისის გაფიცულ მემაღაროების სასარგებლოდ, გაფიცვის შეწყვეტამდის ყოველთვიურად გადაირიცხოს ნახევარი დღის ქირა.

ყაჩაღი ქიბარა მოკლეს

(ახალციხე)

ცნობილი, სახელ განთქმული ყაჩაღი და ყაჩაღთა ბრბოს მეთაური ქიბარ აშრეფ ოღლი (სოფელ იჯარეთის მცხოვრები, ახალციხის მაზრაა) რვა წლის განმავლობაში თარეშობდა. იგი გარდაიქცა გაუმაძღარ მხეცათ და სისხლის მსმელათ!..

რამდენი უმანკო ადამიანი გამოესალმებია მას ამ სოფელს, რამდენი საწყალი ოჯახი დაუტოვებია ულუკმა-პუროდ. ნამდვილათ ვიცით „ქიბარამ" მოჰკლა მაზრის მილიციის უფროსი, მაისურაძე, მან მოჰკლა მილიციის თანამშრომელი ვენგრენიოვიჩი და დასჭრა პოლიტბიუროს უფროსი ჯალაღანია. სხვა მრავალი მსხვერპლიც ყოფილა ამ მხეცისაგან. ბორჯომის გზაზე და სხვაგან მგზავრების ცარცვას, საქონლის ოსმალეთში გადარეკვას ხომ საზღვარი არა ჰქონდა.

და აი, ეს წუწკი მხეცი, მშრომელთა მტერი, როცა ოსმალეთიდან მოემგზავრებოდა ჩვენ მიწა წყალზე შეხვდა პოლიტ-ბიუროს და მილიციის თანამშრომლებს, რომლებმაც მისცეს სათანადო ჯილდო—მოჰკლეს იგი სროლაში.

დღეს ბოლო მოეღო ყაჩაღ ქიბარას და მის ბრბოს! დღეს მოკლულ იქნა ხალხის მტერი და სისხლის მსმელი.

ასეთ საგმირო საქმის მქნელნი მადლობის ღირსნი არიან.

ლადო ი—ძე.

რას ვაკეთებთ

(წერილი ლეჩხუმიდან)

ლეჩხუმის მაზრის ბიუჯეტი დეფიციტიანია. წლიური შემოსავალი უდრის 30 ათას მანეთს, ცენტრიდან დახმარებას, სუბვენციის სახით, ვღებულობთ 137 ათას მანეთს. აქედან ხელფასში გადის 115 ათასი მანეთი, დანარჩენი კი ნაწილდება ადგილობრივ დაწესებულებებს შორის, სამეურნეო, საკანცელარიო და ინვენტარის შეძენისათვის. ბიუჯეტიდან ამოშლილია სრულიად კაპიტალური რემონტი და აღმშენებლობა. მიუხედავათ ასეთი სიღარიბისა, მაზრაში მუშაობა არ შეჩერებულა. დავიწყოთ მოკლეთ თუ რა გაკეთდა ახალი არჩევნების შემდეგ.

აღმასკომმა მიაქცია ყურადღება ქალაქის ქუჩების უმწეო მდგომარეობას. აქ სიარული წვიმიან დღეებში ყოვლად შეუძლებელი იყო. გზები მოიკირწყლა— კაცს შეხედავს უხარია. გზების გაყვანა დაჯდა ორი ათას მანეთამდის.

ბაღი, ერთად ერთი სილამაზე ცაგერის, მინგრეულ-მონგრეული იყო. შიგნით თავისუფლათ დასეირნობდენ ღორები, გოჭები, ბატები და სხვა. აღმასკომმა განსაკუთრებული მებაღე დანიშნა, შემოკავდა ბაღი, ამწვანდა, აბიბინდა ის. ბავშვებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, მათი ბაღში ჟრიამული, მხიარული ტიტინ-სიცილი შორიდან ვესმის და გიხარია.

სამი წლის წინათ დაწყებული იყო აღმასკომისათვის შენობა, რომლის მოთავებას ვერ ვეღირსეთ აღმასკომმა მიიღო დაკვირთი ზომები. მიუხედავათ ჩვენი ფინანსიური ხელმოკლეობისა, სახლი მაინც მოათავეს. აღმასკომი ყველა განყოფილებებით და საფინგანი.

ცაგერში არსებობს საავადმყოფო. მაგრამ ის ისეთ ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ შიგ ავათმყოფის დაწვენა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. აღმასკომმა დაუთმო საავადმყოფოს თავისი ძველი შენობა, ეხლა სწარმოებს ამ სახლის შეკეთება. მიდის რემონტი, რომელიც ჯდება 5.550 მანეთი.

საავათმყოფოს შენობა დაეთმო საბავშვო სახლს, შენობების რემონტი დაიწყება ამ დღეებში, ხარჯთ - აღრიცხვა შედგენილია.

გაივდა საუკეთესო საავტომობილო გზა ჯიღეშიდან ლაილაშამდის ლაილაშის თემაღმასკომის ინიციატივით. მაზრა ყოველის მხრით დახმარებას უწევდა თემს. ერთი ტეხნიკი სრულ მის განკარგულებაში მიავლინა.

ცაგერი ეხლა დაგეგმილია. გაიცა მიწები საალაღო წესით. შენდება საუკეთესო ქვის შენობები, ორ სართულიანი სავაჭროები. ლეჩხუმში მდებარე აგარაკები ხუთი-სამი წლით უფასოთ იყო გადაცემული კერძო მოიჯარადრეზე. აღმასკომმა ზარალის მეტი ვერაფერი ნახა. ხელშეკრულებებში აღნიშნულ მუხლების შეუსრულებლობისათვის გაუქმებული იქნა ხელშეკრულებები და მთელი აგარაკები მაზრის ხელში გადავიდა, რომელმაც დაიწყო ექსპლოატაცია ინსპეკტორის მეშვეობით. მთელი შემოსავალი ხუთი წლის განმავლობაში მოხმარდება აგარაკების გამშვენიერებას.

დაწყებული იყო თეატრის შენობის აგება. ახალმა აღმასკომმა დროებით შეაჩერა მუშაობა უსახსრობის გამო, მაგრამ ეხლა დაკვერთი წესით იქნება დამთავრებული.

ლეჩხუმის უგზოობა ყველამ იცის. ყოველ წლიურად მოდის ცენტრიდან გზის გამომკვლევი კომისიები, მაგრამ ცენტრიდან ჯერ-ჯერობით არავითარი სამედო არის. აღმასკომმა მიიღო გადამჭრელი ზომები დაიწყება გზის გაყვანა ორბელი-ცაგერის მიმართულებით, რომელიც სამ თვეში დამთავრდება.

უპარტიო.

რატომ მოისუსტებს მუშაობა

(გამოჩინებულის თემი, ქუთ. მაზ.)

გამოჩინებულის თემის საბჭოს მორიგ კრებაზე სექციების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზოგ სექციას სრულიათ არ უწარმოებია მუშაობა. პრეზიდიუმიც კი არ აურჩევიათ. ცოტა რაღაც გაუკეთებიათ სამეურნეო, საგზაო, საკოოპერაციო სექციებს, მაგრამ არც მათი მუშაობა ყოფილა უნაკლო.

ბოლოს მოსმენილ იქნა აღმასკომის და მისი სარევიზიო კომისიის მოხსენება. ამ მოხსენებიდან გამოირკვა აღმასკომის სისუსტე, მაგრამ ეს სისუსტე უმთავრესად აპარატის სიმცირეს მიეწერება.

გამოჩინებულის თემი ძლიერ დიდია. 1 მდივანი, ერთი თავმჯდომარე და ერთი მილიციელი ვერ ვასწვდებოდენ ყველა საქმეებს. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს სამაზრო ცენტრმა და რაც შეიძლება მალე გაადიდოს შტატი გამოჩინებულის აღმასკომს, თორემ მუშაობა სულ მოდუნდება.

კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, სადაც საყვედურს გამოსთქვამენ ზოგი სექციის უმოქმედობის გამო და აგონებენ აღმასკომს შესაფერი ზომები მიიღოს მუშაობის უფრო გასაცხოველებლათ.

კრებაზე დაისვა აგრეთვე საკითხი საძოვრების შესახებ. ამ თემს ქონია ერთი საძოვარი მთა, სადაც ზაფხულობით აქაური მცხოვრებნი აძოვებდენ საქონელს. ეს მთა მიუთვისებია მაზრას, რაც ძლიერ აღელვებს გამოჩინებულის გლეხებს, სათანადო ზომებიც მიუღიათ ამის გამო, მაგრამ საქმე ისევ ძველებურათ ყოფილა. საჭიროა სამაზრო ცენტრმა მიაქციოს ამას ყურადღება და დაუბრუნოს ხალხს ეს საძოვარი მთა.

ხან-კანი.

წერილებიდან

აბასთუმანი (მესხეთი)

ტყე დაცვლია აბასთუმნის ტყეებს სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული და ადგილობრივი ტყის გამგე გ სალარიძე სწორეთ რომ მადლობის ღირსია!..

ახალი ტყის მოსაშენებლათ მას გუმართავს სამაგალითო სანერგე საიდანაც ამ გაზაფხულზე გადაუნერგავს 30 ათასი ძირი ნერგი და ამრიგათ 40 დესეტინა უტყეო ადგილი გაუნაყოფიერებია... განზრახული აქვს მომავალ გაზაფხულზე. ასევე მოიქცევა. არ გავა ათიოდე წელი და ზოგიერთი ღელენდელი მოტიტვლებული მიდამოები ტყით იქნებიან შემოსილი. ამ ენერგიული მუშაობით, ყურადღებას იპყრობს ტყის გამგის სახლის წინ, გზის პირას გაკეთებული საყვავილე, სადაც ცოცხალი ყვავილებით დაწერილია: „გაუფრთხილდით ტყეს იგი საფუძველია კურორტებისა".

წელს აბასთუმანში მოქმედობს ხუთი სანატორიუმი, სადაც ხუთასზედ მეტი ავადმყოფია, მარტო არაზინდოში 250.

ტრ. მესხელი.

დ. თიანეთი

კულტურული მუშაობა ფართოვდება. კლუბის ახალი გამგეობის არჩევის შემდეგ კულტურული მუშაობა ჩვენს დაბაში დიდათ გაფართოვდა. თითქმის ყოველ კვირა დღეს იმართება წარმოდგენები და ეწყობა ლიტერატურული გასამართლებანი. გლეხები ბლომათ ესწრებიან წარმოდგენებს და აქტიურ მონაწილეობას იღებენ ლიტერატურულ გასამართლებებში.

იუსტინიშვილი.

ს. კაკაბეთი (სიღ. მ.)

ტყის მცველი თუ ჯაბის მცველი. ტყის მცველი გიორგი ქელიძე ისე სდარაჯობს ტყეს, როგორც თხა ბოსტანს. სამაგიეროთ მხრებზე გრძელი თოფი გადაუკიდია და დადის ძველი „დაამბეგივით" იქით-აქეთ. ამას წინათ მიუხტა ქვრივ ქალ დღლაშვილს და წაართვა ერთი დღიური მიწა. იძახის: „მე ტყის მცველი ვარ, საცა მინდა, იქ ავიღებ მიწასო". გიორგი ქელიძის პარპაშობისაგან.

მოკეთე გლეხი.

ჯვარი (ზუგდიდ. მაზრა)

წყალწაღებულნი. ივლისის შუა რიცხვებში ჯვარში მცხოვრებ რვა კომლისათვის საშინელი დღეები დადგა. ადიდებულმა მდინარე ენგურმა, რომელიც უერთდება მდ. ენგურს. წალეკა 8 მოსახლე, გვარად ციმინტიები, ყველა მშრომელი ოჯახი. პაველ ციმინტიას, დაავადმყოფებულ, ღარიბ გლეხს არ დარჩენია არაფერი, გარდა ერთი თხისა. სურათი მართლა საშინელია. წალეკილია მთელი ქონება და ზედ ქვებია დაყრილი. დანარჩენი მოსახლეებიდან ზოგს დარჩენია ჩამოტვრეული სახლები და სულ უმნიშვნელო რამეები. სამაღმასკომის მიერ გამოყოფილმა სამეულმა აღწერა მთელი ზარალი. იმედია მაზრის და ცენტრალური ხელისუფლება გამოიყვანს დაღუპულ გლეხობას გაჭირვებიდან.

ი. წ—ა.

პროვინციის ქრონიკა

შუამდგომლობა. სენაკის მაზრის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სახელმწიფო ბანკის წინაშე, რათა უკანასკნელმა სესხის სახით გასცეს 20.000 მან. ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების საჭიროებისათვის.

აგარაკ ჩეგოლა-ლებარდეში. სენაკის მაზრის აღმასკომმა დააწესა ბინის ფასები აგარაკ ჩეგოლა-ლებარდეში. სეზონში ოთახი ღირება 32 მან., ხოლო კარავები 24 მან.

აფთიაქის გახსნა. სენაკის მაზრის აღმასკომმა დაადგინა გახსნას აფთიაქი ქვემო ჭალადიდის სადგურთან.

წერილები

რა არ ვარგა ბორჯომში

ბორჯომში დასასვენებლად მიეშურებიან ნევრასტენიკები და გულით ავადმყოფები. ცნობილია რომ ბორჯომის წყლები და აბაზანები წამლობა დიდად შველის სნეულთ. მაგრამ სამწუხაროდ ყოველგვარი წამლობა,ჰაერი და წყლით უმეტეს შემთხვევაში ვერ აღწევს მიზანს შემდეგ გარემოების გამო.

ზემო თქმული სენით შეპყრობილთ სხვანაირი კვება სჭირია, მათ არ ეშმევათ ხორცი და სხვა ისეთი საჭმელ-საჭმელები, რომლებიც აღიზიანებენ ნერვებს და ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ. ექიმების რჩევით ასეთი ავადმყოფები იკვებებიან მცენარეული საჭმელით და რძით.

ბორჯომში ჩამოსულ ავადმყოფთა 30% იმყოფება დიეტაზე, ხოლო ბორჯომში არსებული სასადილოების 100% იძლევა საჭმელს მხოლოდ და მხოლოდ განმზადებულს მარტო ჯანსაღებისათვის, ე. ი. პირველი ხორცი, მეორე ხორცი, მესამე ხორცი და სულ ხორცი.

არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამ მოვლენას.

ნაწილობრივ ამით აიხსნება, რომ ბევრ ავადმყოფებმა მიანებეს თავი ბორჯომში მკურნალობას და გასწიეს ჩრდილოეთისაკენ და უფრო შორსაც.

გარდა ამ არასასურველი მოვლენისა არის სხვა არანორმალური მოვლენანი. ბორჯომის საზაფხულოებში თქვენ მუდამ დღე შეხვდებით ფალსიფიკაცია ქმნილი რძესა და მაწონს.

როგორც სხვაგან, ბორჯომშიაც დააქვთ პატარებს გასასყიდათ ირისი-ტიანუჩკები. წარმოიდგინეთ, რომ ეს პატარები გალოკავენ-გასწუწნიან ამ ირისებს და ისევ იწყობენ ყუთში. ასე რომ ძალიან ადვილად შეიძლება რაიმე გადამდები სენით ავად გახდეს ადამიანი.

თუ სადმე საყვედურს იწვევს ქალთა სქესის მიერ ტუჩების სღებავებით შელესვა, ეს უფრო საგრძნობლად არის ბორჯომ-წაღვერში.

აბა რა სასიამოვნოა, როცა ტუჩ შეღებილი ქალები მიირთმევენ წყალს პარკში საერთო ჭიქიდან (მერე შეუძლებელია წყლის გამოლევა მისი გამორეცხვა). ჭიქას ზედ რჩება საღებავი, პომადა და გლიცერინი. ხშირად წყალდაუვლელათ უნდა დარჩე, თუ საკუთარი ჭიქა არ [illegible].

მთელი მოსახლეობა და ჩამოსულები ჩარჩ ვაჭართა კლანჭებშია. კოოპერატივის კარები ალუჭულია.—კოოპერატივი მიჩერებულია მარტო ჩარხისწყლის დუქანს, რომელსაც არ შეუძლია ხარჯების დაფარვაც კი. ხოლო ცენტრის დუქანი დღემდე არ მოქმედობს, რაც მიუტევებელი დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს კოოპერატივის გამგეობას.

ყველა ზემო თქმული მოვლენანი დაუყოვნებლივ უნდა იქნან აღმოფხვრილნი.

ნაკლის გამოსწორება კი სულ ადვილია, ოღონდ იყოს სურვილი და გამოცდილი ხელი.

აზრი.

სანაო საქართაოდ

(აკეთის თ. გურია)

მდ. სუფსაზე „ჯიხურთან" გასასვლელად გვაქვს ნავი და დაქირავებული გვყავს მენავეები. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მენავეებმა პირნათლად შეასრულონ თავის მოვალეობა და მგზავრები თავის დროზე გაიყვანონ, სანაო შენობაში ყოველდღიობით თავს იყრიან ჩვენი თემის უსაქმო ელემენტები და არის გაცხოველებული კარტის თამაში და „ჩერე"-ს ძახილი,რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს თვით ჩვენი მენავეები, რის გამოც მგზავრებს უხდებათ დიდხნობით ცდა და ლოდინი.

იყო შემთხვევა, გლეხი, რომელსაც სასამართლოს მიერ აღწერილი ქონდა ვალში კრაოტი და რომელმაც შემდეგ მუშაობით შეიძინა ვალის გასასწორებელი ფული, მაგრამ, მანამ, სანამ მევალეს გადასცემდა, შემთხვევით გავლა მოუხდა ამ სანაოსთან, სადაც ჩაითრიეს თამაშში და ვალის გასასწორებელი ფული აქ ააძვრეს „ძმა-ბიჭებმა". ეხლა კი მისი ოჯახის ნივთი ისევ საჯარო ვაჭრობით უნდა გაიყიდოს ვალის დასაკმაყოფილებლად.

ჭაშნიკი.

ოთხი დღით ქვემო სვანეთში

(წერილი ლეჩხუმიდან)

ლეჩხუმის მაზრაღმასკომის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მაზრაში არსებული თემაღმასკომების რევიზია და არსებულ მდგომარეობის შესწავლა.

კომისია თავდაპირველად გაემგზავრა ქვემო სვანეთში, სადაც დაჰყო ოთხი დღე.

უგზოობის მსხვერპლი

ქვემო-სვანეთი შემოდის ლეჩხუმის მაზრაში. ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია ეს მხარე. საუკეთესო ტყე, ძვირფასი სამკურნალო წყლები და ადგილმდებარეობის მრავალფეროვანება ძალაუნებურათ იპყრობს ადამიანის ყურადღებას. და ასეთი სიმდიდრით ნაკლებათ სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები. ამის უმთავრესი მიზეზი უგზობაა. **შეიძლება თამამათ ითქვას, რომ ქვემო-სვანეთს არ მოეპოვება** საურმე და საცხენო გზაც კი. ხშირია შემთხვევა, რომ ფეხითაც გავლა შეუძლებელი ხდება, როდესაც ცხენის წყალი თავისებურათ „გაგიჟდება". უგზოობის გამო ხდება მრავალი უბედურებანი, როგორიცაა: გლეხის მარჩენალ საქონლის დაღუპვა და ადამიანის მსხვერპლი. თვით კომისია იყო მოწმე მეტად სამწუხარო ამბისა, ახლად დაქორწინებულ გლეხს მოჰყავდა თავის მეუღლე რომელიც მჯდარა ცხენზე. ერთ-ერთ მოსახვევზე ცხენს წაუბორძიკებია და თითქმის ნახევარი ვერსის სიმაღლიდან გადავარდა ცხენის წყალში. ცხენი ცოცხალი გადარჩა, რომელიც წყალმა გაიტანა მეორე ნაპირზე, ხოლო ქალი დაიღუპა.

ადგილობრივი თემაღმასკომები და თემსაბჭოები დიდ უპირატესობას აძლევენ გზის გაყვანას და არა თუ მარტო ადგილობრივი თემაღმასკომები, არამედ თვით მშრომელი გლეხობა. ქვემო სვანეთის გლეხობას უკვე შეგნებული აქვს, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს გზის გაყვანას. ამისი საუკეთესო დამამტკიცებელია მათი შემდეგი განცხადებები საუბრის დროს—„უგზოობით ნამეტანი დატანჯულია ხალხი. მოვეხსენებათ, იმისთანა ადამიანი გადავარდა წყალში და დაიხრჩო, რომლის მეტი მის მშობლებს არაფერი გააჩნდათ. გთხოვთ დაგვეხმაროს მთავრობა და ჩვენ კი არაფერს დავზოგავთო. ჩვენც შეგვიძლია დავეხმაროთ საბჭოთა მთავრობას. თუ კი მთავრობა მოგვცემს ასაფეთქებელ მასალას და ტეხნიკურ დამხმარე ძალებსო. სოფლები ვიკისრებთ მიწის სამუშაოს უფასოთ შესრულებას"-ო.

მთელი წელიწადი რომ უფასოთ ემუშავა გზის გასაყვანათ იმ გლეხს, რომელსაც ეს უბედურება მოუვიდა, ის ერჩია, შვილი მაინც ცოცხალი ეყოლებოდაო, განაცხადა გლეხების წარმომადგენელმა ამხ. ჩაქსოლიანმა.

საჭიროა გზის გაყვანის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მაზრაღმასკომმა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ. მართალია, ჩვენ ვმუშაობთ მტკიცე საბიუჯეტო დისციპლინის პირობებში, მაგრამ ამ პირობებშიაც შესაძლებელი იქნება აღმოეჩინოს დახმარება ქვემო-სვანეთს. როგორც საჭირო ხელმძღვანელი ტეხნიკური ძალებით აგრეთვე სათანადო აუცილებელ ინვენტარით და დინამიტით.

ამ დახმარებით შესაძლებელი იქნება ქვემო-სვანეთში საურმე გზის გაყვანა.

ტყისა თუ გლეხობის ექსპლოატაცია?

ქვემო სვანეთი მდიდარია ტყით. დღემდის ტყის ექსპლოატაცია სწარმოებს ამიერ-კავკასიის რკინის-გზის რწმუნებულობის სახით. სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ ტყის ექსპლოატაცია სწარმოებს ყველგვარი სატყეო მეურნეობის გეგმის გარეშე. ამის გამო ტყე იჩეხება ისეთ ადგილებზე, სადაც ყოვლად შეუძლებელია. ტყის ამდაგვარი უგეგმო ექსპლოატაცია თუ მომავალში გაგრძელდა, ქვემო-სვანეთის გლეხობა, და არა მარტო ქვემო-სვანეთის გლეხობა, არამედ ჩვენი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი, სამუდამოთ გამოეთხოვება, საუკეთესო სამკურნალო წყლებს, რაიც ბლომათ მოიპოვება ქვემო-სვანეთში,—განსაკუთრებით აჩხვლში, (მჟავე და რკინის წყლები). საბჭოთა ხელისუფლების კანონებით, საკურორტო ადგილებზე ტყის ექსპლოატაცია სწარმოებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ საკურორტო განყ. შეთანხმებით. მაგ. ქვემო-სვანეთში ასე არ ხდება. ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ქვემო-სვანეთის ის ადგილები, რომლებიც საკურორტო მნიშვნელობისა არიან დღემდის არ უცვნიათ კურორტათ.

მიზეზი იმისა, რომ ჯანმრთელობის კომისარიატმა დღემდის ვერ მიაქცია ყურადღება ქვემო-სვანეთის მდიდარ კუთხეს და საუკეთესო სამკურნალო წყლებს, არის უგზოობა. რაც შეეხება ადგილობრივ გლეხობას, ისინი დიდ მომავალს აკუთნებენ ლაშხეთის ბუნებრივ სიმდიდრეებს. ამისი დამამტკიცებელია ლაშხეთის თემის საბჭოს დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ ლაშხეთის მიდამოებში შეწყვეტილ იქნას ტყის გაჩეხა. ამდაგვარი დადგენილებები წინათაც ყოფილა გამოტანილი, მაგრამ ცხოვრებაში დღემდის არ გატარებულა. რკინის გზის რწმუნებულობა მაინც განაგრძობენ ტყის გაჩეხვას ძველებური წესით.

კომისიის აზრით ამ ტყის ექსპლოატაცია რამოდენიმე წლით მაინც, სრულიად შეწყვეტილი უნდა იქნას. რაც შეეხება საერთოდ, ტყის ექსპლოატაციას ქვემო-სვანეთში, დაუშვებელია იმდაგვარი წესით ტყის განადგურება, რასაც დღემდის ადგილი აქვს. საჭიროა სათანადო ორგანოებმა ეს საკითხი მოაგვარონ ახლო მომავალში.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო მოვლენები, რასაც დღემდის ადგილი აქვს თვით დამუშავების სისტემის საქმეში. ტყეზე მომუშავე გლეხებთან საქმეს იჭერს არა ამიერ-კავკასიის რკინის გზის რწმუნებულობა, არამედ რამოდენიმე პირები. ამ უკანასკნელების მიერ იდება ხელშეკრულება ოფიციალურ ორგანოების წარმომადგენლობასთან და შემდეგ ისინი ქირაობენ გლეხებს, რომელთაც აძლევენ მცირე გასამრჯელოს. ასეთი წესით ტყის დამუშავებას ისინი, როგორც რკინის გზის რწმუნებულობა, აგრეთვე გლეხების დამქირავებლები, უწოდებენ „არტელურ" წესს. სინამდვილეში გამოდის არა არტელი, ვინაიდან თვით გლეხების დამქირავებლები უმეტეს შემთხვევაში არ მუშაობენ, არამედ აწარმოებენ მხოლოთ „ზედამხედველობას" და იწევიან გლეხობის ექსპლოატაციას. ხშირია ასეთი შემთხვევები, რომ ხუთ მუშაზე მოდის ერთი „ზედამხედველი", ვითომც არტელის ხელმძღვანელი.

აგრეთვე ადგილი აქვს ასეთს სამწუხარო მოვლენებს: რკინის გზის წარმომადგენლობა ხელშეკრულებას დებს რამოდენიმე პირთან, რომელთაც უნდა შეადგინონ არტელი და შეასრულონ ხელშეკრულებაში აღნიშნული სამუშაო. მაგრამ სინამდვილეში არტელს ადგენს არა ის პირი, რომელმაც რკინის გზის რწმუნებულობასთან დადვა ხელშეკრულობა, არამედ ის, ხელშეკრულებით ეკვრის კიდევ სხვა პირს, რომელსაც უკვე ევალება მუშა-ხელის მოგროვება და განსაზღვრული სამუშაოს შესრულება. ასე, რომ როდესაც „არტელში" შემავალ გლეხებს თავის დროზე არ ეძლევათ გასამრჯელო (ასეთი შემთხვევები ხშირია), გლეხებმა უნდა მიმართონ „ქვე-არტელის" ხელმძღვანელს(როგორც თვითონ უწოდებენ). ქვე-არტელის ხელმძღვანელობა არტელის ხელმძღვანელს და არტელის ხელმძღვანელებმა რკინის გზის რწმუნებულობას. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც არტელების, აგრეთვე ქვეარტელების ხელმძღვანელები აწარმოებენ გლეხების ულმობელ ექსპლოატაციას. რკინის გზის რწმუნებულობა თავს იმართლებს იმით, რომ მათთვის ძნელია უშუალო კავშირი იქონიონ, რამოდენიმე ათეულ და ასეულ გლეხობასთან. ამიტომ ისინი იჭერენ კავშირს რამოდენიმე პირებთან (როგორც განაცხადეს რკინის გზის წარმომადგენლებმა).

ტყის დამუშავება ქვემო - სვანეთში სწარმოებდა წინადაც. გლეხები აღნიშნავდენ, რომ, წინათ ყოფილან დაზღვეულნი, როგორც ტყეზე მომუშავე გლეხები, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები. დღეს კი არავითარი დაზღვევა არ ვრცელდება, არც უშუალო მომუშავე გლეხებზე და არც ოჯახის წევრებზე. ხშირია შემთხვევა, რომ ოჯახის მარჩენალი იღუპება და ოჯახის წევრები უპატრონოთ რჩებიან.

რკინისგზის რწმუნებულობა პირდება დახმარებას საერთო წესით, მაგრამ დღემდის არავის არ გაწევია ასეთები.

ქვემო - სვანეთში მრავალი ქვრივობლები არიან, რომლებიც მოითხოვენ კანონიერ დახმარებას, მაგრამ რკინისგზის წარმომადგენლები (კანტორის მოხელეები) ღირსათაც არ ხდიან მათ პასუხი გასცენ, წერილობითი განცხადებებზე. მაგ. „მე ამას მოგახსენებთ, რომ ჩემი ქმარი და სიძეც დაიხრჩენ 1925 წ. წყალში, როდესაც მათ მიქონდათ რკინისგზის ხე. რამდენიმეჯერ მივმართე რკინისგზას დახმარებისათვის, მაგრამ პასუხი დღემდის არ მიმიღია. საწყალი ქალი ბავშვებს მივატოვებ, მივდივარ ფეხშიშველი, ნეტავი პასუხს მაინც მომცემდენ, მაშინ ასე არ დავიტანჯებოდიო".

ასე შემოგვჩივლა ქვრივ ცაცუ ბენდელიანმა.

ამდაგვარი მოვლენები ხშირია, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

ან. სიამაიშვილი.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

აფხაზეთიდან მიღებული ცნობებით ტყვარჩელის ქვანახშირის გეოლოგიური გამოკვლევა დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

გამოკვლევის ადგილას აღმოჩენილი სამი მიწაყრებული ძალარო სავსებით აღდგენილ იქნა. გამომკვლევმა კომისიამ, რომელსაც გაუვალ ტყეებში უხდებოდა მუშაობა, შესძლო მთელი ქვანახშირის მადნების გამოკვლევა ბაბე-ხელკვარის რაიონში. ყველა გამოკვლეულ უბნებში აღმოჩენილ იქნა იშვიათი ღირსების ქვანახშირის დიდძალი მადნები. ზემოხსენებულ რაიონში ნიადაგის ზედაპირი გაბურღვილი იქნა 40 მეტრის სიღრმეზე—რომლის ქვევით გამოჩნდა ქვანახშირის ფენები.

მიწის ზედაპირის ბურღვა გრძელდება.

საველე ლაბორატორიამ მოახდინა აღმოჩენილ ქვანახშირის 40 ნიმუშის გასინჯვა. ქიმიურ ანალიზს და გამოცდას ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა.

მუშაობის გასაგრძელებლად ექსპედიცია კიდევ საჭიროებს 20 ათასს მანეთს. ვინაიდან ზემოხსენებული თანხა ცენტრმა 50%-ით შეამცირა, მოუხერხებელი ხდება გატანა 16 ათასი ფუთი ქვანახშირის დანის ოლქში, სადაც უკვე მომხდარიყო გამოკვლევა ტყვარჩელის ქვანახშირიდან კოქსის მიღების შესაძლებლობის გამორკვევის მიზნით.

1926-27 წლისათვის აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ცეტრს სთხოვს 32 ათასს მანეთს ტყვარჩელის ნავთსადგურის მოსაწყობად და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებიდან ზღვის პირამდე რკინისგზის გასაყვანი ძიებების მოსახდენად.

ხალიჩების წარმოება

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ხალიჩების მთავარ დამამზადებლად და ექსპორტიორად მთელს საბჭოთა კავშირში 1926—27 წელში აღიარებულია ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა.

ამის გამო ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის საექსპორტო კანტორის გამგეს—ამხ. ადამოვს, რომელმაც ხალიჩების წარმოებისა და დამზადების შესახებ განაცხადა შემდეგი.

— ამიერ-კავკასიაში ხალიჩების ქსოვა განვითარებულია უმთავრესად ბაქოს, კუბის, განჯის, ყარაბახის, ყაზახის, თბილისის და რამოდენიმეთ ერევნის რაიონებში.

იმპერიალისტური ომის შემდეგ ხალიჩების ექსპორტმა სწრაფათ იწყო განვითარება, რამაც ხელი შეუწყო ხალიჩების წარმოების აღორძინებას.

ჩვენში ხალიჩების მთავარი მწარმოებლებია შინა-მრეწველი ქალები და ბავშვები. საუკეთესო კავკასიურ ხალიჩებათ, როგორც ძაფის ღეროების, ისე საღებავების და სურათების მხრივ, ითვლება „კუბა", „ყარაბახი" და „ყაზახი".

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომები ხალიჩების წარმოების განსავითარებლად. ასე მაგალითად, სამმართველო ამჟამად შეუდგა ყველაზე უფრო ძვირფასი ხალიჩების სურათების გადაღებას. ასეთი ხალიჩების სურათები ვრცელდება შინა-მრეწველობის შორის.

უკვე შეკვეთილია საზღვარგარეთ ხალიჩებისათვის საჭირო სპეციალური საღებავები, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც უკვე იცნობენ ჩვენი შინამრეწველობა.

ხალიჩების წარმოების ყველა მიღწევების გამოსარკვევად მოწყობილი იყო ხალიჩების გამოფენა სხვადასხვა რაიონებში; ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ ამ გამოფენებზე საუკეთესო ხალიჩების მპატრონეებს დაურიგა ჯილდოები.

მიუხედავათ იმისა, რომ საზღვარგარეთის ბაზარზე მაინცდამაინც ხელსაყრელი პირობები არ არის ხალიჩების გასასაღებლად, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო შემოდგომიდან მაინც შეუდგება ხალიჩების დამზადებას ფართო მასშტაბით. უკანასკნელი წლობის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში ყოველწლიურად მზადდებოდა 25—40.000-დე ხალიჩა.

მებამბეობა ჩვენში

ბამბის მოყვანა ჩვენში თანდათან მეტი ყურადღება ექცევა. მიწათმოქმედების კომისარიატს მებამბეობის გასავრცელებლათ ჰყავს ხუთი აგრონომ-ინსტრუქტორი და ერთი მთავარი ხელმძღვანელი. ბამბის საუკეთესო ადგილები უმთავრესად ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებშია. დასავლეთ საქართველოში ბამბა იმერეთში და სენაკის მაზრაში მოდის; მებამბეობის ინსპექტორმა აგრ. ი. ქურდიანმა დაათვალიერა ბამბის ნათესები, გლეხებს აჩვენა მუშაობის წესები და აგრეთვე აგრონომ-ინსტრუქტორების მუშაობაში შეიტანა ზოგიერთი შესწორებები.

ბამბის მთავარი საჩვენებელი ნათესები მოწყობილია ბორჩალოში, სიღნაღის მაზრაში, მარეთში და სენაკის მაზრაში. ყარაიაზსა და აჯამეთის საცდელ სადგურები შეთანხმებულად მუშაობენ აგრონომ-ინსტრუქტორებთან და მიღებული შედეგები დაუყოვნებლივ გადაეცემა გლეხობას. ყარაიაზში დამზადებული დიდძალი ბამბის შერჩეული თესლი, რომელიც მომავალში გლეხობას უფასოდ დაურიგდება;

ზოგ ადგილებში მოწყობილია მიწის დასამუშავებელი იარაღების საწყობები, საიდანაც გლეხები უფასოდ სარგებლობენ იარაღებით.

მიწათმოქმედების კომისარიატს დაწესებული აქვს პრემიები იმ გლეხ-მებამბეებისათვის, რომლებიც სამაგალითოდ მოუვლიან ბამბის ნათესებს და მეტ მოსავალს მიიღებენ. აგრეთვე გამოყოფილია საჭირო თანხა ბამბის მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბორჩალოში გაჩენილ კალიის წინააღმდეგ წელს თავის დროზე იყო მიღებული ზომები და კალიაც მოისპო.

ბამბის ტილმა. ჩრჩა და სხვა მავნებლებმა წელს ბამბას ვერაფერი დააკლეს.

როგორც გამოირკვა, გაისად გლეხები ბამბის თესვას მეტ ყურადღებას მიაქცევენ და ნათესების სივრცე უფრო გაფართოვდება.

მოსახლეობის კვება

(სტატისტიკური გამოკვლევის მიხედვით)

ა. კ. ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უკვე დაამთავრა 1925 წელს მოსახლეობის კვების საკითხის შესასწავლად ჩატარებულ აღწერის მასალების დამუშავება.

დამუშავებული სტატისტიკური ცნობები მთელი ამიერ-კავკასიის მოსახლეობის კვების შედეგ. დახასიათებას იძლევა:

თვითეული სული ყოველწლიურად ხმარობს ქალაქში 10,06 ფუთი პურის პროდუქტს, ხოლო სოფლად 18-19 ფუთს. ქალაქის მცხოვრები ყოველწლიურად სჭამს საშუალოდ 2,18 ფუთ ხორცს, ხოლო სოფლის მცხოვრები კი 1,34 ფუთს. ყოველ სულზე ქალაქში წლიურად იხარჯება 2,28 ფუთი რძის პროდუქტები, ხოლო სოფლის ყოველ მცხოვრებზე—4,59 ფუთი; შაქრის ხარჯი ქალაქის თვითეულ სულზე უდრის 3/4 ფუთს, ხოლო სოფლის მცხოვრებთა ყოველ სულზე—0,138 ფუთს.

მცხოვრებთა კვების საკითხის გამოკვლევა 1924-25 წელს ჩატარდა პირველად ამიერ-კავკასიაში, ამიტომ ამ ციფრებს არ შეიძლება ისე მნიშვნელობა მიეცეს, რომელიც მიეცემა მთელ რიგი წლების განმავლობაში დაგროვილ სტატისტიკურ ცნობებს ამ საკითხის შესახებ.

კვების მეორე გამოკვლევა ჩატარდა მიმდინარე 1926-27 საბიუჯეტო წელს. ამ ჟამად უკანასკნელი აღწერით შეგროვილი მასალები იკრიფება, ხოლო მათი დამუშავება დამთავრდება 1926 წლის პირველ ნოემბრისათვის.

საბინაო მშენებლობა

მიმდინარე საამშენებლო სეზონში გაცხოველდა საბინაო მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა კუთხის დაბა-სოფლებში, და განსაკუთრებით პროვინციალურ ქალაქებში. საბინაო მშენებლობას პროვინცია-ქალაქებში ხელი შეუწყო ა.-კ. ცაკის მიერ გამოცემულმა დეკრეტმა კერძო მშენებლობისათვის საგადასახადო შეღავათის მინიჭების შესახებ.

ახალქალაქი

მასიური ხასიათი მიიღო სახლების შენებამ ჯავახეთის ახალქალაქში. მიმდინარე წლის დამლევამდე ამ ქალაქში კერძო პირთა მიერ სახლების აგებას მხოლოდ აქა-იქ ქონდა ადგილი ცაკის მიერ დეკრეტის გამოცემის შემდეგ კი ერთბაშად დაიწყო სახლების კეთება.

ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების მიერ უკანასკნელ ხანებში კერძო პირებზე გაცემულია სხვადასხვა ხასიათის შენობის აგების ასი ნებართვა. აღსანიშნავია, რომ კერძო მშენებელნი მეტ წილად აგებენ საცხოვრებელ საბინაო სახლებს.

თვითონ კომუნალური მეურნეობაც აწარმოებს მუშაობას შენობების ასაგებად.

უკვე დამთავრდა 12 სადუქნე შენობის და ერთი მოზრდილი 12 თვალიანი სასტუმროს აგება. მშენებლობას ახალ-ქალაქში აბრკოლებს ხე-ტყის მასალის ნაკლებობა და კვალიფიციურ მუშა-ხელის—დურგლების, კალატოზების და სხ. სიმცირე.

სიღნაღის მაზრა

მასიური ხასიათი მიიღო სახლების აგებამ აგრეთვე სიღნაღის მაზრაში. მრავალ სოფელში შენდება 3-4 თვალიანი სახლი, ალაგ-ალაგ კი დიდი ორსართულიანი სახლებიც.

სახლები შენდება ახალი—ქალაქური ტიპისა. სიღნაღის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალურ განყოფილებას საშუალება არა აქვს უხელმძღვანელოს კერძო საბინაო მშენებლობას, რადგან სამისოდ საკმაო კვალიფიციური ტეხნიკური პერსონალი არ მოეპოვება. ასეთ პირობებში მთავარი ყურადღება ექცევა მხოლოდ სოფლის მთავარ ქუჩებში ასაშენებელ სახლებს.

აბრეშუმი

მიმდინარე სეზონში დასავლეთ საქართველოში საზ. „აბრეშუმი"-ს მიერ დამზადებულ იქნა სულ 126.453 ფუთი ანუ 2.722.717 მანეთის აბრეშუმის ნედლი პარკი. პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკის თვითეულ ფუთში გლეხობას ეძლეოდათ 22 მანეთი (შარშანდელთან შედარებით 4-5 მანეთით მეტი), ხოლო მეორე ხარისხის ფუთ პარკში 20 მანეთი (შარშანდელთან შედარებით 5 მანეთით მეტი), საზოგად. „აბრეშუმს" კიდევ დასამზადებელი აქვს 3542 ფუთი პარკი. მთელს დასავლეთ საქართველოში ღირსების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ქვემო იმერეთის (ქუთაისის მაზრა) აბრეშუმის პარკს, ხოლო მეორე ადგილი ლეჩხუმისას. უკვე დამზადებულ 126,5 ათასს ფუთი ნედლი პარკიდან ქილებული იქნება 43.000 ფუთი ხმელი პარკი. ამ რაოდენობიდან 8 ათასი ფუთი უკვე შეყიდული აქვს „შელკოტრესტს". ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას („ზაკგოსტორგ") უცხოეთში გასაზიდათ ეძლევა 15 ათასი ფუთი; ადგილობრივ ბაზარზე გამოტანილი იქნება 6,500 ფუთი. დანარჩენი პარკი გადაეცემა სამტრედიის საბრეშუმო ფაბრიკას (რომელიც საზოგადოება „აბრეშუმს" ეკუთვნის) და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უწყებაში მყოფ ხონის, თელავის და ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკებს.

შარშანდელთან შედარებით წელს დასავლეთ საქართველოში დამზადებულია 26 ათასი ფუთით მეტი.

გასულ წელს საზოგადოება „აბრეშუმ"-მა დაურიგა მეაბრეშუმე გლეხებს 78 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი. მიმდინარე წელს დარიგებული იქნება 90.100 კოლოფი.

განათლების ფრონტზე

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მსურველთა საყურადღებოთ

უკანასკნელ ხანებში დიდძალი სტუდენტობა მიემგზავრება მოსკოვში. მათ, ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებიდან სურთ გადასვლა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში.

სტუდენტების უმეტესობას არ აქვს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში გადასვლისათვის საჭირო დოკუმენტები და ეს გარემოება ძალიან აფერხებს საქმეს.

გადასვლა ერთი სასწავლებლიდან—მეორეში შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს აქვს საამისო თანხმობა, როგორც ერთის, ისე მეორე უმაღლეს სასწავლებლიდან. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩვენი სტუდენტები შესაფერი დასტურის მიუღებლად. მიემგზავრებიან მოსკოვში, რჩებიან უბინაოდ, ვერც სასწავლებელში შესვლას ახერხებენ და ბრუნდებიან უკან.

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობა მოსკოვში აცნობებს რა ამ გარემოების შესახებ საქართველოს განათლების კომისარიატს, სთხოვს მას ფართოდ განუმარტოს ამიერ-კავკასიის სტუდენტობას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის პირობები.

ეს პირობები ასეთია: 1 აგვისტოდან 15 ენკენისთვემდე საჭიროა შეკითხვის გაგზავნა გადასვლის შესაძლებლობის შესახებ იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელშიაც სტუდენტს სურს შესვლა არა უგვიანეს ორი კვირისა მიღებული იქნება პასუხი. თუ პასუხი დამაკმაყოფილებელია მხოლოდ მაშინ შეიძლება გამგზავრება.

პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოში

პოლიტგანათლების მთავარი სამმართველობის მომავალ სამოსწავლო წლისათვის აქვს მაზრებში სხვადასხვა ტიპის სკოლების გამრავლება. შემუშავებულ გეგმის მიხედვით მაზრებში უნდა გაიხსნას შემდეგი სკოლები: სალიკვიდაციო ოთხთვიანი—2.202, ექვს თვიანი სკოლები—290, საღამოს ერთ წლიანი კურსები მუშებისა და გლეხებისათვის—17 და სამწლიანი ზრდადი ტიპის სკოლა (ეს სკოლა მისცემს საშუალო სასწავლებლის ცოდნას)—23.

რაც შეეხება ქოხ-სამკითხველოების მასიურ მუშაობას, მათ აქამდე ჰქონდათ ეპიზოდიური ხასიათი: კეთდებოდა მოხსენებები სხვადასხვა თემებზე, კითხულობდენ ლექციებს და სხვა.

მომავალი სამოსწავლო წლიდან მთავარი ყურადღება მიექცევა ქოხ-სამკითხველოებთან წრეების მოწყობას; უნდა მოეწყოს: აგრონომიული, კოოპერატიული, სანიტარული და ჰიგიენური წრეები. ამ წრეების მუშაობის დებულებები და პროგრამები უკვე შემუშავებულია და ახლო ხანში დაეგზავნება მაზრებს.

ქოხ-სამკითხველოების ხელმძღვანელობად მომავალ წლისათვის განზრახულია დაინიშნოს უფრო მომზადებული პირები. რომელთაც დაენიშნებათ ჯამაგირები სოფლის მასწავლებლის თანაბრად. გეგმით გათვალისწინებულია სულ 476 ქოხ-სამკითხველო.

წიგნთსაცავების რაოდენობა უნდა ავიდეს 88-დე.

გარდა ამისა გეგმით განზრახულია პოლიტიკური (ლენინის) 123 სტაციონალური სკოლის და 32 მოძრავი პოლიტცოდნის სკოლის დაარსება.

სატყეო მეურნეობა

ბზების სატყეო აგარაკის გამოკვლევა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. ვ. დარჩმანის მოხსენება ბზების ტყის აგარაკის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო სპეციალურ კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების ს. შ. უ. ს. შესაფერს განყოფილებებში დამუშავება და აფხაზეთის ს. შ. უ. საბჭოსთან შეთანხმებით—ბზების ტყის აგარაკის ექსპლოატაციისათვის საჭირო ღონისძიებების გამომუშავება.

წითელ ჯარში

1904 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის

კენჭის ამოღება

მას შემდეგ, როდესაც გამწვევი კომისიები გამორკვევენ ამა თუ იმ რაიონის გაწვეულთა საბოლოო რაოდენობას და შეადგენენ გასაწვევ ახალგაზრდების სწორ სიას, მოხდება კენჭის ამოღება.

კენჭის ამოღებაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა გასაწვევი ახალგაზრდები.

კენჭის ამოღება, რამდენადაც შესაძლებელია, დასრულებული უნდა იქნეს ერთი დღის განმავლობაში. ამასთან შეფარდებით, ყველა გასაწვევი ახალგაზრდები უნდა გამოცხადდენ გაწვევის პირველ დღეს დანიშნულ ადგილას.

წინასწარი მუშაობა კენჭის ამოღების მოწყობის საქმეში და გაწვეულთა მიერ კენჭის ამოღება სწარმოებს გაწვეულთა წარმომადგენლების თანდასწრებით, ხოლო სოფლად—თემის აღმასკომის წარმომადგენლის თანდასწრებით.

კენჭს იღებენ თვითონ გაწვეულები, რომლებიც ამისათვის გამოიძახებიან თითო-თითოდ იმ რიგით, როგორც შეტანილი არიან სიაში. თუ ვინმე გაწვეულთაგანი გამოძახების დროს არ აღმოჩნდა, მის მაგიერად კენჭს იღებს მისი რაიონის ან თემის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი.

1903 წელში დაბადებულ ცვალებადელთა შეკრება დამთავრდა

მიმდინარე თვის პირველ რიცხვებში ტერიტორიალურმა ნაწილებმა გაუშვეს სახლში 1903 წელში დაბადებული ცვალებადელები, გამოწვეულნი სამოსწავლო შეკრებაზე.

შეკრება გაგრძელდა ორ თვე-ნახევარი. ამ ხნის განმავლობაში ცვალებადელების მიერ განვლილ იქნა განსაზღვრული პროგრამა სამხედრო და პოლიტიკურ დარგში.

სწავლებასთან ერთად სწარმოებდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

შეკრების უკანასკნელ რიცხვებში ნაწილებში ჩამოყალიბებულ იქნა კოოპერატორთა კორესპონდენცია და სამხედრო კუთხების გამგეთა კურსები, სადაც მეცადინეობდნენ ცვალებადელებისაგან გამოყოფილნი აქტიური ამხანაგობა.

შეკრება ჩატარდა სრულიად დამაკმაყოფილებლად. სამოსწავლო პროგრამა სავსებით შეთვისებულ იქნა ცვალებადელების მიერ, რაც დამტკიცდა გამოცდების მიერ.

ნაწილების მიერ სახლში წამსვლელ ცვალებადელებს მიეცათ დარიგება, თუ რა უნდა აკეთონ სოფლად და როგორ უნდა გამოიყენონ ყაზარმაში მიღებული ცოდნა.

ი—ა.

მუშაობა ბანაკად

(1-ლი ლეგიონი)

უკვე სამი თვე შესრულდა, რაც ჩვენი ლეგიონი ეწევა საბანაკო ცხოვრებას. ამ ხნის განმავლობაში წითელარმიელებმა შეიძინეს საკმაო სამხედრო ცოდნა.

ღამ-ღამობით დავდივართ მანევრებზე, ვითვისებთ საბრძოლო წესებს, ვაწარმოებთ ძიებას, ვეჩვევით ზვერვას.

ყოველივე საბრძოლო ამოცანას, მოცემულს მეთაურების მიერ, ვასრულებთ უნაკლოდ.

მანევრების დროს გვიხდება მრავალ სოფლებზე გავლა; ამით გვაქვს შეძლება გავეცნოთ გლეხებს, ვესაუბროთ მათთან საუბარი და აუხსნათ წითელი ჯარის ცხოვრება-ვითარება. ხშირად თავისუფალ დროს ვშველით გლეხობას სხვადასხვა სამუშაოში.

ი—ა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მარტო ციფრები არ კმარა

რაც მომჭირნეობის კამპანია დაიწყო, მკითხველის წინაშე მრავალ ციფრებმა გაიარა ამა თუ იმ დაწესებულება - წარმოებაში მიღწეულ თუ მისაღწევ დაზოგვის შესახებ. უმთავრესად კი ეს ციფრები ვარაუდი იყო, რამდენადაც ისინი გამოხატავდენ ჯერ კიდევ ცხოვრებაში გაუტარებელ გეგმას.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრ შემთხვევაში დასაზოგ თანხის რაოდენობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ის უთუოდ. ახდენდა ერთგვარ ეფექტს. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა ჩვენი მხრივ, რომ ეს თანხები, ეს ვარაუდი ციფრები, რეალურ ფაქტად ჩაგვეთვალა.

ცხოვრებამ ამ ფართო გეგმებში ბევრგან შეიტანა თავისი შესწორებები. ზოგჯერ, შესაძლებელია, სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა და დასახული მომჭირნეობის გეგმა ას პროცენტზე მეტად გამართლდა.

ამასთანავე ჩვენ ისიც ვიცით, რომ დასაშვებია ისეთი შესაძლებლობა, როცა ესა თუ ის ცნობები მომჭირნეობის ჩატარების შესახებ ქვეყნდებოდა მხოლოდ მოვალეობის მოსახდელათ, საერთო სულისკვეთებისათვის მხარის დასაჭერათ, არსებითად კი, მომჭირნეობის მხრივ ასეთ დაწესებულება - წარმოებებში ბევრი არაფერი გაკეთებულა.

ვიმეორებთ, ყველა ეს შემთხვევები შესაძლებელია და ასეთაც ხდება ბევრგან. ამიტომ ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ ზეპირი დაპირებებით, მომჭირნეობის ფორმალურად ჩატარებით. ჩვენ ცოდვათ არ ჩაგვეთვლება, თუ გამოქვეყნებულ ციფრებს და ცნობებს დასახულ სამომჭირნეო მუშაობის ჩატარების შესახებ უკვე რეალურ სინამდვილეთ არ მივიჩნევთ.

ეს იქნებოდა მომჭირნეობის კამპანიის ბიუროკრატიული დამახინჯება და ამ მნიშვნელოვანი საკითხის მიჩქმალვა-მიფუჩეჩება. ამიტომ ბუნებრივათ ისმება ჩვენს წინაშე კითხვა: გაამართლეს თუ არა დაწესებულება - წარმოებებმა გაცემული „თამასუქები" მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ.

ამის შესახებ უნდა სწერონ თვით ამ კამპანიის უშუალოთ გამტარებლებმა, ამასვე უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება ჩვენმა მუშა და გლეხ კორესპონდენტებმა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ ბრძოლა მომჭირნეობისათვის და ამ ბრძოლის ჩვენს გაზეთებში გაშუქება სალი და სწორი გზით მიმდინარეობს.

ვ. ქვენობნელი.

ნუ დაბღუჯავთ ამქონებას

მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად თითქმის ყველა დაწესებულებებმა შეადგინეს მებრძოლი კომისიები, რომლებსაც დაევალა ყურადღება მიაქციოს იმ დაუდევრობას და უთავბოლო „საქმიანობას", რომელიც დღემდის ზოგიერთ ჩვენ დაწესებულებებში იყო გამეფებული, მაგრამ, საუბედუროთ, ზოგიერთი კომისიები არ აკეთებენ იმას, რაც მათ ფუნქციებში შედის.

შეიძლება, ისინი ასეთებს ვერა ხედავენ, ან თავს არ იწუხებენ ამისათვის. ასე თუ ისე ეს გარემოება მაინც დიდი ზარალის მომტანია ისედაც სუსტ და ახლად აღმშენებლობის გზაზე დამდგარ სახალხო მეურნეობისათვის.

მაგალითისათვის მინდა მოვიყვანო ერთი ფაქტი. ამ ორი წლის წინეთ 20 საჟენზე მეტი ქვა მოზიდეს (ლოტკის მთაზე) ტულის ქუჩიდან ხიდის გასაკეთებლად, რაზედაც დაიხარჯა დიდი თანხა, მაგრამ ეს ქვა დღესაც იქ არის და ხიდის გაკეთებაზე არავინ ფიქრობს და როგორც სჩანს, არც არავინ იფიქრებს ახლო მომავალში.

ეს ქვა არის მოშალო ქვა და, თავისთავად ცხადია, რომ ამდენს ხანს წვიმებში და სიცხეებში გამოვლილი მას ექნება ზიანი 50 პროცენტისა. და თუ დარჩა ზამთარშიც მაშინ ამ რამოდენიმე საჟენი ქვისა არ დარჩება არც ერთი საჟენიც— საქმისთვის გამოსადეგი ქვა.

საჭიროა იმ დაწესებულების მომჭირნეობის კომისიამ, რომელსაც ეს ქვა ეკუთვნის მიიღოს ზომები და გადაარჩინოს სახალხო ქონება განადგურებიდან.

მუშა ხიონელი.

გაკეთების მაგიერ ანგრევენ

(ს. ქვედა—აკეთი, გურია)

სოფ. ქვედა აკეთის მცხოვრებნი აწარმოებენ კრამიტისა და ქურჯლის დამუშავებას. ეს კარგია, რა თქმა უნდა, მაგრამ ზოგიერთები ისე გატაცებული არიან ამ საქმით. რომ მხოლოდ საჭირო საკრამიტე მიწა იშოვონ და სხვას არას დაგიდევენ, თუ გინდ მის მეზობელს სახლი ზედ გამოუშლიან და სრულიად დაანგრევენ. ასევე ულმობლად ექცევიან ზოგიერთი აქაური მცხოვრებნი სასოფლო გზებს.

მაგალითად „მიწის სათხარა"-სთან გადის საურმე გზა, რომლითაც ჩვენი სოფელი უერთდება სხვა სოფლებს, 7 წლიან შრომის სკოლას და სხვა სწორედ ამ გზაზედ ზოგიერთი ჩვენი სოფლის მცხოვრებნი სთხრიან ორმოებს და იღებენ საკრამიტე მიწას, რაც შეუძლებელს ხდის ამ გზაზედ გავლას. არამც თუ ურმით, ფეხითაც კი ვეღარ გაივლის აქ კაცი.

ასეთივე ხდება სხვა ადგილებზედაც. რაც დაუშვებლად და მიუტევებლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა ადგილობრივმა აღმასკომმა, თავის სათემო საგზაო სექციასთან ერთად მეტი ყურადღება მიაქციოს გზების ასეთ განადგურებას და დამნაშავეები შესაფერად დასაჯოს.

ჭაშნიკი.

კოოპერაცია

თელავის მაზრის სამომხმარებლო კოოპერატივები

თელავის მაზრაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სულ 12 სამომხმარებლო კოოპერატივი არსებობდა. მაზრისთვის კოოპერატივების ეს რიცხვი დამაკმაყოფილებელი არ არის და ამით არის გამოწვეული ზოგიერთი სოფლების მოთხოვნილება კოოპერატივების განყოფილებათა გახსნის შესახებ, მაგრამ განყოფილებათა გახსნის საშუალებას არ იძლევა კოოპერატივების ფინანსიური მდგომარეობა.

ფინანსიური მხრივ თელავის მაზრის კოოპერატივები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: 1) ფინანსიურად ღონიერი ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი 6 უდრის;2) ფინანსიურად სუსტი კოოპერატივები, რაოდენობით ხუთი და 3) შედის შრომის კოოპერატივი, რომელიც საგრძნობლად დაშორებულია მაზრის ეკონომ. ცენტრს და მისი დაკავშირება, რომელიმე კოოპერატივთან შეუძლებელია.

თელავის მაზრის კოოპერაციაში წევრთა და საპაიო თანხის ზრდა ნელის ტემპით მიმდინარეობს; იგი შეფარდებული არ არის კოოპერატივების სამეურნეო ზრდასთან, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ კოოპერატივებში გლეხობისათვის საჭირო საქონლის ნაკლებობის გამო მათ ნაკლებად იწერება მასში.

ციფრობრივათ წევრების და საპაიო თანხების მოძრაობა ასეთს სურათს იძლევა პირველი მაისისათვის: ყველა ამ კოოპერატივების სამომხმარებლო რაიონებში სცხოვრობს—23.164 კომლი. კოოპერატივებში ჩაწერილია—8.083, მათ მიერ შეტანილი საპაიო თანხა უდრის—20.785 მან. 36 კ., ე. ი. თითო წევრზე მოდის საშუალო 2 მანეთი 51 კაპეიკი.

საბინაო კოოპერაცია

ახალი კოოპერატიული სახლების გეგმები

საქართველოს საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტმა დაადგინა სამშენებლო ფონდიდან სესხი არ მიეცეს იმ საბინაო ამხანაგობებს, რომლებიც სახლების აგებას კომიტეტის მიერ დაუმტკიცებელი გეგმებით დაიწყებენ.

კომიტეტში წარდგენილ გეგმებს განიხილავს საქ. სახ. კომ. საბჭოს საარქიტექტო-სამხატვრო საბჭო, ვიდრე დამხმარე კომიტეტი არ მოაწყობს თავის საკუთარ საარქიტექტურო აპარატს.

კრედიტების გაცემის გეგმა

საქართველოს საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტის ცნობებით საბინაო კოოპერატიული მშენებლობის ფონდში 1926 წელს უნდა შევიდეს 568 ათასი მანეთი. ამ თანხიდან 200 ათასი მანეთი ფონდში უნდა შეიტანოს ცენტრ. კომუნალურმა ბანკმა. თბილისის ადგილობრივი ფონდიდან უნდა შევიდეს—168 ათასი მანეთი... 60 ათასი მანეთი—რესპუბლიკანური ფონდიდან, და 140.000 მანეთი წარმოებათა ფონდიდან.

ზემოხსენებული თანხიდან განზრახულია თბილისის საბინაო კოოპერატ. საბინაო მშენებლობას მიეცეს: ტროცკის სახელობის საბინაო ამხანაგობას —189.000 მანეთი, მიხა ცხაკაიას სახელობის ამხანაგობას—129.000 მან., ამხანაგობა „ვაკე"-ს—54 ათასი მანეთი. ქ. მარქსის სახელობის ამხანაგობას—43.200 მანეთი, ამხ. „მეტალისტებს"-ს—43.200 მან.

რესპუბლიკანური საამშენებლო ფონდიდან განზრახულია მიეცეს ხაშურის და ჭიათურის ამხანაგობებს 15 ათასი მანეთი თვითეულს, ქუთაისის ამხანაგობას—10 ათასი მანეთი, სამტრედიის, სენაკის, გორის და ზუგდიდის ამხანაგობებს 5000 მანეთი თვითეულს.

პროფკავშირებში

კულტმუშაობა ცენტრალურ გამსახლში

მორალურად და კულტურულად პატიმრის აღზრდა-გასწორება სარჩულად უდევს მთელ საქმიანობას. როგორც ყველგან, აქაც კულტურულ აღზრდას ექცევა უმთავრესი ყურადღება და ამასთანავე აქ არსებობს სახელოსნოები, სადაც პატიმრებს ასწავლიან ამა თუ იმ ხელობას.

გამსახლში არსებობენ სამქროები: საპარკეტო, სადაც ამზადებენ იატაკების პარკეტებს (ასეთი სახელოსნო მთელ ამიერ-კავკასიაში ერთად-ერთია), სართქე, საჯაგრე, შინა-მრეწველობის და სადურგლო. უმთავრესად ამ წარმოებებში აბამენ გლეხობას, რომლებიც განთავისუფლებისას რაიმე ხელოსნობით დამცოდინარებულნი ბრუნდებიან სახლში. წარმოებებში აბამენ აგრეთვე ქურდ-რეციდივისტებსაც და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დადებითი შედეგები თვალსაჩინოა. მრავალმა ასეთმა პირმა უარჰყო მავნებელი ზნე და თავისუფლებაში მიჰყო ხელი ნაყოფიერ მუშაობას.

ამჟამად გამსახლში პატიმართა რაოდენობა 700 კაცს აღწევს და მათგან 300-დე წარმოებაში არიან ჩაბმული.

ამა თუ იმ საგნების დამზადება და გასაღება სახელოსნოებში სწარმოებს დაკვეთების მიხედვით, რომელსაც ღებულობს სახელოსნოების გამგე ამხ. ვაშაკიძე და ანაწილებს სამქროებზე.

წარმოებაში ჩაბმულ პატიმრებს ეძლევათ სათანადო ხელფასი, რომლიდანაც 40 პროცენტს აძლევენ ხელზე და 25 პროცენტი კი ირიცხება სპეციალურ ფონდში, რომელსაც ურიგებენ განთავისუფლების შემდეგ. ასეთი პატიმრები მრავალი უპირატესობით სარგებლობენ: სამი დღე პატიმრობისა ეთვლებათ—ორად, აქვთ პირადი პაემანის უფლება და სხვა. საერთოდ გამსახლში ჩატარებულია წარმოებაში სავალდებულო მუშაობის პრინციპი.

უმთავრესი ყურადღება ექცევა გამსახლში კულტმუშაობას, რომელსაც ხელმძღვანელობს სწავლა-აღზრდის გამგე ამხ. ხ. ჟუმბურიძე. მთავარი მიზანი ამ მუშაობისა მდგომარეობს პატიმართა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში. წერა-კითხვის ცოდნა ყველასათვის სავალდებულოა და არის მრავალი მაგალითები, როდესაც სრულიად უვიცი პირი გამსახლიდან დამცოდინარებული წასულა.

გამსწორებელ სახლს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც ეხლა 9.000-დე წიგნი მოიპოება და მითი სარგებლობენ პატიმრები. წიგნები უმთავრესად შეწირულია. მოსწავლე პერიოდული გამოცემები და გაზეთები ყველა ენებზე, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრის და მითი სარგებლობენ პატიმრები ბიბლიოთეკაში. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლაში მეცადინეობის დროს ყველა პატიმრები რაიმე სამუშაოდან თავისუფლდებიან.

ფართოდაა დაყენებული საკლუბო მუშაობა. განსაკუთრებით უკეთესადაა დაყენებული ამ დარგში წარმოდგენების საქმე, წარმოდგენები იმართება თვეში—ექვსჯერ და კინო—ოთხჯერ. ამ შაბათს მართავენ საღამოს მეტყველთა კლუბში.

გამსახლთან არსებობენ წრეები: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, პოლიტ-უცოდინარობის ლიკვიდაციის, უცხო ენების შესასწავლი, ფიზიკური კულტურის, საჭადრაკო და სხვა.

ახლო წარსულში შეკეთებულ იქნა თეატრის დარბაზი და იგი ეხლა 340-დე კაცს იტევს.

კულტფონდი იქმნება ბოსტნის ნაწარმოების გასაღებიდან. გამსახლს გაშენებული აქვს იგი და იქ მუშაობენ მეურნე გლეხები. იქიდან მიღებულ პროდუქტებს ერთის მხრივ იყენებენ ადგილობრივ საჭიროებისათვის და მეორეს მხრივ ყიდიან და ამით აძლიერებენ კულტურულ მუშაობას.

გამსახლში ჩატარებულია კლასიფიკაცია პატიმრების: შენობის ზემო სართულში მოთავსებული არიან გამოსაცდელი პირები, და მე-4-ში უკვე გამოსწორებული სამაგალითო პატიმრები.

ასეთ პატიმრებს ყოველთვის აწუხებდენ აქამდე პროფესიონალური რეციდივისტები და გაუსწორებელი ელემენტები, ადგილი ჰქონდა მათ მხრივ ქურდობას და პირადულ შეურაცყოფას, მაგრამ ესეც დაძლეულია, ეხლა ისინი ცალკე მოთავსებული არიან და ქურდობაც მოსპობილია სრულიად.

სახლთან არსებობს კოლეგია, რომელიც ადევნებს თვალ-ყურს პატიმრების გამოსწორებას და თუ პატიმარი ნდობით იქურვება შუამდგომლობს მის განთავისუფლებისათვის და ანიჭებს შეღავათების უფლებას. კოლეგია დიდის სამსახურით სარგებლობს პატიმრებში.

თავისი ჰუმანიურობით და საქმისადმი სიყვარულით ყურადღება იქცევა გამსახლის უფროსი ამხ. მიხ. დანელია. მის მიერ აღებული მუშაობის გეზი უეჭველად სწორია და ნაყოფიერ მოაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ მას არ ჰყოფნის შტატი აღმზრდელებისა და ზედამხედველების თორემ მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

სხვათა შორის ამხ. დანელიას ყურადღება მინდა მივაქციო ზედამხედველებზე და კერძოდ მთავარ მეკარეზე, რომელთა ცივი მოპყრობა და უდიერი ქცევა თავისუფლად, მასთან მოქალაქეებთადმი საბჭოთა ხელისუფლების დროს თვალს და ყურს ეხამება.

ტ—ა.

საქ. კომპარტ. (ბ) ა.-კ. საოლქო-საკონტროლო კომისია აუწყებს საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო-საკონტროლო კომისიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომ 4 აგვისტოს გულის გასკდომით უეცრად გარდაიცვალა საქ. კომ პარტ. (ბ) ა.-კ. საოლქო-საკონტროლო კომისიის წევრი.

ამხ. კასუმ სამედოვი

მუშათა ცხოვრება

წარმოება ავსწიეთ 25 პროცენტით

სრულიად საქართველოს ტყავ-ტრესტის ქარხანა არის დაყოფილი სამ უმთავრეს განყოფილებათ: ქარხანა № 1-ლი, დაბახანა და ქარხანა № 8. ამას გარდა ეს მთავარი ქარხნები თავის მხრივ დაყოფილია სხვა და სხვა განყოფილებებად, როგორიცაა მაგალითად:

ფეხსაცმელების, ნედლი ტყავის დასამზადებელი; ტყავების საშრობი, ტყავების სალებავი, ხაპირების დასამზადებელი „ხრომის და შევროს“ და მსუბუქი ტყავების, პადოშის, მუხის ქერქის და რკოს სასარშავი და ქეჩის განყოფილება.

ამ ქარხანას დიდი მნიშვნელობა აქვს და მას ბაზარიც დიდი აქვს. წარსულში წარმოება ვერ იყო დაყენებული კარგად, რადგანაც მას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობებოდა წინ. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ქარხანა გაჯანსაღდა და პროდუქციის ხარისხიც გაუმჯობესდა. ადგილობრივმა მომუშავეებმა გადადგეს დიდი პრაქტიკული ნაბიჯები: გამოცოცხლდა ქარხკომის საწარმოო კომისიის და შრომის დაცვის მუშაობა. განმტკიცებულ იქნა შრომის დისციპლინა, ყველაფერმა ამან ახალ პერიოდში გააჯანსაღა ქარხნის წარმოებაც, რაც გამოიხატება დამზადებული პროდუქციის რაოდენობის გადიდებაში და მისი ხარისხის გაუმჯობესებებში:

ქარხანა № 1-ს სამი თვის განმავლობაში (მაისი, ივნისი და ივლისში) დაუმზადებია: **9682 ცალი მსხვილი ტყავი, 7.765—წვრილი ტყავი—ღირებული (ფულად) 290.290 მანეთისა.**

№ 2—ქარხანას (დაბახანს) ამავე ხნის განმავლობაში **დაუმზადებია 649 ცალი მსხვილი ტყავი,** ღირებული (ფულად) **38.005 მანეთისა.**

№ 8 ქარხანას —4.182 მსხვილი ტყავი, ღირებული (ფულდ) **106.453 მანეთისა.**

ფეხსაცმელის სახელოსნოს დაუმზადებია **4.834 მძიმე** ფეხსაცმელები; და მსუბუქი **82.287** წყვილი, ღირებული 210.914 მან.

ქეჩის ქარხანას დაუმზადებია1.921 ფუთი ქეჩა—ღირებული **148.358 მანეთისა.**

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი დამზადებული საქონელი **25 პროცენტით** სჭარბობს წარსულ დროის დამზადებულ საქონლის რაოდენობას და ხარისხითაც მათზე ბევრად უმჯობესია.

მუშა ვარლენ.

—:—

ტექნიკური გაუმჯობესებანი რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში

რკინის გზის მთავარი სახელოსნოები შენობების მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. არის საამქროები, სადაც 100 კაცის მაგივრად 150- მდის მუშაობს, ზოგიერთები კი მუშაობენ ღია ცის ქვეშ, როგორც ზაფხულის სიცხიან დღეებში, ისე ზამთრის ცივ დღეებშიც.

ხსენებული შენობის კრიზისის თავის დაღწევის მიზნით რკინის გზამ დაიწყო მთავარ სახელოსნოებში დამატებითი შენობების აგება, სადაც რამდენიმე მუშა-ხელოსანს შეეძლება თავისუფლად იმუშაოს თავისუფალ შენობაში. ერთი შენობა, რომელიც ეკუთვნის ავტო-გენით შემდუღებელ ბრიგადებს თითქმის დამთავრებულია. სამიც ახლო ხანში იქნება ერთი სამჭედლო საამქროს გვერდში მჭედლებისათვის, მეორე სახარატოს საამქროს მჭედლებისათვის და მესამე კი სრულიად ახალი შენობა, სადაც შეუძლია იმუშაოს 200 კაცმა სრულიად თავისუფლად.

ერთი სიტყვით, მთავარ სახელოსნოებს ამ მოკლე ხანში შეემატება ოთხი შენობა და ამით გაუმჯობესდება რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მდგომარეობა შენობების მხრივ.

მუშა სიონელი.

მცხეთის დასასვენებელ სახლებში

მცხეთის სადგურთან მშვენიერ ტყით—დაბურულ ფერდობზე გაშენებულია მუშათა დასასვენებელი სახლები:

ეს ადგილი როგორც მდებარეობით ლამაზია, ისე კარგია სხვა პირობებითაც. გვაქვს წყალი და ჰაერი მშვენიერი.

დილაობით დასასვენებლად მოსულთ ეძლევათ რძე, ჩაი, შაქარი, ყველი და ორ-ორი კვერცხი უფასოდ; სადილი ორი კერძით. საღამოს იგივეა, რაც დილით და სხვა.

ყოველი დამსვენებული ბედნიერად სთვლის თავის-თავს, რომ იგი მოხვდა ამ დასასვენებელ სახლებში.

მუშა-მოსამსახურეთათვის დასასვენებელი სახლები უდიდესი მონაპოვარია ოქტომბრის დიდი რევოლიუციის და ყველაზე უფრო უსაჭიროესი საქმეა.

ჭამა-სმას გარდა აქ იმართება წარმოდგენები, ეწყობა კინო.

დასასვენებელ სახლებს ჰყავს სასულე ორკესტრი. არის აქ სამკითხველო, სადაც საკმაოდ არის ქართულ-რუსული წიგნები, რომლებითაც დამსვენებლები სარგებლობენ დაუბრკოლებლად.

მუშკორი ა. გვ—ძე.

—:—

თბილისის სახალხო სადგურში

აღნიშნულ სადგურში „სანასილჩიკო“ და საბარგო განყოფილებებში საქმე არ იყო თავის სიმაღლეზე დაყენებული, რის გამო ბარგის გაგზავნა-გადაგზავნა ძლიერ ფერხდებოდა. თვით ადგილობრივი მუშები მგზავრი მოქალაქენი და ადმინისტრაციაც ძალზე შეწუხებული იყვნენ ამ გარემოებით. აქ დგებოდა თითქმის ყოველ დღე ოქმები და სხვა.

ამის გამო ადგილობრივი მუშების მოთხოვნით (170 კაცამდეა) სატრ.-კავშირის ხელმძღვანელობით და „ზაკპოგრუსთან“ შეთანხმებით—1 აგვისტოდან სახალხო სადგურის საქმე გადავიდა ფუთობის ტრიალზე. მუშებმა აირჩიეს სამი კაცისაგან შემდგარი გამგეობა და ორი—კანდიდატი. გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას. მუშობამ ამ დღიდანვე მიიღო სასურველი სახე და დადებითი შედეგებიც მოგვცა: ჩამოდგება თუ არა მატარებელი, გადმოსაცალია, თუ გადასაგზავნი ბარგი, იქავე წუთში განურჩევლად ჯგუფებისა მუშები იქავე გაჩნდებიან და ერთი-მეორეს შველიან. ამით რა თქმა უნდა მგზავრებიც კმაყოფილი არიან და ბარგის გაგზავნა-გადმოტვირთვაც სისწრაფით ხდება. მუშები მორიგეობის გარეშეც ეხმარებიან ერთი-მეორეს. საქმეც ლამაზად მიმდინარეობს.

უსურვოთ მხანაგებს, აგრე შეთანხმებული მხნე შრომით ნდობა დაიმსახურებიხოთ, როგორც ურთი-ერთ შორის ისე ყველა მოქალაქე მგზავრების თვალშიაც.

მუშა ხ. ხიდისთაველი.

—:—

საჭიროა სამუშაო დროის მთლიანად და მიზანშეწონილად გამოყენება

(რკინის გზის სახელოსნოების მუშათა ცხოვრებიდან)

8 საათის განმავლობაში მუშა სრულიად დატვირთული უნდა იქნეს სამუშაოთი. იგივე უნდა მოხდეს მუდმივ კონტორის პერსონალზეც.

ისინი კი, რომლებიც ძლიერ დატვირთულნი არიან უნდა განიტვირთონ და რომლებიც არ არიან საკმაოდ დატვირთულნი, უნდა დაიტვირთონ სამუშაოთი აი რას მოითხოვს ეკონომიის რეჟიმი.

რკ.-გზის მთავარ სახელოსნოებში კი შემჩნეულია, რომ მუშ-ხელოსნები ყოველ ორშაბათობით 300—400 კაცამდე არ ცხადდებიან სამუშაოდ, რაც ყოვლად დაუშვებელია, მით უმეტეს ისეთ ადგილზე, სადაც ერთი მუშა უმეოროთ ვერ გამოდგება. მაგალითად—სამჭედლოში მჭედელს მეუროვე თუ არ ჰყავს, ის ვერ იმუშავებს მარტო. ისე რომ ერთი კაცის მოუსვლელობისთვის, ცდება მეორეც. ასეთი შემთხვევები უმეტესად გვაქვს სამჭედლოში და საზოგადოდ შავ მუშებში.

ასეთი მოქმედებით ისინი აფერხებენ წარმოებას და აზარალებენ ტრანსპორტს.

ამგვარ ბოროტებას სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

თითოეულ საშუალოდ შესაკეთებელ ორთქლმავალზე, ჩვენი პირობების ანგარიშით ცენტრის მიერ დაწესებული გვაქვს 17.600 საათი ჩვენ კი ვანდომებთ 19.000 საათს. ე. ი. 1.400 საათს მეტს

თითოეულ საშუალოდ შესაკეთებელ როხოდაზე გვაქვს დაწესებული 200 საათი ჩვენ ვანდომებთ 400 საათს მეტს, რაც აიხსნება სამუშაო დროის უნაყოფოდ დაკარგვით.

ეს ზედმეტი 1.600 საათი, რომელსაც ჩვენ ვფლანგავთ ამჟამად უნაყოფოდ, შეგვიძლია მთლიანად გამოვიყენოთ და თვეში 5 ორთქლმავლის გამოშვების მაგივრად გამოუშვათ 6 ორთქლმავალი. ამით ჩვენ ავწევთ წარმოებას და ვასარგებლებთ ჩვენ თავს და ტრანსპორტს.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მუშების სიმულიაციას, რომელიც საზიანოდ მოქმედობს წარმოებაზე.

მრავალი მუშა-მოსამსახურე ცდილობს როგორმე ხელოვნურად მიიღოს შვებულება ექიმიდან. ერთი მოქმედება ქმნის ზედმეტ საქმეს კონტორაში ბიულეტენების დაგროვების სახით და მძიმე ტვირთად აწვება დამზღვევ სალაროს.

ასეთი მოქმედებები ძირში უნდა იქნეს აღმოფხვრილი სახელოსნოებში.

მუშკორი ნესტორ ჯაფახაძე.

ამ უწესობას ბოლო უნდა მოეღოს

ექვს თვეზე მეტია, რაც ამ სტრიქონების დამწერი თითქმის ყოველ დღე დადის პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოში სამეცადინოდ და ამ ხნის განმავლობაში იგი მოუდგომელი მოწამეა იმ ტანჯვა-მოუსვენრობისა, რომელსაც ამ დაწესებულების მოსამსახურენი განიცდიან. ან და როგორ შესძლონ ამ მუშაკებმა თუ გინდ წუთითაც მოსვენებით დაჯდომა, როცა იშვიათია ისეთი დღე, რომ, რომელიმე იქ მოსიარულემ ან წიგნები არ მოიპაროს, ან ჟურნალები და ან კი წიგნებიდან და ჟურნალებიდან საუკეთესო ფურცლები და სურათები არ ამოგლიჯოს!! აბა რაც შეეხება წიგნებსა და ჟურნალებში „ბატის ფეხებით“ ყოვლად უსაფუძვლო ჯღაბნას „შენიშვნების“ სახით—ამას ხომ საზღვარი არა აქვს და არა!

ამას შემდეგი მოვლენაც ემატება: აქ შემოდიან ისეთი ბავშვებიც, რომელნიც მოითხოვენ ძვირფას გამოცემებს, წიგნებსა და ჟურნალებს და ფურცლავენ მათ, მხოლოდ სურათების დასათვალიერებლად, რასაკვირველია, ამით წიგნები იცვითება!..

საჭიროა ასეთ მოვლენის ამოსაფხვრელათ შესაფერ ზომებს მივმართოთ.

მკითხველი.

მუშათა ქრონიკა

1-ლი ტყავ ტრესტის ქარხანაში

— **ტყავის საშრობის მოწყობა.** ტყავ-ტრესტის საწარმოო კომისიამ თხოვა ადმინისტრაციას ტყავ-საშრობ განყოფილებაში მოაწყოს სპეციალური გასაშრობი ტყავისა.

— **ახალი მანქანის დადგმა.** იმავე ქარხნის საწარმოო კომისიამ დაადგინა: ელექტრო-სადგ. ძველი მანქანის ალაგას დაიდგას ახალი „დიზელის“ სისტემის მანქანა.

— **ტყავ-ტრესტის ქარხნის საწარმოო კომისიამ** დაადგინა მიღებული იქნეს ზომები, რათა მასალების დაცლის შემდეგ არ ფუჭდებოდეს ტომრები, რადგან ასეთ მოვლენებს უკვე ჰქონდა ადგილი.

— **მუხის რკოს მოვლა.** ვინაიდან მუხის რკოს დიდი მნიშვნელობა აქვს ტყავის გამოყვანაში, საწარმოო კომისიამ მიიღო ზომები, რათა მუხის რკო არ გაფუჭდეს მოუვლელობით.

— **ტყავების გასინჯვა.** იმავე ქარხნის საწარმოო კომისიამ დაადგინა: ყველა ნედლი ტყავები გასინჯული იქნეს და ისე დაურიგდეს განყოფილებებს.

— **მუშაობის ახალი გეგმა.** ტყავ-ტრესტის საწარმოო კომისიამ დაადგინა შემუშავებულ იქნეს მუშაობის ახალი გეგმა, რომელიც დააინტერესებს ხელოსნებს შრომაში.

— **ტყავების დასაწყობის მოწყობა.** რადგანაც ძირს დაყრილი ტყავები ფუჭდება, საწარმოო კომისიამ სთხოვა ადმინისტრაციას მოაწყოს ტყავების სპეციალური დასაწყობი.

— **პროდუქციის ხარისხის დაცვა.** იმავე ქარხნის საწარმოო კომისიამ მიიღო ზომები მიექცეს ყურადღება ნაჭრობით მუშაობას, რათა არ გამოვიდეს ცუდი პროდუქცია.

თბილისის ტრამვაის სახელოსნოში

— **აღმასკომმა** თბილისის ტრამვაის მუშათა კლუბს დაუთმო ადგილი ბაღის გასაშენებლად.

— **სამკითხველოს გადატანა.** ახლო ხანში თბილისის ტრამვაის მუშათა სამკითხველო გადავა ახალ ბინაზე, სადაც ექნება გაფართოებული დარბაზი.

— **ფიზკულტურის ცოდნის შესაძენად.** მოსკოვში ფიზკულტურის მუშაობის ცოდნის შესაძენად კულტ. განყოფილების ხარჯზე, ტრამვაის სახელოსნოდან გაიგზავნა ამხ. გეგეჭკორი.

— **დარჩება იგივე რეჟისორი.** პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ დაადგინა, რათა საზამთრო სეზონში დარჩეს მუშაობის გასაგრძობად რეჟისორი სოსო მებურიშვილი.

— **კვირაში სამჯერ.** რკინის გზის სანგანათლების აუდიტორიასთან მოწყობილია კინო-ეკრანი, სადაც კვირაში სამჯერ უფასოდ უჩვენებენ კინო-სურათებს.

— **რეპერტუარის შემუშავება.** პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულმა ქართულმა დრამწრემ მომავალი სეზონისათვის შეიმუშავა რეპერტუარი.

— **თითო თანრიგის მომატება.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა საჭიროთ სცნო მოუმატოს თითო თანრიგი სადგურ ლიხის მეისრეებს, ვინაიდან თავისუფალ მოვალეობასთან ერთად სამანევრო სამუშაოებსაც ასრულებენ.

— **მკითხავის გასამართლება.** პარასკევს, 16 ივლისს, სად. საგარეჯოს კლუბში მოხდა მკითხავის ლიტერატურული გასამართლება.

ქრონიკა

მეფუტკრეობის კურსები

დამთავრდა მეცადინეობა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ მოწყობილ მეფუტკრეობის სამთვიურ კურსებზე. გამოცდა ჩააბარა 33 პირმა.

კურს-დამთავრებულთ მიეცემათ მოწმობები მეფუტკრეობის ტეხნიკის წოდების მინიჭების შესახებ, რაც უფლებას მისცემს მათ დაიკავონ თანამდებობა მეფუტკრეობის ინსტრუქტორის თანაშემწისა.

თბ. აღმასკომში

— **მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების გადაცემა.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, გადაეცეს საბინაო ამხანაგობათა კოოპერატივს, ხელშეკრულების საფუძველზე, ზოგიერთი მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები.

— **ტეხნიკური საბჭო.** აღმასკომმა დაამტკიცა კომუნალურ მეურნეობის ტეხნიკურ საბჭოს შემადგენლობა.

— **წისქვილის შესაკეთებლად.** პრეზიდიუმმა ს. ერწოში წისქვილის შეკეთებაზე გაწეულ ხარჯების დასაფარავად გადასდო 1.000 მანეთი.

— **წითელი თეატრისათვის.** წითელი თეატრისათვის პროლეტ-კულტის დეკორაცია-ტანსაცმელის შესაძენად გადადებულია 1.000 მანეთი.

— **მესამე სართულის დაშენება.** დაიწყო მუშაობა აღმასკომის შენობაზე (განოვის ქუჩის მხრით) მესამე სართულის დასაშენებლად.

სხვადასხვა

— **სასწავლო ნივთები მაზრებისათვის.** პოლიტგანათლების მთავარმართველობამ უკვე დააგზავნა სკოლებისათვის სხვადასხვა სასწავლო ნივთები, რომლებიც ამ მოკლე ხანში გადაეგზავნება მაზრებში.

— **ხე-ტყის სახერხი ქარხანა.** საქ. უმაღლესი მეურნეობის საბჭო შეუდგა ხე-ტყის სახერხი ქარხნის აშენებას ს. კურზუში და ს. სალხინოში.

ხელოვნების ქრონიკა

— **სახვითი ხელოვნების ასოციაციაში.** კვირას, 8 აგვისტოს, დილის 12 საათზე საქ. სამხატვრო აკადემიის დარბაზში შესდგება პროლეტარულ სახვით ხელოვნების ასოციაციის გამგეობის სხდომა.

შემთხვევები

კატასტროფა ონის გზაზე

ზაკავტოპრომტორგის ავტომობილი 6 აგვისტოს დილით ონიდან ქუთაისისაკენ წავიდა 8 მგზავრით, ქუთაისიდან 22 ვერსის მანძილზე დაეჯახა ქვას და გადავარდა მდ. რიონში. ავტომანქანა დაიმსხვრა. ერთი მგზავრთაგანი—ამბორი ამაშუკელი სასიკვდილოდ დაშავდა. სამი მგზავრი—ნერსეს პოლოსოვი, სოფიო გარბუნოვისა და ნიკოლოზ პოპოვი მძიმედ დაშავდენ. დანარჩენი მგზავრები—მიხეილ გაბრიჩიძე, თამარა გაბრიჩიძე, ნინა დვალიძე, ბესარიონ კიკაჩეიშვილი და შოფერი კობრეიძე მსუბუქად დაშავდენ.

— **ქურდობა ჰოსპიტალში.** 5 აგვისტოს, სამხედრო ჰოსპიტალში სამორიგეო ოთახიდან მ. ვიშნევეცკაიას, მისი ავადმყოფთან ყოფნის დროს მოჰპარეს ოქროს გულსაბნევი, ღირებული 100 მან.

— **ჯიბგირობა.** 5 აგვისტოს, მუდმივ ჩიხში მდებარე ბაღში ვ. საბეკაშვილს ძილის დროს ჯიბიდან ამოაცალეს 350 მან.; ეჭვით დაპატიმრებულია თ. ჩოხელი.

— **400 მანეთის მოპარვა.** ს. ცარატაფაში ი. ბაბაევის სავაჭროდან, ვაჭრობის დროს ბოროტმოქმედთ მოხერხებულად გამოუტეხია დაზგის ფიცარი და წაუღია უჯრიდან 400 მან.

ბრძოლა მეძაობასთან

5 აგვისტოს თბილისის ვენეროლოგიურ დისპანსერთან შესდგა დისპანსერის სოციალური საბჭოს პლენარული სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა დისპანსერთან მეძაობასთან მებრძოლ საბჭოს დაარსების საკითხი. პლენუმმა საბჭოს დაარსება საჭიროთ სცნო. დამტკიცებულ იქნა ბიუროს მიერ შემუშავებული საბჭოს საქმიანობის გეგმა.

საბჭოში შევიდა 15 წარმომადგენელი სხვადასხვა პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ხოლო ბიუროში არჩეულ იქნა შვიდი კაცი.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა ღონისძიებების გატარებას აპირებს მეძაობასთან მებრძოლი საბჭო, ვენერიული დისპანსერის გამგემ ექ. ღულაძემ განაცხადა:

საბჭოს განზრახული აქვს მეძაობასთან ბრძოლის მიზნით მთელ რიგი ღონისძიებების შემუშავება და მათი გატარება ცხოვრებაში.

პროფილაქტიკის სფეროში საბჭოს მიზანს შეადგენს გამოკვლევითი, საგანმანათლებლო და სანიტარული მუშაობის წარმოება.

საბჭო, სათანადო დაწესებულებათა საშუალებით აწარმოებს მეძაობის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდას და მოსახლეობის მშრომელ ნაწილში ჩაატარებს მუშაობას სქესობრივი ჰიგიენის შესახებ ცნობების გასავრცელებლად.

საბჭო ამასთანავე შეიმუშავებს ღონისძიებებს უმუშევარ ქალთა საწარმოო არტელებში ჩასაბმელად და მათ საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში მოსაწყობად, რათა გადიდებულ იქნეს მათი კვალიფიკაცია.

სერიოზული ყურადღება მიექცევა გამოკვლევით მუშაობას. ეს საქმე იწარმოებს როგორც თბილისში, ისე მაზრაში.

უნდა ითქვას, რომ მეძაობას დღევანდელ პირობებში ორგვარი სარჩული აქვს. ერთის მხრით იგი გამოწვეულია მატერიალურ ხელმოკლეობით და მეორეს მხრით არიან პროფესიონალი მეძავები.

უკანასკნელთა შორის ბრძოლა მეძაობასთან უფრომეტ სიძნელეს წარმოადგენს და მეტი ინერგიის დახარჯვას მოითხოვს. პირველთა შორის კი ბრძოლის წარმოება იმდენად ძნელი არ არის, რადგან ყოველი მათგანი ხელს აიღებს ამ ადამიანის პიროვნების დამამცირებელ ხელობაზე, თუ მას მიეცემა სამუშაო და საშუალება ცხოვრებისათვის.

ქალაქების გეგმები

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს სატეხნიკო—სამშენებლო კომიტეტმა მოსთხოვა რესპუბლიკის ყველა ქალაქების აღმასკომებს გამოგზავნონ კომიტეტში ქალაქების უკანასკნელი გეგმები.

ზოგიერთ ქალაქებში ამჟამად სწარმოებს ქალაქის გეგმის შედგენა. მაგალ. ხაშურში, ხონში, სამტრედიაში და სხ.

ქალაქთა გეგმები წარდგენილ უნდა იქნეს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებიდან საკავშირო საგეგმო კომისიაში საბჭოთა ქალაქების მეურნეობის და ცხოვრების შესასწავლათ.

რკინის გზებზე

ფოილოს ხიდის გახსნის გამო

კვირას, 8 ივლისს, დღის 12 საათზე მოხდება ახლად დამთავრებულ ფოილოს ხიდის საზეიმო გახსნა. გახსნაზე მოწვეულნი არიან მთავრობის წევრები, მთელ რიგ სახელმწიფო, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანოების წარმომადგენლები.

სატრანსპორტო საგანგებო კომისია

თანახმად ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილებისა, ა. კ. საგანგებო კომისიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოთ შეცვლის შესახებ ა. კ. რკ. გზების საგზაო-სატრანსპორტო კომისიაც იცვლება, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებათ.

შავი ზღვის რკინის გზაზე

შავი ზღვის რკინის გზაზე, ზუგდიდამდე დროებით მოძრაობის გახსნის შემდეგ, სწარმოებს მიწის სამუშაოები მუდმივი მოძრაობისათვის ლიანდაგის დასაგებად.

ზუგდიდს იქით სწარმოებს მუდმივ ხიდების აშენება მდ. ენგურზე და რუხის წყალზე. რუხის-წყლის ხიდის ბურჯები უკვე ამოყვანილია, ხოლო ინგურზე ამოყვანილია ნახევრად.

გარდა ამ ხიდებისა, გზის სამმართველო ემზადება კოდორის ხიდის აგებისათვის. ამჟამად სწარმოებს საჭირო მასალების დამზადება და შემდეგ შეუდგებიან ხიდის ასაგებ სამუშაოებს.

სასამართლო

ნ. გელაშვილის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ გრიგოლიას მონაწილეობით ქ. ლაგოდეხში გაარჩია ნიკ. გელაშვილის საქმე.

გელაშვილს ბრალდებოდა სისტემატიური თავდასხმა-ავაზაკობა.

1924 წ. 9 ოქტომბერს, გელაშვილმა სხვა ყაჩაღებთან ერთად მოახდინა თავდასხმა ჰიათურის გზაზე და გაძარცვა სახლში მიმავალი გლეხები.

1925 წ. ივლისში ბრალდებულმა თავის ძმასთან ერთად გაძარცვის მიზნით სასიკვდილოთ დასჭრა მოქ. ქერიავიშვილი.

გელაშვილმა გაძარცა აგრეთვე თავისივე მეზობლები და დიდძალი საქონელი წაართვა გლეხობას.

სასამართლოს კვლევა-ძიებით გელაშვილის მიერ გლეხების ოჯახების აწიოკებისა და გაძარცვის ფაქტი დადასტურდა.

სასამართლომ გელაშვილს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა—სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების კონფისკაციით.

საზოგადოებრივ-საჩვენებელი გასამართლება

(ყატაშვილის და თითილოკაშვილის საქმე)

12 აგვისტოს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით, სოფ. ჯუგაანში (სიღნაღის მაზრა) აწყობს ბრალდებულ ყატაშვილის და თითილოკაშვილის საზოგადოებრივ-საჩვენებელ გასამართლებას.

ყატაშვილს და თითილოკაშვილს ბრალდება 3—ის ქალის გაუპატიურება და დახრჩობა.

ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი დოღებულიძე, ბრალს სდებს პროკურორი გრიგოლია.

ალი შუქურ-ოღლის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ გრიგოლიას მონაწილეობით გაარჩია ალი შუქურ-ოღლის საქმე.

შუქურ-ოღლის ბრალდებოდა ალი-ყურბან-ოღლის მოკვლა.

1926 წ. 9 თებერვალს, როცა ბრალდებული ღამით სახლში იბრუნდა, გაიგო, რომ მისი სახლში არ ყოფნის დროს მისი ნათესავმა ალი ყურბან-ოღლიმ ძალადატანებით სქესობრივი კავშირი დაიჭირა მის ცოლთან. ამის გამო შუქურ-ოღლიმ ხანჯლით მოჰკლა ყურბან-ოღლი.

სასამართლოში ბრალდებულმა განაცხადა, რომ მან მკვლელობა ჩაიდინა ოჯახის შეურაცხყოფის ნიადაგზე.

მოწმეთა დაკითხვით და სასამართლოს კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ ალი შუქურ-ოღლის მკვლელობა ჩაუდენია სულიერი მღელვარების დროს.

სასამართლომ ალი შუქურ-ოღლი დამნაშავეთ სცნო თავდაცვის გადამეტებაში, რისთვისაც მიუსაჯა მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დახვრეტა თავდასხმისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. პაპავას თავმჯდომარეობით ბორჯომში გაარჩია მათე ფერაძის, შალვა ჯავახიძის, შალვა სამსონაძის, პავლე თოფურიანის და იპატე ფერაძის საქმე.

1925 წ. ოქტომბრის თვეში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირები თავს დაესხნენ ეფრემ ბლიაძის, დათა ფერაძის და დარბაიძის ოჯახებს და გაძარცვეს. არ გამოსულა დიდი ხანი, რომ ისინი დააპატიმრებულ იქნენ.

სასამართლოში ბრალდებულებმა არ სცნეს თავი დამნაშავეთ.

ბრალს სდებდა პროკურორი კუპრაშვილი, ბრალდებულებს იცავდნენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ი. ზარათაშვილი და სარქისოვი.

სასამართლომ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეები; დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულები სისტემატიურად ეწეოდენ გლეხების ოჯახების აწიოკებას და ძარცვას.

სასამართლოს სხდომა გაგრძელდა ორ დღეს. 5 აგვისტოს, 4 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც მათე და იპატე ფერაძეებს და შალვა ჯავახიძეს, როგორც გაძარცვის მიზნით შეიარაღებულ თავდასხმის მოწყობის ხელმძღვანელებს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, ხოლო პავლე თოფურიანს და შალვა სამსონაძეს აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღებისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

სამხედრო ტრიბუნალში

4 აგვის. სამხედრო ტრიბუნალში გაირჩა ალექსანდრე ტოლორდავას საქმე.

ტოლორდავას ბრალდებოდა 751 მან. და 72 კაპ. მითვისება და გაფლანგვა კავკასიის წითელდროშიან არმიის საჯარიმო გუნდის მოლარედ ყოფნის დროს.

ტრიბუნალის კვლევა-ძიებით ბრალდებულის მიერ 751 მან. მითვისების ფაქტი დადასტურდა.

ტრიბუნალმა ბრალდებულ ტოლორდავას მიუსაჯა 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

საფოსტო საქმე

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს შემოსავალი

ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველოს ვარაუდით 1926—27 წლისათვის მოსალოდნელია მისი წარმოებებიდან შემდეგი შემოსავალი: ფოსტიდან—3.298.290 მანეთი; ტელეგრაფიდან—1.456.650 მანეთი; რადიოდან—70.000 მან., სულ 6.942.770 მან.

პროფტეხნიკური განათლება

ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. საოლქო სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს 1926—27 წლისათვის სახალხო შეერთების მუშაკთა მოსამზადებელ სკოლების და კურსების შესანახად გადასდოს 50 ათასი მანეთი.

ფოსტის გადატანა ავტომობილზე

თანახმად ფოსტა-ტელეგრაფის კავშირ-გაბმულობის სამმართველოს და „ზაკავტომპრომტორგის“ შორის დადებულ ხელშეკრულებისა, ამიერ-კავკასიის მასშტაბით შემოღებულია ფოსტის გადატანა ავტომობილებზე.

სოფლის ფოსტალიონები

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მომუშავე სოფლის ფოსტალიონების რიცხვი მომავალ საბიუჯეტო წლისთვის გადიდებული იქნება 71-დე; ეს იძლევა საშუალებას საფოსტო საქმე მოწყობილი იქნას ამ.-კავკასიის 8 მაზრაში, რომლებშიც კავშირ-გაბმულობა მოწყობილი არ იყო.

საფოსტო რონოდები

ახალ საბიუჯეტო წლისათვის კავშირ-გაბმულობის ოლქი შეუდგება ახალ საფოსტო რონოდების აგების და ძველების შეკეთებას.

საფოსტო ოპერაციების გახშირება

ახალ საბიუჯეტო წლის დამდეგს კავშირ-გაბმულობის ოლქი გაახშირებს საფოსტო ოპერაციებს შემდეგი მიმართულებით: თბილისი—ალბულაღი (თეთრი წყარო), (კვირაში სამჯერ), ლიუქსემბურგ—ბაშკიჩეთი (კვირაში სამჯერ), ქუთაისი—ონი (კვირაში ექვსჯერ სამის მაგიერ), განჯა—ელენინი (კვირაში ექვსჯერ), ევლახი—აღდამი (კვირაში ექვსჯერ). ერევანი—ელენოვკა—აშტრაკი (კვირაში ექვსჯერ), ახალი ბაიაზეთი—ელენოვკა (კვირაში ექვსჯერ), ორდუბათი—ჯულფა (კვირაში ექვსჯერ), ნუხა—სუხმა (კვირაში ექვსჯერ), სალიანი—აჯიკაბული (კვირაში ექვსჯერ).

შრომის პირობების გამოკვლევა

შრომის კომისარიატის სანიტარული ინსპექტორი გაემგზავრა ზუგდიდის მაზრაში მდინარე ენგურის ხიდზე მომუშავეთა შრომის პირობების შესასწავლად, ის დაათვალიერებს აგრეთვე შამგონის სახერხ ქარხანას სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გამოკვლევის მიზნით. იქიდან სანიტ. ინსპექტორი გაემგზავრება ჭიათურაში, სადაც მოახდენს ძირითად გამოკვლევას იმ მაღაროების და სარეცხ ქარხნების სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებისა, სადაც ამჟამად სწარმოებს მუშაობა. ჭიათურიდან ის გაემგზავრება ძირულაში, სადაც დაათვალიერებს და გამოიკვლევს ცეცხლის გამძლე ქარხანას.

ნარევი

კბილები ბრილიანტებით

გარდაცვალებულ ამერიკელ ბოქსერის ფიტცსიმონსის ქვრივმა მიმართა ჩიკაგოს სასამართლოს თხოვნით ამოთხაროს მისი ქმარის გვამი და ამოიღონ ორი ბრილიანტი, რომელიც განსვენებულს კბილებში აქვს გაკეთებული. ქვრივი აცხადებს, რომ ის „ძლიერ გაჭირვებულათ ცხოვრობს, მკვდარს კი არაფრათ ესაჭიროება ასეთი სიმდიდრეო“.

ბურჟუაზიული ევგენიკა

ერთმა ამერიკელმა სენატორმა—ბერლეი სმიტმა, რომელიც მემარჯვენე ფრთას ეკუთვნის, შეიტანა სენატში წინადადება, რომელიც გაზ. „მუშური ტრიბუნა“-ს გადმოცემით შემდეგში მდგომარეობს: „ვინაიდან არაკვალიფიციურ მუშების რიცხვი უკანასკნელი წლების განმავლობაში ძალიან გაიზარდა, ყველა ამერიკელ მოქალაქეებს, რომლებსაც განსაზღვრული შემოსავალი არ აქვთ, უნდა აეკრძალოს შვილის ყოლა“.

მოსამართლე—სპირიტი

ქლაქ ნიუ-კასტლში (შეერთებული შტატები) მოსამართლის თანამდებობიდან მოხსნეს ადგილობრივი საზოგადოებრივი მოღვაწე მეიერი, რომელიც ისე იყო გატაცებული სპირიტიზმით, რომ არ გამოიტანდა ვანაჩენს, სანამ თათბირს არ გამართავდა „სულებთან“, ვინაიდან თითქმის ყველა განაჩენები სულელური იყო, მოსამართლე—სპირიტი მოხსნეს სამსახურიდან.

გოდდარდის მაშხალა

ნიუ-იორკის გაზეთი „ეხო“ იუწყება, რომ პროფ. გოდდარდის მაშხალა დამთავრებულია და გამზადებულია მთვარეზე გასაფრენათ. მაშხალით შეიძლება 11 კაცის გაგზავნა მთვარეზე. გაზეთის ცნობით, უკვე 52 კაცმა განაცხადა გაფრენის სურვილი. მათ რიცხვიდან არჩეული იქნება ყველაზე ვამძლე და გაბედულები. მაშხალა გასროლილი იქნება 10 აგვისტოს.

ბაყაყებმა გააჩერეს მატარებელი

5 აგვისტოს, ყირიმის ნახევარ კუნძულზე სადგურ ვლადისლავოვსკაია და სარიგოლს შორის, შემჩნეული იქნა აურაცხელი ბაყაყები, რომლებიც რკინის გზის ხაზზე გადადიოდენ. მატარებელი, რომელიც ამ დროს ვლადისლავოვსკში მიდიოდა, გაჩერდა, რადგან ორთქლმავალი თრეობდა და ვერ გასწია ვაგონები. მატარებელი გაყოფილ იქნა რამდენიმე ნაწილათ და ისე ჩაიყვანეს სადგურში.

კაპიტან კიდის განძი

გაზ. „ტაიმს“-ის ცნობით, ინგლისის საზღვაო სამინისტრომ მიიღო სარწმუნო ცნობა, რომ ქოქოსის არხიპელაგის (ინდოეთის ოკეანეშია) ერთ-ერთ კუნძულზე მიწაში ჩაფლულია ცნობილ მეკობრე კაპიტან კიდის განძი, რომელიც მილიონ მანეთად არის შეფასებული. გაგზავნილია სპეციალური ექსპედიცია განძის ამოსაჩენათ.

ფაშისტური კატეხიზმი

იტალიაში გამოვიდა ფაშისტ ლონგანეზის წიგნი—„ვადეკუმი“ (სახელმძღვანელო) იდეალურ ფაშისტისათვის“. თავის წიგნში ავტორი, მისივე განცხადებით, სცდილობდა მოეცა ფაშისტური ეთიკის საფუძვლები. ამ „ეთიკის“ დასახასიათებლათ საკმაოა რამდენიმე ამონაწერი ლონგანეზის წიგნიდან.

თეატრის შესახებ: „გასწმინდე თეატრი ყოველივე იმიდან, რაც შეურაცყოფს ოჯახს, სამშობლოს ან პარტიას“.

პატრიოტიზმი, „ვადეკუმის“ თანახმად, ავალებს ფაშისტს ასე მოიქცეს: „იტალიაში შენ შეგიძლია სთქვა, რომ შენი სამშობლო ცუდია, მაგრამ უცხოეთში შენ უხდა ადიდო იტალია, თუ გინდ იგი ათასჯერ უფრო უარესი იყოს, ვიდრე სინამდვილეში“.

ფაშისტების დამოკიდებულებას ომისადმი „ვადეკუმი“ ასე განსაზღვრავს: „თოფი და ხმალი იმიტომ კი არ გაუკეთებიათ, რომ დაეანგდეს, არამედ იმიტომ, რომ მოიხმარო უახლოეს ომში. ომი—ეს პურია ფაშისტისათვის“.

წიგნი ასე თავდება: „შენი ბელადია მუსოლინი, და მსოფლიოში არის მხოლოდ ერთადერთი მუსოლინი“.

ფიზკულტურა

სამტრედია

ქუთაისის მაზრის არც ერთი სხვა რომელიმე რაიონი არ არის ფიზკულტურის მხრივ იმდენათ ჩამორჩენილი, როგორც სამტრედიის რაიონი. სამტრედიის პროფკავშირებში ირიცხება 1800-დი წევრი. პროფკავშირთა ამ მრავალრიცხოვან წევრებს შორის არავითარი ფიზკულტურული მუშაობა არ სწარმოებს.

ამას გარდა: სამტრედია რაიონული ქალაქია და სამტრედიის აღმასკომს ფიქრადაც არ მოსვლია დაექირავებია ერთი ფიზკულტურის ინსტრუქტორი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა ამ დარგში, როგორც ქალაქს, ისე მთელ რაიონს და მაშინ არ ექნებოდა ადგილი, სხვათა შორის, ისეთ შემთხვევას, როგორსაც ჰქონდა ადგილი, ამ რამოდენიმე ხნის წინათ, ერთ-ერთ ქარხანაში გამართულ საღამოზე, სადაც საღამოს პროგრამაში შეტანილი იყო „ფიზკულტურის ნომერი“ და ეს უკანასკნელი გამოიხატებოდა ერთი ბავშვის ხელყირით სცენაზე სიარულში, რაც უკუღმა გაგებაა და სრული დამახინჯებაა ფიზკულტურის. ასეთ დამახინჯებას [illegible] სამტრედიის თეატრშიაც არა ერთხელ ჰქონია ადგილი.

ასეთი მდგომარეობა ამ მხრივ სამტრედიის რაიონში იმ დროს, როდესაც აქ ბლომად მოიპოვებიან ფიზკულტურით დაინტერესებული ახალგაზრდები და ამასთანავე ამ საქმის საკმაოთ მცოდნე ინსტრუქტორებიც (ორი), მაგრამ ამ გარემოებას სათანადო ორგანოები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ჩამოსული.

P. S. როდესაც სამტრედიის ფიზკულტურის შესახებ გვქონდა ლაპარაკი, მხედველობაში არ გვყავდა სამტრედიის რკინისგზის ფიზკულტურის წრე, რომელსაც, თუმცა სტადიონი არ მოეპოება, მაგრამ აქვს სავარჯიშო იარაღები, დარბაზი და ერთის მაგივრათ ორი ინსტრუქტორი ყავს და საქმეც შესაფერ დონეზეა დაყენებული, მაგრამ ეს წრე მუშაობს რკ. გზის ფარგლებში და ქალაქთან და მის რაიონთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვს.

ჩ.

ფეხბურთი სამტრედიაში

მიუხედავათ იმისა, რომ სამტრედიაში არ არსებობს ფეხბურთელთათვის შესაფერი სავარჯიშო მოედანი, აქ ფეხბურთი მაინც საგრძნობლათ განვითარდა და თამაშის კლასიც საგრძნობლად აწევს. თუ ამ ორი წლის წინეთ სამტრედიელი ფეხბურთელები მხოლოთ ეცნობოდნენ ფეხბურთს, შარშან უკვე ქუთაისში გამართულ შეჯიბრში, იმერეთის პირველობაზე, დაიკავეს მეორე ადგილი (ზესტაფონს მოუგეს 4:1 და ქუთაისთან წააგეს 1:0).

წელს კი ქუთაისთან შეჯიბრი დაასრულეს ფრედ (2:2); ფოთის რკ. გზ. და თბილისის გუნდებთან ამხანაგურ შეჯიბრებაში კი გამოვიდნენ გამარჯვებულნი: პირველთან 5:1 და მეორესთან 4:1.

ვ.

იურიდიული დახმარება

ჩემზედაც ვრცელდება თუ არა დაზღვევა

კითხვა

1925 წლის 1 ივანობისთვიდან ვმსახურობ საქამიასერის ქალთა ორგანიზაციის წითელ სასადილოში, ვიღებ თვიურ ჯამაგირს 25 მანეთის რაოდენობით. ვარ პროფკავშირის წევრი (წიგნაკის № 694). არ ვარ დღემდის დაზღვეული. რამოდენიმეჯერ მივმართე ადგილკომს, რომ დავეზღვევები აღნიშნულ სასადილოს, მაგრამ ვერ აღმიძრა შუამდგომლობა და არ მოხერხდა ჩემი დაზღვევა.

გთხოვთ განმარტებას, მეკუთვნის თუ არა როგორც პროფკავშირის წევრს და თანამშრომელს, რომ ვიქნე დაზღვეული?

ისიდორე ვაჩეიშვილი.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 175-ისა, სოცდაზღვევა აუცილებლად თქვენზედაც ვრცელდება, მიუხედავად იმისა, ირიცხებით თუ არა თქვენ პროფკავშირის წევრად და რა წესით იღებთ შრომის ხელფასს. სასადილოს გამგეობა თქვენი დაუზღვევლობისათვის პასუხს აგებს საერთო წესით. ამის შესახებ სათანადო განცხადებით თქვენ უნდა მიმართოთ შრომის ინსპექტორს ან და ოზურგეთის სამაზრო პროფბიუროს.

შემფასკომის დადგენილებას ადმინისტრაცია არ ასრულებს, როგორ მოვიქცე?

კითხვა

მე ვმუშაობ თბილისის ერთ-ერთ დაწესებულებაში. ადმინისტრაციამ პროფკავშირის და შრომის ინსპექტორის ნებადაურთველად მამუშავა ზედმეტ საათებში მთელი სამი თვის განმავლობაში (ყოველდღიურად 4-5 საათი). ამის შესახებ მე თავის დროზე ვაცნობე ჩემს კავშირს, ადგილკომს და შემფასკომის მუშათა ფრაქციას. ბოლოს, როდესაც სამუშაო დავამთავრე და ადმინისტრაციას მოვთხოვე სათანადო და კანონიერი ჯილდო, მან ჩემ მოთხოვნაზე უარით მიპასუხა. მაშინ მივმართე სათანადო განცხადებით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას, რომელმაც კანონიერად სცნო ჩემი მოთხოვნა და მომისაჯა კიდეც ზედმეტ საათებში მუშაობისათვის ჯილდო. ადმინისტრაცია მაინც არ ასრულებს შემფასკომის დადგენილებას.

გთხოვთ რჩევა-დარიგებას, როგორ მოვიქცე და ვის მივმართო.

მონაგარიშე ალია გედ—შვილი.

პასუხი

თანახმად შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების შესახებ არსებულ დებულების მუხ. 24-ისა, როცა ერთი მხარე უარს იტყვის შემფასკომის გადაწყვეტილების შესრულებაზე (ნებაყოფლობით), მაშინ მეორე მხარეს (ამ შემთხვევაში თქვენ) აქვს უფლება 48 საათის განმავლობაში შემფასკომის გადაწყვეტილება შრომის სახკომატის ორგანოებს (შრომის სახკომატის საკონფლიქტო განყოფილებას, შრომის ინსპექციას, შრომის ზედამხედველობის ბიუროს და სხვ.) შემფასკომის გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ადმინისტრატიული წესით.

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება

კითხვა

მე ვარ კავშირის წევრი (წიგნაკი № 39). უკვე ხუთი წელიწადია რაც მე ვმსახურობდი ქ. ოზურგეთის ბაზრის გუშაგად, 1-ლ ივლისს 1926 წელს ადმინისტრაციამ წლოვანობის მიხედვით დამითხოვა სამსახურიდან და იგი მე არ მაძლევს გასასვლელ დახმარებას.

გთხოვთ განმარტებას, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება ან როგორ მოვიქცე?

ქ. ოზურგეთის მცხ. პავლე მგელაძე.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის შენიშვნა მესამისა, თუ თქვენ ადმინისტრაციისგან არ მიგიღიათ წინასწარ, ორი კვირით ადრე, თქვენი დათხოვნის შესახებ გაფრთხილება, ადმინისტრაცია ვალდებულია მოგცეთ თქვენ გასასვლელი დახმარება თქვენი თვიური ხელფასის ნახევარი რაოდენობით. თქვენ გირჩევთ ამის შესახებ სათანადო განცხადება მისცეთ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას, ან და სათანადო პროფკავშირს.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ა. წ. 12 მაისს თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტი“-ს № 105-ში მოთავსებული იყო აღმოს. საქ. ოლქის სასამართლოს განაჩენი საზოგადოება „ბირლეკი“-ს და ამიერ-კავკასიის სავაჭრო სამმართველოს თანამშრომლებზე.

ბრალდებულთა შორის ვინმე ვასილ გაბუნიას სამსახურისადმი გულგრილობისათვის მისჯილი ჰქონდა ერთი წლით თავისუფლებით აღკვეთა. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე ვასილ სოსრამის-ძე გაბუნია პასუხისგებაში არ ვყოფილვარ მიცემული, პასუხისგებაში იყო მიცემული ვილაც სხვა ვასილ გაბუნია, რომელთანაც არასფერი საერთო არა მაქვს. ამიერ-კავკასიის სავაჭრო სამმართველოში არასოდეს არ მიმსახურია.

ვასილ სოსრამის-ძე გაბუნია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილ. კომიტეტის აღმრიცხველ-განმან. განყოფილება სთხოვს ქვემო დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ გაწერიგებელ განყოფილებაში ამხ. ჩარქიანთან დღეს—7 აგვისტოს, დილის 9 საათზე: 1) ა. ფოცხიშვილი, 2) შარაშენიძე იაკ., 3) ვასპაროვი, 4) სალხუციაშვილი გერას., 5) ზურაბოვი არტ., 6) გაბაევი გიორგი, 7) გიგაური ვლად., 8) კოგიჩერიძე მიხ., 9) ესაიაშვილი, 10) ოჟიანი ს., 11) რობაქიძე გრიგ. 12 მირანაშვილი, 13) ტერუმოვი არტ., 14) კოპალეიშვილი ნიკ., 15) სიხარულიძე გრ. 16) ზოსიმოვი ტრ. 17) საფაროვი გრაჩია, 18) შენგელია მალაქ., 19) პინსკი ვიქტ., 20) კერესელიძე აკ., 21) ურუშაძე დავ., 22) ალმაქიანი სირანუშ, 23) დანიელიანი მარიამ, 24) ვასაძე ეფრემ.

— საქ. ახ. ლ. კ. კ. ლენინის რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყ. აცნობებს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხ. ამხ. რომლებიც გამოყოფილი არიან მომავალ 26—27 წლის პოლიტსკოლების ხელმძღვანელებად გამოცხადდნენ ლენ-რაიკომში აღრიცხვაზე ასაყვანად. 1. ნ. ჩხაიძე (ავჭალის უჯრედი), 2) ქუთათელაძე (სახ. უბ. უჯრედი), 3) ზეინალოვ (რკ. გზ. სამმართველოს უჯ.), 4) ამირანაშვილი (მე-6 უბ. უჯ.), 5) გურასიმოვი (საგ. კომ. უჯ.), 6) მერზლიაკი (მე-21 სკოლის უჯ.), 7) ს. ტატულოვი (სამ. დარგი), 8) ტატიშვილი (საშემ. დარგი), 9) თითირაშვილი (სამემ. დარგი), 1) კაპანაძე (ავჭალა), 11) კაკაურიძე (ავჭალა), 12) წიქორია ლ. (საქ. სადგური), 13) შონია რომანოზ (საქ. სადგური), 14) გოლდბაუმ (მთავარი საწყობი), 15) შმატკოვი (ავჭალა), 16. სალუქვაძე (მე-6 უბ.), 17) დეკანოსიძე (მე-6 უბ.), 18) ნაზღაიძე (ზაჰესი), 19) პირანიძე (ავჭალა), 20) ცინცაბაძე), (ავჭალა), 21) ბახტაძე (ა. კ. კ. უბ.), 22) ამიან, 23) ლიტოვსკი (რკ. გზ. სამმართველო), 24) პისტერსენ (სამმართველო).

გულდათუთქული და ღრმათ დამწუხრებული დედა ელისაბედ, მამა სიმონ სტეფანეს-ძე, დები: მარო და ვენერა, ძმები: ნიკოლოზ და შალვა კილურაძეები, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 6 აგვისტოს, დილის 10 საათზე გარდაიცვალა, პირველთა უსაყვარლესი ქალიშვილი და მეორეთა ძვირფასი და მე-14 შრ. სკ. მე-9-ე ჯგუფის მოწაფე

თამარ სიმონის ასული
კილურაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 8 აგვისტოს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება ამავე დღეს ნაშუადღევის 4 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან.

ღრმა მწუხარებაში მყოფი დედა ნინო ოქროპირის ასული, მამა ამბრკი ნიკოლოზის-ძე, ბებია მარიამ ნიკოლოზის ასული, ბაბუა ნიკოლოზ სიმონის-ძე ჟორჟოლიანები, დეიდები ნინო ნიკოლოზის ასული ძიძიგურისა და მარიამ ნიკოლოზის ასული, ბიძია და ბიცოლა ექიმი მიხეილ ნიკოლოზის-ძე და ნადეჟდა სიმონის ასული ჟორჟოლიანები აუწყებენ, ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მუდამ საყვარელ და ძვირფას პატარა

თანდილას

დაკარგვიდან ორმოცი დღის შესრულებას. ნ. 1645

ბართლომე ესეს-ძე, ნინო ანტონის ასული ჩხარტიშვილები, აუწყებენ მეგობრებთ და ნაცნობთ რომ დ. სუფსაში უდროოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი ნათლიის შვილი

აკაკი ქრისტეფორეს-ძე
ჯიჯიეიშვილი

რომლის დასაფლავება მოხდება შაბათს, აგვისტოს 7-ს დ. სუფსაში. 1372

თავზარდაცემული: მეუღლე ქეთო, შვილები: გიორგი, ვალენტი, ბაგრატი, სონია, შალიკო, რაჟიკო და თამარი, რძლები: სარა და მარო შვილებით, სიძეები: ალექსანდრე ტაბატაძე და რუბენ კალატოზოვი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს 7 აგვისტოს, რაჭის მაზრაში სოფელ ხევის წმინდა სამების სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი (ორმოცი) მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, 1-ლ ივლისს ტრაგიკულად დაღუპული

რომანოზ ნიკოლოზის-ძე
ბაქურაძის

მოსაგონებლად

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე აკაკი პავლეს-ძე კობახიძე, მშობლები: სპირიდონ ოქროპირის-ძე, ელენტია გლახიას ასული და და თამარა სპირიდონის ასული კობერიძეები, ბებია ანნა, დეიდები: აგრაფინა და ფეოდოსია, დეიდების ქმრები სარდიონ კობახიძე და მინა არჩვაძე დიდიაშვილები: ვარინკა, თოსები და პეტრე კობახიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ბაბილინა სპირიდონის ასული
(კობერიძე) კობახიძისა

გამოსვენება დღეს, შაბათს, საღ. 4 საათზე დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. ნაძალადევი კურგანის ქ. საკ. სახლი. 1376

პავლე პეტრეს-ძე კობახიძე, მეუღლე პელაგია ლევანის ასული რძალი ნინა ყარამანის ასული შვილები: ვალერიანი, დავითი და კონსტანტინე, ქალიშვილი ნადია პავლეს ასული და სიძე დავით კერესელიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი რძალი

ბაბილინა სპირიდონის ასული
(კობერიძე) კობახიძისა

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს, შაბათს, 7 აგვისტოს საღ. 4 საათზე, ნაძალადევი კურგანის ქ. საკ. სახლი. 1370

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
სოლეი
ნ. 1613 0—5

პრემიერა
„სამი თაობა“
ტ. მეიგამის მონაწილეობით
(სურათ „Обломки крушения“-ს გმირი)
ანონსი: ჩქარა საუკეთესო სურათი „მანდრენ“
საუკეთესო სურათი
„ზეინაბი და რამლიკა“
ნორმა ტოლმეჯის მონაწ.
ანონსი: ჩქარა საუკეთესო სურათი „შალიმატ“
სეზონ ს საუკეთესო სურათი
„უდაბნოს გუგუნი“
მხატვრ. დრამა აღმოსავლეთის ცხოვრ., 8 ნაწილი

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

შაბათს,
7
აგვისტოს

ახალი მუშათა კლუბი
(ყოფ. ქართული, სასახლის ქ. № 5)
დიდი სეირნობა დიდი კონცერტი ტრიო, დუეტები, სოლო, ბალეტი ღია ესტრადაზე. სახელმწიფო ოპერის მსახიობების და ბალეტის მონაწილეობით. წარმოდგენა ციკლიდან „გროტესკი“ ბაღში, საღამოს 5 საათიდან დიდი საბავშვო დღესასწაული სხვადასხვა გასართობები, ყვავილები, ფეიერვერკი, სეირნობა ჩოჩრებზე. ნ. 1646

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 13 აგვისტოს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 11 | 13 კაკუთის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე და რუბენ მოძრავ ქონებას: ბაბაჯანოვების შეფასებულს 2000 მ., „სევკავტორგის“ და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 29 მაისს 1926 წ. თარიღით, № 7333 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ცნობა 311-მუხ. 1370

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ 10 აგვისტოს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 96 პლეხანოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანტონ ნეფარიძის მოძრავ ქონებას: სასადილოს მოწყობილობას შეფასებულს 476 მანეთად, მელქო პატარიძის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 8 ივლისს 1926 წ. თარიღით, № 3102 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1374

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 12 აგვისტოს 1926 წ. ადგილობრივ სოფ. საქაშეთში, დღის 2 საათზე დანიშნულია მცხ. ს. საქაშეთში სვიმონ ტიტვინიძის ქონების **საჯარო ვაჭრობა** ქონება შეიცავს: ხილის ყუთებს, ფიშტახტებს, 24 ძირ სკას ფუტკრით და სტრუშკას და ქვიტკირის შენობას, მდებარე სოფ. (საქაშეთში, რომელიც შესდგება ქვიტკირის სახლისაგან ოთხი ოთახით დახურული კრამიტით, ქვეშ ერთი სარდაფით ქვეშ მდებარე ადგილით და კარმიდამოთი ზომით დაახლოვებით ასი ოთხ კუთხი (100) საჟ. შემდეგ საზღ. აღმოსავ. ნასყიდაშვილების სახლი, დასავლეთით—საბაშვილების ადგილი. სამხრეთით—გზა და ჩრდილოეთით—გიორგი ტიტვინიძის სახლი შეფასებული 400 მ. სულ ერთად შეფასებული 644 მან. დიმიტრი ჩიჯავაძის და სხვ. ვალის სანაზღაუროდ.

ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებულს ოლქის სასამართლოს სანოტარო თანაგანყოფილების და სათანადო კომუნალური განყოფილების ცნობა, რომ არც თვითონ მას, არც მის მეუღლეს და არც მის არასრულწლოვან შვილს არა აქვთ იმ ადგილას რაიმე შენობა და აგრეთვე უნდა მისცეს ხელწერილი, რომ არც თვითონ მას და არც ოჯახის ზემოაღნიშნულ წევრს არა აქვს შენობა რომელსამე სხვა ადგილას. 1369

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან გარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების მუცლის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1803, ირაკლი ლუარსაბის-ძე ფავლენიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3166

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 993, ვარტიტერ გოჯტიანის სახელზე ჩ. გ. 1371

დავკარგე მოწმობა № 24521, მოცემული მიწათმოქმედების კომისარიატიდან ნიკოლოზ ნადიროვის სახელზე, ჩ. გ. 1375

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ფურცელი, მიცემული ბათომის სამხედრო კომისარიატისაგან, ანეპოდისტე ხიდირბეგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3167

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 479, რაჩელ გიორგის ასული გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. 1373

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, [illegible]